

ნატა ბიჭიკაშვილი

---

# ბუნება

---

1 კლასი

მასწავლებლის წიგნი



გამომცემლობა  
„საქართველოს მაცნე“

ნატა ბიჭიკაშვილი

# ბუნებისმეტყველება

## 1 კლასი

მასწავლებლის წიგნი



საქართველოს მაცნე

---

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა და  
მეცნიერების სამინისტროს მიერ 2018 წელს

ბუნება

1 კლასი

მასწავლებლის წიგნი

ავტორი ნატა ბიჭიკაშვილი

რედაქტორები: ნანა სუხიტაშვილი, ნათელა თუხარელი  
დამკაბადონებლები: ანა აკოფოვი, ლელა კობიაშვილი

გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“

მის.: ქ. თბილისი, ე. მაღალაშვილის ქ. №5

ტელ.: 568105467; 574 400 857

ელ.ფოსტა: [saqmatsne@mail.ru](mailto:saqmatsne@mail.ru), [sakmacne@gmail.com](mailto:sakmacne@gmail.com)

[www.saqmatsne.ge](http://www.saqmatsne.ge)

© გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, 2018

© ნ. ბიჭიკაშვილი, 2018

გამოცემის წელი და რიგითობა 2018 წელი

ISBN 978-9941-16-617-4

# სარჩევი

დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველების სწავლებისა და სახელმძღვანელოს აგების კონცეფცია .....	5
<b>1-ლი თავი. გარემოში ორიენტირება .....</b>	12
<b>1-ლი გაკვეთილი. მასწავლებელი, კლასი, თანაკლასელები.....</b>	12
<b>მე-2-3 გაკვეთილები. რას ვისწავლი? როგორ ვისწავლი? .....</b>	13
<b>მე-3 გაკვეთილი .....</b>	14
<b>მე-4 გაკვეთილი. სასკოლო ნივთები .....</b>	15
<b>მე-5-6 გაკვეთილები. მარჯვნივ-მარცხნივ.....</b>	16
<b>მე-6 გაკვეთილი .....</b>	16
<b>მე-7 გაკვეთილი. ჩვენი სკოლა .....</b>	17
<b>მე-8-9 გაკვეთილები. ექსკურსია სკოლაში .....</b>	19
<b>მე-9 გაკვეთილი .....</b>	20
<b>მე-10-11 გაკვეთილები. ქცევის წესები.....</b>	21
<b>მე-11 გაკვეთილი. ქუჩაში, სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ქცევის წესები.....</b>	21
<b>მე-12 გაკვეთილი. ექსკურსია სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე.....</b>	22
<b>მე-13 გაკვეთილი. ჩემი სახლი .....</b>	23
<b>მე-14 გაკვეთილი. აქვთ თუ არა სახლები ცხოველებს .....</b>	24
<b>მე-15 გაკვეთილი. სახლი და სკოლა.....</b>	25
<b>მე-2 თავი. დღე და ღამე. წელიწადის დროები .....</b>	26
<b>მე-16-17 გაკვეთილები. კვირის დღეები.....</b>	27
<b>მე-17 გაკვეთილი.....</b>	28
<b>მე-18 გაკვეთილი. როგორი ამინდია? .....</b>	28
<b>მე-19 გაკვეთილი. წელიწადის დროები.....</b>	29
<b>მე-20 გაკვეთილი. შემოდგომა .....</b>	30
<b>21-22-ე გაკვეთილები. ცხოველები და მცენარეები შემოდგომაზე .....</b>	31
<b>22-ე გაკვეთილი .....</b>	32
<b>23-ე გაკვეთილი. როგორ იმოსებიან და რას საქმიანობენ ადამიანები შემოდგომაზე.....</b>	33
<b>მე-3 თავი. ცოცხალი ორგანიზმები.....</b>	33
<b>24-ე გაკვეთილი. ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება .....</b>	34
<b>25-ე გაკვეთილი. ცოცხალი ორგანიზმის ნიშან-თვისებები .....</b>	36
<b>26-ე გაკვეთილი. დღე და ღამე.....</b>	36
<b>27 -ე გაკვეთილი. რატომ ანათებს მთვარე? ვარსკვლავიანი ცა.....</b>	38
<b>28-ე გაკვეთილი. დილა, შუადღე, საღამო, ღამე .....</b>	39
<b>29-ე გაკვეთილი. დღისა და ღამის ცხოველები.....</b>	40
<b>30-ე გაკვეთილი. ზამთარი.....</b>	41

<b>31-ე გაკვეთილი.</b> რა გვაცვია და რას ვსაქმიანობთ ზამთარში?	42
<b>32-ე გაკვეთილი.</b> ახალი წელი.....	43
<b>33-34-ე გაკვეთილები.</b> სხეულის ნაწილები.....	44
<b>34-ე გაკვეთილი</b> .....	45
<b>35-ე გაკვეთილი.</b> როგორი მცენარეები არსებობს?.....	46
<b>36-ე გაკვეთილი,</b> რით განსხვავდება მცენარეები ერთმანეთისგან?.....	47
<b>37-ე გაკვეთილი.</b> რას გვაძლევენ მცენარეები?.....	48
<b>38-39-ე გაკვეთილები.</b> ცხოველები .....	50
<b>39-ე გაკვეთილი</b> .....	51
<b>მე-40 გაკვეთილი.</b> მწერები .....	51
<b>41-ე გაკვეთილი.</b> ფრინველები .....	52
<b>42-ე გაკვეთილი.</b> ძუძუმწოვრები.....	53
<b>43-ე გაკვეთილი.</b> სად ცხოვრობენ ბუნებაში მცენარეები და ცხოველები? .....	55
<b>44-45-ე გაკვეთილები.</b> დადგა გაზაფხული .....	56
<b>45-ე გაკვეთილი</b> .....	57
<b>46-ე გაკვეთილი.</b> გაზაფხული ჩვენ ეზოში .....	58
<b>მე-4 თავი.</b> შეგრძნების ორგანოები .....	59
<b>47-48-ე გაკვეთილები.</b> შეგრძნების ორაგნოები – მხედველობა .....	59
<b>48-ე გაკვეთილი</b> .....	60
<b>49-ე გაკვეთილი.</b> შეგრძნების ორგანოები – სმენა.....	61
<b>50-ე გაკვეთილი.</b> გემო.....	62
<b>51-ე გაკვეთილი.</b> ყნოსვა.....	64
<b>52-ე გაკვეთილი.</b> შეხება .....	65
<b>53-ე გაკვეთილი.</b> შეგრძნების ორგანოები.....	66
<b>54-ე გაკვეთილი.</b> პირადი ნივთები .....	67
<b>55-56-ე გაკვეთილები.</b> ყველაფერს ვხედავთ და გვესმის? .....	68
<b>56-ე გაკვეთილი.</b> ყველაფერი გვესმის? .....	69
<b>57-ე გაკვეთილი.</b> ცხოველები და შეგრძნების ორგანოები .....	70
<b>მე-5 თავი.</b> სხეულები და ნივთიერებები.....	71
<b>58-ე გაკვეთილი.</b> რისგან არის დამზადებული? .....	71
<b>59-ე გაკვეთილი.</b> მასალები და სხეულები.....	72
<b>მე-60 გაკვეთილი.</b> როგორ ვირჩევთ მასალებს?.....	73
<b>61-ე გაკვეთილი.</b> რა გამოიყენება სხეულების დასამზადებლად? .....	75
<b>62-ე გაკვეთილი.</b> მალე ზაფხული დადგება.....	76
<b>63-ე გაკვეთილი.</b> ადამიანების საქმიანობა ზაფხულში .....	77
<b>64-ე გაკვეთილი.</b> რატომ გვიყვარს ზაფხული? დავისვენოთ უსაფრთხოდ .....	78
მოსწავლის რვეულში მოცემული დავალებების პასუხები.....	79
ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024 .....	80

## **დაცუებით საფეხურზე გუნებისმეტყველების სრულებისა**

### **და სახელმძღვანელოს აგების კონცეფცია**

„საბუნებისმეტყველო საგნების სწავლების მთავარი მიზანია, აზიაროს მოსწავლე მეცნიერების საფუძვლებს და განუვითაროს მას კვლევის უნარ-ჩვევები, რაც მოსწავლეს სამუალებას მისცემს შეიცნოს სამყარო, ჩატართოს საზოგადოებრივი საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, იგრძნოს პასუხისმგებლობა საკუთარი თავის, საზოგადოებისა და გარემოს მიმართ“. ეროვნული სასწავლო გეგმა.

ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოს აგების კონცეფცია ეფუძნება 2018-2024 წლების ეროვნულ სასწავლო გეგმას. პირველი კლასის კურსი ყველაზე დიდ როლს თამაშობს იმ მიზნების მიღწევაში, რომელსაც სასწავლო ეროვნული გეგმა გვისახვს, რადგანაც სწორედ პირველ კლასში უვითარდებათ მოსწავლეებს ინტერესი საგნის მიმართ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია შემდგომი მუშაობისთვის. მოსწავლეები ითვისებენ გარემოდან ინფორმაციის მიღების საშუალებებს, იძენენ დაკვირვების, აღნერის, კლასიფიკაციის, ექსპერიმენტის ჩატარების, ჰიპოთეზის გამოთქმის, ანალიზის, დასკვნების გამოტანის, მოდელირებისა და კომუნიკაბელურობის უნარებს. გარდა ამისა, მოსწავლეები იაზრებენ საბუნებისმეტყველო დისციპლინების მნიშვნელობას ჯანმრთელობის, ჯანსაღი და უსაფრთხო ცხოვრების წესის დაცვის მნიშვნელობას, უვითარდებათ გარემოსა და ერთმანეთის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულება. ყველაფერ ამას საფუძველი პირველ კლასში ეყრება, ამიტომაც, ვთვლით, რომ პირველი კლასი – პირველი შეხება მეცნიერებასთან – მეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა.

სახელმძღვანელოს, მოსწავლის რვეულისა და მასწავლებლის წიგნის შედგენისას, ვცდილობდით გაკვეთილებზე სწავლების აქტიური ფორმების, კონსტრუქტივისტული მიდგომების დანერგვას. ასეთი მეთოდებით სწავლება აღვივებს მოსწავლეებში ინტერესს, მოსწავლე თავად აგებს ცოდნას მასწავლებლისა და თანაკლასელების დახმარებით. იმისათვის, რომ ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელო ბავშვებისთვის სახალისო და საყვარელი გამხდარიყო, შემოვიყვანეთ წიგნის პერსონაჟები.

მასწავლებლის წიგნში შეთავაზებულია გაკვეთილის სავარაუდო სცენარები, მეთოდური რეკომენდაციები, რომლებიც, ჩემი აზრით, დაეხმარება მასწავლებლებს, გაკვეთილები გახდეს უფრო სახალისო და მრავალფეროვანი. ყველა აქტივობა მოსწავლეზეა ორიენტირებული და მათ მაქსიმალურ ჩართულობას უზრუნველყოფს.

მოსწავლის სახელმძღვანელო და მოსწავლის რვეული ერთიანი სქემით არის აგებული: ცოდნის შემოწმება, ნასწავლის გამეორება, ცხოვრებისეული გამოცდილების აქტუალიზაცია, ფაქტობრივი მასალა, პრაქტიკული და შემოქმედებითი აქტივობები, ნასწავლის განზოგადება. წარმოდგენილი მასალა ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდას, ამდიდრებს ლექსიკურ მასალას, უზრუნველყოფს კვლევითი, დაკვირვების, აღნერის, ლოგიკური აზროვნების, დასკვნების გამოტანის, შედარებისა და სხვა უნარების განვითარებას.

თითოეულ თემაში შემოთავაზებული აქტივობა მიმართულია ბავშვებში ინტერესის, მოტივაციის გაზრდისკენ, ხელს უწყობს სწავლის სხვადასხვა მეთოდის ათვისებას. მრავალფეროვანი მასალა შეესაბამება 6 წლის მოსწავლეთა თავისებურებებს. ბევრია შემეცნებითი თამაშები, რომლებიც აღვივებს ბუნებისადმი ინტერესს და მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობაზეა ორიენტირებული. თამაშები ხელს უწყობს წარმოსახვის, შემოქმედობითობის განვითარებას, მოსწავლეები უკეთ გაიცნობენ ერთმანეთს, ხოლო მასწავლებელი – თავის მოსწავლეებს: მათ ხასიათს, სუსტია და ძლიერ მხარეებს, რაც მასწავლებელს დაეხმარება მოსწავლეების შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენასა და განვითარებაში. ყურადღება ექცევა ასევე მოსწავლეთა მრავალმხრივ აღზრდას, მათ შორის: ეთიკური, ესთეტიკური და მზრუნველი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ბუნების მიმართ.

პარაგრაფები შეიცავს სათაურს, თემატურ სურათებს, რომლებიც ადვილად აღქმადია და შეესაბამება მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს. პარაგრაფის ბოლოს მოცემულია ახალი სიტყვები, რომლებიც, ძირითადად, პედაგოგისთვის და მშობლებისთვისაა გამიზნული (რადგანაც მოსწავლეებმა საწყის ეტაპზე კითხვა არ იციან). აქედან გამომდინარე, მშობელს აქვს საშუალება, დაინტერესების შემთხვევაში, გაარკვიოს, რა თემაზე იყო საუბარი გაკვეთილზე და რომელი ახალი სიტყვები ისწავლა მოსწავლემ.

ზოგიერთი პარაგრაფის ბოლოს მოცემულია რუბრიკა: „უფროსის დახმარება“. ეს აქტივობა არ არის სავალდებულო და უფროსს სურვილისამებრ შეუძლია განხორციელება.

აქტივობები იწყება წინა გაკვეთილზე განხილული მასალის გამეორებით და განმტკიცებით. აქტივობები ისეა შერჩეული, რომ მოსწავლეთა ჩართულობა მაქსიმალური იყოს, სახალისო და შემეცნებითი. გარდა ამისა, ჯგუფურ ან წყვილებში მუშაობის დროს, მასწავლებელს აქვს მეტი დრო ყურადღება მიაქციოს იმ მოსწავლეებს, რომლებიც ამას საჭიროებენ, დააკვირდეს და უკეთ გაიცნოს თავისი მოსწავლეები, მათი შესაძლებლობები, ძლიერი და სუსტი მხარეები. ასეთი ტიპის აქტივობები ძალიან მნიშვნელოვანია სოციალური უნარების: ერთმანეთის აზრის პატივისცემის, აზრის თავისუფლად გამოთქმის, პასუხისმგებლობის, მზრუნველი დამოკიდებულების ერთმანეთის და ბუნების მიმართ. გარდა ამისა, მასწავლებელს ეძლევა საშუალება უკეთ შეაფასოს მოსწავლეები, დაეხმაროს კომენტარებით, რჩევებით.

აქტივობები კონსტრუქტივისტულ პრინციპებზეა აგებული. მოსწავლეები არ არიან პასიური მსმენელები, ისინი მასწავლებლის დახმარებით, შემეცნებითი სახის აქტივობით ნელ-ნელა იძენენ ცოდნას და საჭირო უნარ-ჩვევებს.

გაკვეთილი სრულდება შეჯამებით. გაკვეთილის შეჯამებას სხვადასხვა ფორმა შეიძლება ჰქონდეს: გავიმეოროთ ახალი სიტყვები, ან – სახალისო თამაშები, მაგალითად – „სწორია-არას-წორია“.

პირველ კლასში განსახილველი თემები ისეა განაწილებული, რომ შედარებით რთული მასალა მეორე სემესტრში იყოს განხილული. ამ მომენტისთვის ბავშვი უკეთ არის ადაპტირებული სკოლის ცხოვრებასთან და უკვე განვითარებული აქვს გარკვეული უნარ-ჩვევები.

მოსწავლის რვეული ისეა აგებული, რომ მოსწავლეს, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ამოქრას ფიგურები, გააფერადოს სურათები, დაადგინოს შესაბამისობა, ააწყოს ცხოველი, „ჩააცვას“ სეზონის მიხედვით ბავშვს.

მე არ ვთვლი, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებული აქტივობები იდეალურია, შემოთავაზებული სცენარები მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. დიდი სიამოვნებით მივიღებ რჩევებს და რეკომენდაციებს.

პატივისცემით ავტორი

## შეფასება

სწავლების პროცესში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასებაა. გამოიყენება თვითშეფასება, ურთიერთშეფასება და მასწავლებლის შეფასება. შეფასების მიზანია: სწავლის ხარისხის გაუმჯობესება და მოსწავლის სწავლისა და განვითარების ხელშეწყობა.

მოსწავლემ, ყველა შემთხვევაში, წინასწარ უნდა იცოდეს შეფასების კრიტერიუმები, ანუ, როგორ მოხდება მისი შეფასება.

### 1. თვითშეფასება

სახელმძღვანელოში მოცემულია დავალებები, რომლებსაც მოსწავლეები კონკრეტული თემის შემდეგ ასრულებენ. დავალებებს აქვთ შეფასების სქემა, რომელიც ასევე სახელმძღვანელოშია მოცემული. დავალებების შესრულებისას, მოსწავლები მოსწავლის რვეულში მოცემულ ცხრილს ავსებენ, მონიშნავენ, მათი აზრით, სწორ პასუხებს, შემდეგ სახელმძღვანელოში (მითითებულია გვერდი) ამონმებენ პასუხებს, მერე ითვლიან სწორი პასუხების რაოდენობას და საკუთარ თავს აფასებენ.

### 2. ურთიერთშეფასება

განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება წყვილებში მუშაობის დროს, როდესაც მოსწავლეები ერთმანეთის ნამუშევარს ამონმებენ.

### 3. მასწავლებლის შეფასება

ხორციელდება სწავლების ყველა ეტაპზე.

ინდივიდუალური შეფასება.

მასწავლებელი აფასებს მოსწავლის მიერ შესრულებულ სამუშაოს კომენტარის სახით, პირველ რიგში, ესაუბრება, თუ რა გააკეთა კარგად, შემდეგ – რა არის გასაუმჯობესებელი და როგორ.

## შეფასების რუბრიკები

### დისკუსია

მოსწავლე მკაფიოდ და გასაგებად აყალიბებს აზრს;

მსჯელობს არგუმენტირებულად;

აკეთებს დასკვნებს;

ისმენს და კორექტულად პასუხობს განსხვავებულ მოსაზრებებს.

### ექსპერიმენტი

მოსწავლე აყალიბებს კვლევის მიზანს;

ატარებს ექსპერიმენტს;

იცავს უსაფრთხოების წესებს;

აღნერს კვლევის ეტაპებს;

აღრიცხავს და აანალიზებს მონაცემებს;

აკეთებს დასკვნებს.

### ინფორმაციის მოძიება

მოძიებული მასალა შეესაბამება თემას;

გამოიყენებულია ორი წყარო მაინც;

ინფორმაცია ორგანიზებულია.

### დამოუკიდებელი სამუშაო

მოსწავლე იცავს წერის კულტურას;

იცავს დროის ლიმიტს;

კითხვებზე პასუხი ადეკვატურია;

აზრი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული.

## **ტექსტზე მუშაობა**

მოსწავლე ტექსტში გამოყოფს და განმარტავს მთავარ ცნებებს; მსჯელობს წაკითხული ინფორმაციის შესახებ; აკეთებს დასკვნებს.

## **ჯგუფური სამუშაო**

ჯგუფის ყველა წევრი ჩართულია; ჯგუფის წევრები უსმენენ ერთმანეთს; ჯგუფის წევრები ითვალისწინებენ ერთმანეთის მოსაზრებას; პრეზენტაცია გამართულია, აზრი მკაფიოდაა ჩამოყალიბებული; იცავენ დროის ლიმიტს; აკეთებენ დასკვნებს.

## **მოსწავლეთა შეფასებისას ძირითადად გამოიყენება სამი დონე:**

მაღალი, საშუალო, სუსტი.

შეფასება მოსწავლებისთვის გასაგები რომ იყოს, პედაგოგმა კომენტარში დაწვრილებით უნდა ახსნას, რა შეასრულა მოსწავლემ კარგად და რა საჭიროებს გაუმჯობესებას, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა აჩვენოს, რა გზით შეუძლია მოსწავლეს უკეთესი შედეგის მიღწევა.

**მაგალითისთვის, დისკუსიის საბოლოო შეფასება ასეთი შეიძლება იყოს:**

მოსწავლე ყოველთვის მონაწილეობს;

ხშირად მონაწილეობს;

იშვიათად ან საერთოდ არ მონაწილეობს.

ან

ყოველთვის დამაჯერებლად და არგუმენტირებულად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებას;

ხშირად ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას;

ხშირად ვერ ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას.

ან

ყოველთვის ისმენს და პატივს სცემს განსხვავებულ მოსაზრებას, კორექტულია ოპონენტის მიმართ;

ხშირად ისმენს და პატივს სცემს სხვის მოსაზრებას;

არ უსმენს სხვებს, არ აცდის საუბრის დამთავრებას.

## **წლის ბოლოს გაკეთებული კომენტარის ნიმუში**

**მაღალი** – მოსწავლეს აქვს ინტერესი საბუნებისმეტყველო დისციპლინების მეცნიერული კვლევისა და სიახლეების მიმართ; განვითარებული აქვს ექსპერიმენტის ჩატარების, მონაცემების ანალიზის, დაკვირვების, აღწერის, ანალიზის, დასკვნების გამოტანის უნარ-ჩვევები, კარგად მუშაობს ჯგუფში. განვითარებული აქვს გარემოზე ზრუნვისა და უსაფრთხოების წესების დაცვის უნარ-ჩვევები.

მოსწავლემ წარმატებით გაიარა სწავლების მოცემული ეტაპი და მიაღწია ეროვნული სასწავლო გეგმით დასახულ მიზანს.

**საშუალო** – მოსწავლეს აქვს ინტერესი საბუნებისმეტყველო დისციპლინების მეცნიერული კვლევისა და სიახლეების მიმართ; კარგად აქვს განვითარებული ექსპერიმენტის ჩატარების, მონაცემთა ანალიზის, დაკვირვების, აღწერის, დასკვნების გამოტანის უნარ-ჩვევები. არ უჭირს ჯგუფში მუშაობა. გაუუმჯობესდა გარემოზე ზრუნვისა და უსაფრთხოების წესების დაცვის უნარ-ჩვევები.

მოსწავლემ გაიარა სწავლების მოცემული ეტაპი და მიაღწია ეროვნული სასწავლო გეგმით დასახულ მიზანს.

**დაბალი** – მოსწავლეს ნაკლებად აქვს ინტერესი საბუნებისმეტყველო დისციპლინების მეცნიერული კვლევისა და სიახლეების მიმართ; თუმცა განვითარებული აქვს დაკვირვების, აღწერის, დასკვნების გამოტანის უნარ-ჩვევები: გაუუმჯობესდა გარემოზე ზრუნვისა და უსაფრთხოების წესების დაცვის უნარ-ჩვევები. მოსწავლემ დაძლია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მასალა.

წლის ბოლოს გაკეთებულ კომენტარში დაწვრილებით უნდა იყოს აღწერილი მოსწავლის ინდივიდუალური მიღწევები და საჭიროებები.

## ელექტრონული რესურსების გამოყენების ინსტრუქცია

### 1. პარათები.

წარმოდგენილია მასალა, რომელიც მასწავლებელს საშუალებას მისცემს, ყველა თემისთვის შესაბამისი სურათები, გამოიყენოს საილუსტრაციოდ ან – ჯგუფურსა და წყვილებში სამუშაოდ.

### 2. პრეზენტაცია თემაზე: „შეგრძნების ორგანოები“.

პრეზენტაციაში სხვადასხვა ცხოველის სლაიდებია, მოსწავლეებმა უნდა ამოიცნონ, რომელი შეგრძნების ორგანო „ეხმარება“ ცხოველს.

პრეზენტაცია ინტერაქტიული და სახალისოა, მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს დამატებით რესურსად: „ცხოველები და შეგრძნების ორგანოების“ განხილვისას.

პრეზენტაცია ცოდნის გაღრმავებას შეუწყობს ხელს და მოსწავლეებში გაზრდის ინტერესს თემის მიმართ.

### 3. პრეზენტაცია თემაზე: „ცოცხალი სხეულების აღწერა არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით“.

მოსწავლეებს ნასწავლი აქვთ ცოცხალი ორგანიზმების ძირითადი ნაწილები – ორგანოები, ასევე – ადამიანისა და ცხოველების შეგრძნების ორგანოები.

პრეზენტაცია დაეხმარება მოსწავლეებს, გაიაზრონ, რომ ცოცხალ ორგანიზმებს ბევრი ორგანო აქვთ და იმსჯელონ მათ ფუნქციებზე.

პრეზენტაცია ინტერაქტიული და სახალისოა. მოსწავლეები დამატებით ინფორმაციას მიიღებენ ცოცხალი ორგანიზმების ზოგიერთი ორგანოს შესახებ, გაიღრმავებენ არსებულ ცოდნას.

**სახელმძღვანელოს შინაარსის შესატყვისობა  
ეროვნულ სასწავლო გაგმასთან**

თემა	შედეგები და ინდიკატორები	შედეგების მიღწევის საშუალებები	შესატყვისობა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან	გაკვეთილების რაოდენობა
1. ლო-კალური გარემოს აღნერა და მასში ორიენტირება.	<p>ამოიცნობს და ჩამოთვლის სასწავლო გარემოში არსებულ ობიექტებს (საკლასო ოთახი, სასადილო, სპორტული დარბაზი, დირექტორის კაბინეტი, ექიმის კაბინეტი, სასადილო), ასახელებს მათ დანიშნულებას;</p> <p>იყენებს მიმართებით ტერმინებს გარემოში ორიენტირებისთვის; ქმნის სკოლის ნახატს, საუბრობს შესაბამისი ობიექტების ადგილმდებარეობაზე;</p> <p>თანაკლასელებთან ერთად აყალიბებს და იცავს ქცევის წესებს სკოლაში, ეზოში, ქუჩაში, განმარტავს მათი დაცვის აუცილებლობას;</p> <p>ამოიცნობს ქუჩაში მოძრაობის წესის ამსახველ პირობით ნიშნებს, საუბრობს უსაფრთხო მოძრაობის წესების დაცვის აუცილებლობის შესახებ.</p>	დაკვირვება, სიმულაციური თამაშები, ნახატის შესრულება, დისკუსია, ექსკურსია, ინდივიდუალური და ჯგუფური სამუშაო.	ბუნ.1.5 ბუნ.1.1	14
2. დღე-ლამესა და წელიწადის დროების აღნერა.	<p>ასახელებს ცვლილებებს დღე-ლამის განმავლობაში;</p> <p>ასახელებს დღე-ლამის მონაცემებს (დილა, შუადღე, საღამო, ღამე), უკავშირებს საკუთარ საქმიანობას; ჩამოთვლის კვირის დღეებს,</p> <p>ასახელებს სასწავლო და უქმედლეებს;</p> <p>ასახელებს წელიწადის დროებს, აღნერს ბუნებაში მომხდარ ცვლილებებს, ამინდს, წელიწადის სხვადასხვა დროს ადამიანების ჩატმულობას და საქმიანობას.</p>	დაკვირვება, აღნერა, ექსპერიმენტი, სიმულაციური თამაშები, ნახატის შესრულება, დისკუსია, ექსკურსია, ინდივიდუალური და ჯგუფური სამუშაო.	ბუნ.1.6 ბუნ.1.1	22

3. შეგ- რძნების ორგანოე- ბი.	ასახელებს ადამიანის შეგრძნების ორგანოებს და მათ ფუნქციებს; აღწერს ნაცნობ სხეულებს (სუნი, გემო, ფერი, ზომა, ფაქტურა); მსჯელობს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის შესახებ ადამიანისა და ცხოველებისთვის; იყენებს ლუპას, მიკროსკოპს, მიკროფონს, ფონენდოსკოპს მხედ-ველობის და სმენის გაძლიერების მიზნით; ასახელებს პირადი ჰიგიენის ნივთებს, მსჯელობს ჰიგიენის წესების დაცვის მნიშვნელობის შესახებ.	დაკვირვება, აღწერა, ექს-პერიმენტი, სიმულაციუ-რი თამაშე-ბი, ნახატის შესრულება, დისკუსია, ვიდეო და აუდიომასა-ლის გამოყე-ნება, ინდი-ვიდუალური და ჯგუფური სამუშაოები.	ბუნ.1.2 ბუნ.1.1	11
4.ცოცხ- ალი ორგა- ნიზმები.	აღწერს საკუთარ თავს და თანაკუ-ლასელებს გარეგნული ნიშნების მიხედვით; ასახელებს და ადარებს ერთმანეთს ცხოველების და მცენარეების სხეუ-ლის ნაწილებს; აწყობს ფრაგმენტებისგან ცხოვე-ლის და მცენარის მოდელებს; აჯგუფებს ორგანიზმებს მცენარეე-ბად და ცხოველებად, ასაბუთებს საკუთარ მოსაზრებას; მსჯელობს ადამიანისთვის ცხ-ოველებისა და მცენარეების მნიშ-ვნელობაზე; საუბრობს სხვადასხვა გარემოში მობინადრე მცენარეებისა და ცხ-ოველების შესახებ.	დაკვირვე-ბა, აღწერა, ექსპერიმენტი, სიმულაციუ-რი თამაშე-ბი, ნახატის შესრულება, დისკუსია, ექს-კურსია, ელექ-ტრონული რესურსების გამოყენება, ინფორმაცი-ის მოძიება, პრეზენტაციის მომზადება, ინდივიდუალუ-რი და ჯგუფუ-რი სამუშაოე-ბი.	ბუნ.1.3 ბუნ.1.1	13
5.სხეულები და ნივ- თიერებები/ მასალები.	აღწერს ირგვლივ არსებულ სხეუ-ლებს, მათ შემადგენელ ნივთიე-რებებს; ამოიცნობს ყოველდღიურობაში გამოყენებულ ნივთიერებებს/მა-სალებს; იკვლევს ზოგიერთი მასალის თვისებებს; აჯგუფებს ერთნაირი ნივთიერე-ბისგან/მასალისგან დამზადებულ სხეულებს.	დაკვირვება, აღწერა, ექს-პერიმენტები, თამაშები, ნახატის შეს-რულება, დის-კუსია, ელექ-ტრონული რესურსების გამოყენება, ინფორმაცი-ის მოძიება, პრეზენტაციის მომზადება, ინდივიდუალუ-რი და ჯგუფუ-რი სამუშაოე-ბი.	ბუნ.1.4 ბუნ.1.1	4

# 1-ლი თავი

## გარემოში ორიენტირება

### თემის მიზანი:

მოსწავლემ შეძლოს ლოკალური გარემოს აღნერა და მასში ორიენტირება.

### მისალწევი შედეგები:

მოსწავლე გაცნოს სკოლაში არსებულ თითოეულ ობიექტს, იმსჯელოს კონკრეტული ობიექტის დანიშნულებაზე. ლოკალურ გარემოში ორიენტირებისას გამოიყენოს მიმართებითი ტერმინები, საკლასო ოთახში, სკოლაში, მის მიმდებარე ტერიტორიაზე და ქუჩაში დაიცვას ქცევის წესები.

### რა გზით მოილწევა დასახული მიზნები:

მასზავლებელი მოსწავლეებს სასკოლო ნივთებს აცნობს, ანუ მიმდებარე ტერიტორიაზე. ესაუბრება მოსწავლეებს სკოლაში არსებული ობიექტების დანიშნულების შესახებ. ასწავლის ორიენტირებისას მიმართებითი ტერმინების გამოყენებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმ წესების განხილვას (სკოლაში, ქუჩაში), რომლებიც მოსწავლეების უსაფრთხოებისკენ არის მიმართული.

შემდეგ მოსწავლეები საუბრობენ სახლში არსებული განყოფილებების (ოთახების) შესახებ. მსჯელობენ თითოეული განყოფილების შესახებ, იაზრებენ სახლის დანიშნულებას; საუბრობენ ცხოველთა თავშესაფრის შესახებ.

მოსწავლეები ადარებენ სახლს და სკოლას, პოულობენ საერთო ნიშნებს. ეს აქტივობა მოსწავლეებისთვის სკოლას უფრო მყუდროს და საინტერესოს ხდის.

მოსწავლის რვეულში მოსწავლეები ასრულებენ დავალებებს, რომლებიც ეხმარება ცოდნის გაღრმავებაში.

დავალებები სახალისო და საინტერესოა. მოსწავლეები მუშაობენ ინდივიდუალურად, წყვილებში, ჯგუფებში, რაც მათი შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას ემსახურება.

# 1-ლი გაკვეთილი

## მასწავლებელი, კლასი, თანაკლასელები

### გაკვეთილის ამოცანები:

მოსწავლეებმა გაიცნონ ერთმანეთი და მასწავლებელი.

### მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლეები გაიცნობენ მასწავლებელს, ერთმანეთს.

### რომელი უნარ-ჩვეულების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?

კომუნიკაციელურობისა და მეტყველების უნარ-ჩვეულების განვითარებას.

### გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:

სახელმძღვანელო, პატარა ზომის ფიალა, ფერადი ბურთულები.

## სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

მასწავლებელი წარუდგენს თავს მოსწავლეებს, აჩვენებს სახელმძღვანელოს და მოსწავლის რვეულს, რომლებიც ხშირად დასჭირდებათ გაკვეთილზე და ეუბნება, რომ წელს უამრავ საინტერესო ამბავს ისწავლიან ბუნების შესახებ და მთელი წლის განმავლობაში მათ ერთგული მეგობრები დაეხმარებიან. ესენი არიან: (მასწავლებელი აჩვენებს წიგნის გარეკანს) ჭიამაია მაია, ცნობისმოყვარე ბაჭია და ბრძენი ბუ.

(3 წუთი)

**აქტივობა 1-ლი** (ერთმანეთის გაცნობა). მასწავლებელს წინასწარ მომზადებული აქვს პატარა ზომის ჭურჭელი (მაგ., ფიალა), სადაც ჩაყრილია მძივის ბურთულები (ან ერთნაირი ზომის ლი-ლები, ან პატარა კენჭები, ან ლობიოს მარცვლები). მასწავლებელი გარკვევით ასახელებს თავის სახელს და საგანს, რომელსაც ასწავლის. პედაგოგი მოსწავლეებს უხსნის სიტყვა „თანაკლასე-ლის“ მნიშვნელობას.

ურთიერთგაცნობის მიზნით, მასწავლებელი სთავაზობს ასეთ აქტივობას: მოსწავლემ ფიალიდან უნდა ამოიღოს ბურთულები. რაოდენობა განსაზღვრული არ არის, მაგრამ რამდენ ბურთულასაც ამოიღებს, იმდენი რამ უნდა თქვას თავის თავზე. პირველ ჯერზე აქტივობას ასრულებს მასწავლებელი, იღებს 3 ბურთულას და ამბობს, მაგ.: მე მქვია მაკა (ერთ ბურთულას აბრუნებს ფიალაში), მიყვარს წიგნების კითხვა (მეორე ბურთულას აბრუნებს ფიალაში) და მომწონს მუსიკის მოსმენა (მესამე ბურთულასაც აბრუნებს ფიალაში). შემდეგ თითოეული მოსწავლე გამოდის დაფასთან და აცნობს თავს მასწავლებელს და თანაკლასელებს.

(20 წუთი)

### შეჯამება:

რაზე ვისაუბრეთ დღევანდელ გაკვეთილზე? ვინ იქნებიან წელს ჩვენი დამხმარე მეგობრები?

(2-3 წუთი)

## გვ-2-3 გაკვეთილები

### რას ვისწავლი? როგორ ვისწავლი?

#### გაკვეთილის ამოცანები:

მოსწავლეები გაეცნონ სახელმძღვანელოს და მოსწავლის რვეულის სტრუქტურას.

#### მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლეები ისწავლიან მოსწავლის წიგნისა და მოსწავლის რვეულის განსხვავებას, გაეცნობიან რუპრიკებს(თუ რას გააკეთებენ წიგნისა და რვეულის გამოყენებით), ისაუბრებენ ბუნების შესახებ.

#### რომელი უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს გაკვეთილი?

ყურადღების კონცენტრაციას, მეტყველების განვითარებას.

#### გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:

სურათები ცხოველების, მცენარეების, ნივთების გამოსახულებებით, სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს სახელმძღვანელოს და უუბნება, რომ იქ პევრი საინტერესო ამბავია მოთხრობილი, აჩვენებს მათ რვეულს და განმარტავს, რომ რვეულში შეუძლიათ აკეთონ მათთვის საყვარელი საქმე, როგორიცაა – ხატვა, გაფერადება, ამოჭრა, ჩანებება.

(5 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მასწავლებელი სვამს შეკითხვას, იციან თუ არა მოსწავლეებმა, რა არის ბუნება?

(5 წუთი)

მათი მოსაზრებების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი აკეთებს დასკვნას, რომ ბუნება არის ყველაფერი ის, რაც ჩვენ გარშემოა და ადამიანს არ შეუქმნია.

**აქტივობა მე-3.** მასწავლებელი ამ აქტივობაში იყენებს წინასწარ მომზადებულ ბარათებს (შესაძლებელია ეს აქტივობა კომპიუტერის დახმარებითაც შესრულდეს). სასურველია იყოს ხუთი ბარათი ცხოველების, 5 მცენარეების და 5 მოსწავლეებისთვის ნაცნობი ნივთების გამოსახულებით.

მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს თამაშის წესებს. აჩვენებს მათ ერთ ბარათს, თუ ბარათზე „ბუნება“ გამოსახული, მოსწავლეები ერთხელ შემოკრავენ ტაშს, თუ ნივთია – ორჯერ. მასწავლებელმა ჯერ საცდელი აქტივობა უნდა განახორციელოს (ავარჯიშოს ბავშვები). სასურველია, აქტივობა ორჯერ შესრულდეს (ერთი ციკლის შემდეგ იგივე ბარათების ჩვენება გამეორდეს).

შეჯამების მიზნით, აქტივობის ბოლოს მასწავლებელი უბრუნდება საგნის სახელწოდებას და მოსწავლეებს მოკლედ აცნობს იმ თემებს, რაზედაც ისაუბრებენ 1-ლი კლასის განმავლობაში.

(18 წუთი)

**აქტივობა მე-4.** მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს მოსწავლის წიგნში შესაბამის გვერდებზე გამოსახულ სურათებს და სვამს კითხვას: „რა საერთო აქვთ ამ სურათებს?“

(5 წუთი)

**გაკვეთილის შეჯამება:**

რაზე ვისაუბრეთ დღევანდელ გაკვეთილზე? რა გავიგეთ ახალი?

(2 წუთი).

**ალტერნატიული აქტივობა.**

მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, მიმოიხედონ საკლასო ოთახში, გაიხედონ ფანჯრიდან და დაასახელონ ის სხეულები, რომლებიც ბუნებას ეკუთვნის (მაგ.: ოთახის მცენარეები, ხე, ბალახი, ჩიტი და ა.შ.).

## მე-3 გაკვეთილი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს წინა გაკვეთილზე შესრულებულ მე-3 აქტივობას.

(5 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მუშაობა მოსწავლის რვეულში. მოსწავლემ უნდა შემოხაზოს ის სურათები, რომლებიც ასახავს ბუნებას, გააფერადოს სამივე სურათი.

(10 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მასწავლებელი ამბობს, რომ მოსწავლეები იქნებიან მხატვრებიც, მოგზაურებიც და ამაში მათ სამი მეგობარი დაეხმარება (პედაგოგს შემოჰყავს ზღაპრის პერსონაჟები: ჭიამაიას ამბების მოყოლა უყვარს, ბაჭია უზომოდ ცნობისმოყვარეა და ყველაფერი აინტერესებს, ამიტომ უამრავ შეკითხვას სვამს, ხოლო ბუ ძალან ჭკვიანია და ბევრი რამ იცის).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-4.** მუშაობა მოსწავლის რვეულში. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გააფერადონ წიგნის პერსონაჟები (შექმნან პერსონაჟის სახე).

(13 წუთი)

**გაკვეთილის შეჯამება:**

რა არის ბუნება? გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

## გე-4 გაკვეთილი

### სასკოლო ნივთები

#### გაკვეთილის ამოცანები:

მოსწავლეებმა შეძლონ სასკოლო ნივთების დასახელება და გაიაზრონ მათი დანიშნულება.

#### მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლეები ისწავლიან სასკოლო ნივთების დასახელებას, ისაუბრებენ მათი დანიშნულების შესახებ.

**უნარები, რომელთა განვითარებასაც ხელს შეუწყობს გაკვეთილი?**

ყურადღების კონცენტრაციის, მეტყველების განვითარებას.

#### გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაიხსენონ, რა უნდა აკეთონ სკოლაში: ისწავლონ, ითამაშონ, გაიჩინონ მეგობრები, გაიგონ საინტერესო ამბები და ა.შ და ამაში მათ სასკოლო ნივთები დაეხმარება.

(3 წუთი).

**აქტივობა მე-2.** ყველა მოსწავლე ასახელებს ერთ სასკოლო ნივთს და ხსნის მის დანიშნულებას. მაგ.: წიგნი, დააკვირდნენ სურათებს და ისაუბრონ მათ შესახებ, როდესაც კითხვას ისწავლიან, წაიკითხონ რა წერია. მოსწავლის რვეული – გააფერადონ, გამოჭრან, დააწებონ ნახატები, ფანქრები – გააფერადონ ნახატები, პენალი – ჩაალაგონ ფანქრები და კალმები და, ა.შ.

(15 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მუშაობა მოსწავლის რვეულში.

მასწავლებელი ამბობს, რომ ცნობისმოყვარე ბაჭია მათსავით პირველკლასელია და კარგად არ იცის, რა დასჭირდება სკოლაში ბუნების გაკვეთილზე; და სთხოვს მოსწავლეებს, დაეხმარონ ბაჭიას ჩანთის ჩალაგებაში. მოსწავლეებმა უნდა შემოხაზონ სასკოლო ნივთები და გააფერადონ.

(15 წუთი).

მასწავლებელი მუშაობს მოსწავლეებთან ინდივიდუალურად, ეხმარება, აძლევს კომენტარებს.

#### გაკვეთილის შეჯამება:

რაზე ვისაუბრეთ დღეს? გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

#### შეფასება:

მასწავლებელი მოსწავლის რვეულში შესრულებულ დავალებებს აფასებს.

სურათზე 6 სასკოლო ნივთია გამოსახული.

განმავითარებელი შეფასება	
5-6 სწორი პასუხი	ყოჩალ, დავალებას თავი კარგად გაართვი (თუ მოსწავლეს ერთი შეცდომა აქვს დაშვებული, შექების შემდეგ მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეს, კარგად დააკვირდეს ნახატებს, რადგანაც ერთი შეცდომა დაუშვა და შეეცადოს, აღმოაჩინოს).
3-4 სწორი პასუხი	დავალებას თავი კარგად გაართვი, მოდი, კიდევ ერთხელ შეხედე, ყველაფერი სწორად გაქვს შესრულებული? შეეცადე აღმოაჩინო შეცდომები.
1-2 სწორი პასუხი	მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება, რა შეასრულა სწორად და ეხმარება შეცდომების აღმოჩენაში (მაგ., რატომ ფიქრობ, რომ ქუდი სასკოლო ნივთია? შეგვიძლია ქუდის გამოყენება სწავლის პროცესში?).

## გე-5-6 გაკვეთილები

### მარჯვნივ-მარცხნივ

#### გაკვეთილის ამოცანები:

მოსწავლემ გამოიყენოს შესაბამისი მიმართებითი ტერმინები: მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან, შორს, ახლოს.

#### მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლეები შეძლებენ მიმართებითი ტერმინების ათვისებას, გამოიყენებენ ლოკალურ გა-რემოში ორიენტირებისთვის.

#### რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?

ყურადღების კონცენტრაციას, მეტყველების, გარემოში ორიენტირების უნარების განვითარებას.

#### გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფერადი ფანქრები, სახაზავი.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილების სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** იმისათვის რომ მოსწავლეები მოვამზადოთ გარემოში ორიენტირებისთვის, საჭიროა გავაცნოთ ცნებები მარჯვნივ – მარცხნივ, წინ – უკან და შორს – ახლოს.

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს ფეხზე ადგომას, აძლევს ინსტრუქციას; ავწიოთ მარჯვენა ხელი, მარცხენა ხელი. (მოსწავლეები ხშირად უკავშირებენ მარჯვენას ან მარცხენას იმ ხელს, რომლითაც წერენ/ხატავენ, ამისთვის მასწავლებელმა უნდა გაარკვიოს კლასში, რომელი მოსწავლეა მემარჯვენე და რომელი – ცაცია.

აქტივობის დასაწყისში მასწავლებელი თანმიმდევრულად ამბობს სიტყვებს – მარჯვენა, მარცხენა. თუ ბავშვი უშევებს შეცდომას, უსწორებს. შემდეგ დავალება რთულდება, მასწავლებელი ორჯერ ზედიზედ ამბობს მარჯვენას ან – მარცხენას.

(7 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მოსწავლეები სხედან მერხებთან, მასწავლებელი ყოველ მათგანს სთხოვს საკლასო ოთახში დაასახელონ ერთი ნივთი, რომელიც მათგან მარცხნივ/ მარჯვნივ არის მოთავსებული.

(15 წუთი)

**აქტივობა მე-3.** ეს აქტივობა მე-2 აქტივობის მსგავსია, მოსწავლეები ასახელებენ, თუ რომელი მოსწავლე ზის მათ წინ, უკან, შორს, ახლოს.

(10 წუთი)

#### გაკვეთილის შეჯამება:

რა მოგეწონათ დღეგანდელ გაკვეთილში? გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(3 წუთი)

## გე-6 გაკვეთილი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს წინა გაკვეთილზე შესრულებულ აქტივობებს (მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან, შორს, ახლოს).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაშალონ სახელმძღვანელო შესაბამის გვერდზე და დაასახელონ ის სხეულები, რომლებიც წიგნში მათგან მარჯვნივ და მათგან მარცხნივ ხატია.

(5 წუთი)

**აქტივობა მე-3.** სახელმძღვანელოს შემდეგ გვერდზე გამოსახულია ჭიამაია და მის გარშემო – ფიგურები. მოსწავლეები ასახელებენ, რომელი ფიგურაა ჭიამაიადან მარცხნივ, მარჯვნივ, წინ, უკან.

(5 წუთი)

**აქტივობა მე-3.** სამუშაო მოსწავლის რვეულში.

ცნობისმოყვარე ბაჭია სახლიდან გამოვიდა და სკოლაში უნდა წასვლა, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაეხმარონ მას.

მოსწავლეები ფანქრით გაავლებენ ხაზს სახლიდან სკოლამდე. დავალების შესრულებისას ინსტრუქციას აძლევს მასწავლებელი (მაგ., ბაჭია ჯერ მიდის წინ (გაავლებენ ხაზს), შემდეგ – მარჯვნივ და ა.შ.).

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, განმარტონ: ბაჭია გამოვიდა სახლიდან, საით წავიდა? (წინ), შემდეგ – მარჯვნივ – სურათის მიხედვით). სკოლა შორს არის თუ ახლოს? – შორს. ყვავილი – ახლოს.

(5 წუთი)

**აქტივობა მე-4.** მუშაობა წყვილებში. ერთი მოსწავლე აძლევს მეორეს ინსტრუქციას, საით წავიდეს. მაგ.: ორი ნაბიჯი წინ, ორი – მარჯვნივ და ა.შ. შემდეგ როლები იცვლება.

**ალტერნეტიული აქტივობა:**

მე-4 აქტივობის მსგავსად სრულდება წყვილებში, თუმცა, ამ შემთხვევაში, მოსწავლე თანაკლასელის ინსტრუქციების დახმარებით, რომელიმე ოპიექტამდე უნდა მივიდეს.

(13 წუთი)

**გაკვეთილის შეჯამება:**

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

**შეფასება:**

მასწავლებელს შეუძლია მოსწავლის რვეულში შესრულებული დავალება შეაფასოს.

განმავითარებელი შეფასება	
5-6 სწორი პასუხი	ყოჩად, დავალებას თავი კარგად გაართვი (თუ მოსწავლეს ერთი შეცდომა აქვს დაშვებული, შეების შემდეგ მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეს, კარგად დააკირდეს ნახატებს, რადგანაც ერთი შეცდომა დაუშვა და შეეცადოს, აღმოაჩინოს).
3-4 სწორი პასუხი	დავალებას თავი კარგად გაართვი, მოდი, კიდევ ერთხელ შეხედე, ყველაფერი სწორად გაქვს შესრულებული? შეეცადე აღმოაჩინო შეცდომები.
1-2 სწორი პასუხი	მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება, რა შეასრულა სწორად და ეხმარება შეცდომების აღმოჩენაში (მაგ., რატომ ფიქრობ, რომ ქოლგა ჭიამაიადან მარჯვნივ არის, მოდი, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომელია მარჯვენა ხელი, მარცხენა?).

## მე-7 გაკვეთილი

### ჩვენი სკოლა

**გაკვეთილის ამოცანები:**

მოსწავლემ ამოიცნოს და ჩამოთვალოს სასწავლო გარემოში არსებული ოპიექტები და ისაუბროს მათ დანიშნულებაზე. გაიმეოროს წინა გაკვეთილებზე წასწავლი მასალა.

**რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

მეტყველების, კომუნიკაბელურობის, ინდივიდუალურად მუშაობის უნარების განვითარებას.

## **მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლეები შეძლებენ სკოლის შენობაში ორიენტირებას, მიაგნებენ მათთვის საჭირო ობიექტებს, ისაუბრებენ კონკრეტული ობიექტის დანიშნულების შესახებ.

## **გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, მაკრატელი, წებო.

## **სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი**

**აქტივობა 1-ლი.** მუშაობა მოსწავლის რვეულში. მასალის გამეორება.

მოსწავლეებმა უნდა ამოქრან რვეულის გვერდის ზედა ნახევარში გამოსახული სურათები და მასწავლებლის ინსტრუქციის მიხედვით დააწებონ ბაჭიის გარშემო. მაგ.: ბურთი დავაწებოთ ბაჭიის მარჯვნივ, დათუნია – მარცხნივ, მერცხალი – წინ, კატა – უკან.

(15 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მოსწავლის წიგნში მოცემულია 6 სურათი სკოლის სხვადასხვა ობიექტის გა-მოსახულებით: სკოლის შენობა, საკლასო ოთახი, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, ტუალეტი, კიბე. მასწავლებელი უსხინის მოსწავლეებს, რომ სკოლა, ისევე როგორც სახლი, შედგება სხვა-დასხვა ნაწილისგან: საკლასო ოთახში მოსწავლეებს შეუძლიათ დასხდნენ მერხებთან, დაწერონ, წაიკითხონ, გააფერადონ, იმუშაონ ერთად ან – ცალ-ცალკე. სპორტულ დარბაზში – დაკავდნენ ფეხბურთით, კლასტურთით, ცეკვით, აერობიკით (გააჩნია, სკოლას რომელი ფიზიკური აქტივო-ბები აქვს არჩეული); ბიბლიოთეკაში უამრავი საინტერესო წიგნია, რომელთს წაკითხვასაც მოს-წავლები მალე შეძლებენ, არის ტუალეტი. მაგ.: სკოლა სამსართულიანია და ერთი სართულიდან მეორეზე კიბის დახმარებით შეგვიძლია ასვლა.

აღნიშნულზე შესაძლოა პედაგოგმა ისაუბროს, თუმცა, უმჯობესია, თითოეული ნახატის შე-სახებ დასვას შეკითხვა, მაგ.: რა არის ბიბლიოთეკა? და ბავშვებმა თვითონ გასცენ პასუხი. ბო-ლოს პედაგოგმა შეაჯამოს გაკვეთილი.

(17 წუთი)

## **გაკვეთილის შეჯამება:**

რა ვისწავლეთ დღევანდელ გაკვეთილზე? გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(3 წუთი)

## **შეფასება:**

მასწავლებელს შეუძლია მოსწავლის რვეულში შესრულებული დავალება შეაფასოს.

განმავითარებელი შეფასება	
4 სწორი პასუხი	ყოჩალ, დავალებას თავი კარგად გაართვი.
2-3 სწორი პასუხი	დავალებას თავი კარგად გაართვი, მოდი, კიდევ ერთხელ შეხედე, ყვე-ლაფერი სწორად გაქვს შესრულებული? შეეცადე აღმოაჩინო შეცდომები.
0-1 სწორი პასუხი	მასწავლებელი მოსწავლეს უუბნება, რა შეასრულა სწორად და ეხმარება შეცდომების აღმოჩენაში (მაგ., რატომ ფიქრობ, რომ ბუშტი ჭიამაიადან მარჯვნივ არის, მოდი, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომელია მარჯვენა ხელი, მარცხენა?).

## 80-8-9 გაკვეთილები

### ექსკურსია სკოლაში

#### გაკვეთილის ამოცანები:

მოსწავლემ ამოცნოს და ჩამოთვალოს სასწავლო გარემოში არსებული ობიექტები, ისაუბროს მათ დანიშნულებაზე. განსაზღვროს სკოლის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების მდებარეობა. მოახერხოს ორიენტირება სკოლის ტერიტორიაზე, გაეცნოს და დაიცვას სკოლაში გადაადგილების გარკვეული წესები.

#### მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლეები შეძლებენ გარემოში ორიენტირებას, გაეცნობიან და დაიცვენ სკოლაში გადაადგილების წესებს.

#### რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?

ყურადღების კონცენტრაციას, კომუნიკაციურობისა და მეტყველების განვითარებას.

#### გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:

სახელმძღვანელო.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

#### აქტივობა 1-ლი. სკოლაში გადაადგილებისას ქცევის წესების გაცნობა.

მასწავლებლის ტექსტი: ახლა ჭიამაია მაია ერთ ისტორიას მოგიყვებათ. ხომ გვახსოვს, რომ ცნობისმოყვარე ბაჭიაც თქვენსავით პირველკლასელია? პოდა, ბაჭიას მასწავლებელმა უთხრა, რომ უნდა დაიცვას სკოლაში გადაადგილებისას ქცევის წესები. დერეფანში არ ირბინოს და ტელეფონით არ ითამაშოს, კიბის სახელურზე არ შემოჯდეს. ბაჭიას არ მოეწონა ეს წესები და გადაწყვიტა, გაერკვია, თუ რატომ უნდა დაიცვას ისინი. ბრძენ ბუსთან მივიდა და ჰკითხა: ბრძენ ბუ, თუ იცი, რატომ არ უნდა ვირბინო და დერეფანში, ვითამაშო ტელეფონით, კიბის სახელურზე ჯდომა ხომ სახალისოა?

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაშალონ წიგნი შესაბამის გვერდზე. შემდეგ მიმართავს მოსწავლეებს: „თქვენი აზრით, რა უპასუხა ბუმ ბაჭიას?“

(8 წუთი)

#### აქტივობა მე-2. სკოლის ობიექტების დათვალიერება. სკოლის თანამშრომლების გაცნობა.

მასწავლებელი წინასწარ უთანხმდება სკოლის თანამშრომლებს მოსწავლეთა ვიზიტის შესახებ.

მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს სკოლის სხვადასხვა განყოფილებას და სთხოვს მათ დასახელებას, მოსწავლეები საუბრობენ ამა თუ იმ ობიექტის დანიშნულების შესახებ. პარალელურად, ბავშვები ეცნობიან სკოლის თანამშრომლებს. თითოეული თანამშრომელი ბავშვებს სკოლაში საკუთარ ფუნქციას აცნობს.

ექსკურსიის დროს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სკოლის ობიექტების განლაგებას (შემოსასვლელიდან მარჯვნივ, საკლასო ოთახიდან მარცხნივ), მასწავლებელი მოსწავლეებს ასწავლის ამა თუ იმ ობიექტამდე მისასვლელ ყველაზე მოკლე და მოსახერხებელ გზას.

გარდა ამისა, ექსკურსიის დროს მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს სკოლაში გადაადგილებისას საჭირო ქცევის წესებზე (დერეფანში, კბეზე). მასწავლებელი მოსწავლეებს განუმარტავს, რომ, ზოგიერთი წესი მათ უსაფრთხოებას განაპირობებს, ზოგიერთი კი – „ზრდილობიანი ბავშვების“ წესებია, მაგ., მისალმება სკოლის თანამშრომლებისთვის.

(25 წუთი)

(თუ პედაგოგს ექსკურსიისთვის მეტი დრო სჭირდება, შესაძლებელია პირველი აქტივობის მოდიფიცირება და შემცირება, ანდა, ექსკურსიის პერიოდში შეასრულონ აღნიშნული აქტივობა და სახელმძღვანელოში მოსწავლეები მომდევნო გაკვეთილზე ამუშაოს).

**გაკვეთილის შეჯამება:** რა იყო თქვენთვის საინტერესო დღევანდელ გაკვეთილზე? გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

## გვ-9 გაკვეთილი

### გაკვეთილის ამოცანები:

მოსწავლეები დაკვირვების საფუძველზე ქმნიან ნახატს, საუბრობენ სკოლის თანამშრომლების მოვალეობების შესახებ

### მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლეები შეძლებენ საუბარს სკოლის თანამშრომლების მოვალეობების შესახებ, რათა მიმართონ მათ საჭიროების შემთხვევაში.

### რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?

დაკვირვების, მეტყველების, კომუნიკაციურობის განვითარებას.

### გაკვეთილისთვის საჭირო მასალები:

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფერადი ფანქრები.

ექსკურსიის შემდეგ მოსწავლეები აგრძელებენ საუბარს საკლასო ოთახში.

## სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

### აქტივობა 1-ლი.

(5 წუთი)

ბავშვები პასუხობენ შემდეგ შეკითხვებს:

სკოლის რომელი განყოფილებები მოვინახულეთ?

სკოლის რომელი თანამშრომლები გავიცანით?

ქცევის რომელი წესები ვისწავლეთ?

**აქტივობა მე-2.** მოსწავლეები გადაშლიან წიგნს იმ გვერდზე, სადაც სკოლის თანამშრობლები არიან დახატული. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში, მათ უნდა ამოიცნონ სკოლის თანამშრომელი და იმსჯელონ, რა მოვალეობები აქვს მას სკოლაში.

(8 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მოსწავლეები გადაშლიან მოსწავლის რვეულს (ცარიელი გვერდი) და დახატავენ სკოლას ან სკოლის იმ ნაწილს, რომელიც ყველაზე მეტად მოეწონათ. დავალების შესრულების შემდეგ მასწავლებელი აწყობს ნახატების გამოყენას.

(20 წუთი)

**გაკვეთილის შეჯამება:** რა გავაკეთეთ დღევანდელ გაკვეთილზე? გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

### შეფასება:

მასწავლებელს შეუძლია კითხვებზე პასუხები და/ან წყვილებში მუშაობა შეაფასოს.

სასურველია, წყვილებში ურთიერთშეფასება გამოვიყენოთ.

1. კითხვებზე პასუხის შეფასება: ყოჩალ, კითხვას სწორად გაეცი პასუხი; დაფიქრდი და გაიხსენ;

2. წყვილებში მუშაობის შეფასება (ურთიერთშეფასება): მოსწავლეები ჯერ დამოუკიდებლად ამოიცნობენ სკოლის თანამშრომლებს, შემდეგ მიმართავენ ურთიერთგამოკითხვას (მაგ., ეს ვინ არის? – ექიმი. – როგორ მიხვდი?)

## მე-10-11 გაკვეთილები

### ქცევის წესები

#### გაკვეთილის ამოცანები:

მოსწავლეებმა მასწავლებლის დახმარებით, თანაკლასელებთან ერთად, შეიმუშაონ ქცევის წესები, გაიაზრონ მათი დაცვის საჭიროება.

#### მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლეები შეიმუშავებენ ლოკალურ გარემოში ქცევის წესებს, იმსჯელებენ თითოეული წესის დაცვის საჭიროებაზე.

#### რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?

დაკვირვების, ლოგიკური აზროვნების, თანამშრომლობის, დასკვნების გამოტანის.

#### გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფერადი ფანქრები.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მუშაობა წყვილებში. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, მოიფიქრონ ერთი შეკითხვა, რომელსაც თავის მეწყვილეს დაუსვამენ. თამაშის პირობა ასეთია: ყველა მოსწავლე მასწავლებლის ნიშნის შემდეგ ერთდროულად სვამს თავის შეკითხვას. კლასში მოსწავლეები აყაყანდებიან, სავარაუდოდ, ვერ გაიგებენ ერთმანეთის საუბარს. მასწავლებელი ყველას სთხოვს გაჩუმებას. შემდეგ ჯერ ერთი მოსწავლე დასვამს შეკითხვას და დაელოდება პასუხს, შემდეგ – მეორე...

**მასწავლებელი ეკითხება ბავშვებს:** რატომ ვერ გავიგეთ ერთმანეთის ნათქვამი, როდესაც ყველა ერთად საუბრობდა? (იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში შეუძლებელი იყო ერთმანეთის გაგება, იყო ყაყანი, ხმაური).

ე,ო. ჩვენ უნდა დაგვეცვა გარკვეული წესი: მოგვესმინა ერთმანეთისთვის.

#### შეკითხვა:

საჭიროა თუ არა წესების დაცვა?

(10 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მოსწავლეები წყვილებში ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს, აღწერენ თითოეულს და განმარტავენ, რომელი ბავშვი არ იცავს წესებს.

(8 წუთი)

**აქტივობა მე-3.** სკოლაში ქცევის წესების შემუშავება. მუშაობა მოსწავლის რვეულში.

მოსწავლეები შექმნიან ქცევის ერთი წესის ნახატს. ნახატების დასრულების შემდეგ მასწავლებელი აკეთებს გამოფენას.

(15 წუთი)

**გაკვეთილის შეჯამება:** გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

## მე-11 გაკვეთილი

### ქუჩაში, სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ქცევის წესები

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წყვილებში დაათვალიერონ სახელმძღვანელოში მოცემული სურათები და უპასუხონ, რომელი ადამიანი არღვევს ქცევის წესებს? რატომ ფიქრობენ ასე?

(5 წუთი)

**აქტივობა მე-2.** სახელმძღვანელოში მოცემულია რამდენიმე საგზაო ნიშნის ამსახველი სურა-თი, მოსწავლეები მასწავლებლის დახმარებით განსაზღვრავენ მათ დანიშნულებას.

(5 წუთი)

**აქტივობა მე-3.** საკლასო დისკუსია: „რატომ უნდა დავიცვათ სისუფთავე?”

წიგნში მოცემულია საკლასო ოთახისა და სკოლის ეზოს სურათები (სუფთა და დანაგვიანებული).

მოსწავლეები მსჯელობენ, რომელი სჯობს და რატომ?

(13 წუთი)

**აქტივობა მე-4.** მუშაობა მოსწავლის რვეულში: მოსწავლეებმა უნდა იპოვონ, რომელ სურათში არ იცავს ცნობისმოყვარე ბაჭია წესებს და შემოხაზონ.

(5 წუთი)

**გაკვეთილის შეჯამება:**

რაზე ვისაუბრეთ დღევანდელ გაკვეთილზე? გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

მასწავლებელს შეუძლია ასევე დატოვოს მოსწავლეების მიერ შექმნილი ქცევის წესები (ნა-სატები), ან დააწებოს დიდ ფორმატზე, რათა შემდგომში შეახსენოს მოსწავლეებს მათ მიერვე მოფიქრებული წესები.

**შეფასება:**

მასწავლებელს დისკუსიის შეფასება შეუძლია.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა ასეთნაირად ჩამოყალიბდეს: ყოჩაღ, აზრი გასაგებად ჩამოაყალიბე; ყოჩაღ, სწორი განმარტება გააკეთე; ყოჩაღ, კითხვას პასუხი სწორად გაეცი; შეგიძლია, კიდევ ერთხელ გაიმეორო შენი მოსაზრება? რატომ ფიქრობ ასე? თუ შეიძლება, კიდევ ერთხელ განგვიმარტე; კარგად დაფიქრდი, გაიხსენე და ისე უპასუხე კითხვას.

## მე-12 გაკვეთილი

### ექსკურსია სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე

**გაკვეთილის ამოცანები:**

მოსწავლემ ამოიცნოს და განმარტოს ქუჩაში მოძრაობის წესების ამსახველი პირობითი ნიშნები, იმსჯელოს მათი დაცვის აუცილებლობაზე, ისაუბროს ქუჩაში უსაფრთხო მოძრაობის წესების დაცვის შესახებ.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლეები ცნობენ ქუჩაში მოძრაობის წესების ამსახველ მარტივ პირობით ნიშნებს, საუბრობენ მათი დაცვის აუცილებლობის შესახებ, განმარტავენ რისკებს წესების დაცვის უგულებელყოფის შემთხვევაში.

**რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

გარემოში ორიენტირების, დასკვნების გამოტანის.

**გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს წინა გაკვეთილზე შესრულებულ აქტივობას, ქუჩაში უსაფრთხოდ მოძრაობის წესებისა და პირობითი ნიშნების შესახებ. შემდეგ მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათს, ასახელებენ გამოსახულ ობიექტებს, განმარტავენ მათ დანიშნულებას (ტროტუარი, გზის სავალი ნაწილი, საგზაო ნიშნები).

(10 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს სკოლის ტერიტორიას, აჩვენებს ეზოს, სპორტულ მოედანს, ყურადღებას ამახვილებს მწვანე ნარგავებზე, მათ სილამაზეზე. აჩვენებს თავისუფალი დროის შემთხვევაში (შესვენება, როდესაც უფროსებს ელოდებიან) თამაშისთვის უსაფრთხო ადგილებს. ადგილს, სადაც უფროსებს უნდა დაელოდონ გაკვეთილების დასრულების შემდეგ.

შემდეგ გაჟყავს სკოლის ტერიტორიიდან და აცნობს მიმდებარე ტერიტორიას. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს სახითათო ადგილებზე (მაგ., გზის სავალი ნაწილი). ესაუბრება სკოლასთან მიმავალი უსაფრთხო მარშრუტის შესახებ, ახსენებს უსაფრთხოების წესებს (ექსკურსიის მიმდინარეობა დამოკიდებულია კონკრეტული სკოლის მდებარეობასა და მისი შემოგარენის სპეციფიკაზე).

(25 წუთი)

## გვ-13 გაკვეთილი

### ჩემი სახლი

#### გაკვეთილის ამოცანები:

მოსწავლემ შეძლოს კორპუსისა და საკუთარი სახლის ერთმანეთთან შედარება, აღწეროს ბინაში არსებული განყოფილებები, ისაუბროს მათი დანიშნულების შესახებ. ზოგადად იმსჯელოს სახლის დანიშნულების შესახებ.

#### მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლეები ისაუბრებენ საკუთარ ბინასა და კორპუსს შორის მსგავსება-განსხვავებაზე, განმარტავენ ბინის დანიშნულებას, იმსჯელებენ ბინაში არსებული განყოფილებების შესახებ.

#### რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?

დაკვირვების, მსჯელობის, ლოგიკური აზროვნების, მეტყველების უნარების განვითარებას.

#### გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფერადი ფანქრები ან ფლომასტერები.

## სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი წიგნის პერსონაჟების ამბავს უყვება მოსწავლეებს:

ცნობისმოყვარე ბაჭია, ჭიამაია მაია და ბრძენი ბუ მეგობრების მოსანახულებლად წავიდნენ. ისინი ჯერ მარიამს ესტუმრნენ, რომელიც საკუთარ სახლში ცხოვრობს, ხოლო შემდეგ – ნიკას, რომელიც კორპუსში ცხოვრობს.

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაშალონ წიგნი იმ გვერდზე, სადაც გამოსახულია საკუთარი სახლისა და კორპუსის სურათები და სთხოვს, გაარკვიონ, სად ცხოვრობს მარიამი და სად – ნიკა? მოსწავლეებმა უნდა განმარტონ, როგორ ამოიცნეს შესაბამისი სახლი.

(სავარაუდო პასუხები: საკუთარ სახლში ცოტა სართულია, კორპუსში – ბევრი, კორპუსში ბევრი ადამიანი ცხოვრობს, საკუთარ სახლს აქვს ეზო და ა.შ.).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ სახლში არსებული ოთა-სები (განყოფილებები).

(3 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მოსწავლეები ათვალიერებენ მოსწავლის სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს (სადაც სახლის შემადგენელი განყოფილებებია გამოსახული), ასახელებენ მათ და საუბრობენ თითოეული ობიექტის დანიშნულების შესახებ.

(8 წუთი)

**აქტივობა მე-4.** მუშაობა მოსწავლის რვეულში: მოსწავლეები ცარიელ გვერდზე დახატავენ თავიანთ სახლს.

(15 წუთი)

**გაკვეთილის შეჯამება:**

მასწავლებელი სვამს შემდეგ კითხვებს:

რა საჭიროა სახლი? როგორი სახლები არსებობს? რომელი ოთახებისგან შედგება სახლი? აქვთ თუ არა სახლები ცხოველებს?

**გავიმეოროთ ახალი სიტყვები.**

(4 წუთი)

**შეფასება:**

მასწავლებელს შეუძლია კითხვებზე პასუხები შეაფასოს: ყოჩალ, კითხვას სწორად გაეცი პასუხი; დაფიქრდი და გაიხსენე.

## მე-14 გაკვეთილი

### აქვთ თუ არა სახლები ცხოველებს

**გაკვეთილის ამოცანები:**

მოსწავლეებმა გაიაზრონ სახლის დანიშნულება, ჩამოთვალონ ბინაში არსებული განყოფილებები და განმარტონ მათი ფუნქციები, გაიაზრონ, რომ ცხოველებსაც სჭირდებათ თავშესაფარი.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლეები დაასახელებენ სხვადასხვა ტიპის სახლს (საკუთარი სახლი, კორპუსი), იმსჯელებენ მათ შორის მსგავსება-განსხვავებაზე, ისაუბრებენ ბინის განყოფილებების დანიშნულების შესახებ. იმსჯელებენ ცხოველების თავშესაფრის აუცილებლობისა და დანიშნულების შესახებ.

**რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

დაკვირვების, ლოგიკური აზროვნების, შედარების, ბუნებაზე მზრუნველი დამოკიდებულების.

**გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფანქრები.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი ამეორებინებს მოსწავლეებს წინა გაკვეთილზე განხილულ მასალას: ბინის დანიშნულების შესახებ, ბინის განყოფილებების დანიშნულების შესახებ.

(7 წუთი)

**აქტივობა მე-2.** საკლასო დისკუსია. მასწავლებელი სვამს კითხვას: თქვენი აზრით, სად ცხოვრობენ ცნობისმოყვარე ბაჭია, ბრძენი ბუ და ჭიამაია? აქვთ თუ არა მათ სახლები? რაში სჭირდებათ ბუს, ბაჭიას და ჭიამაიას სახლები?

(15 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მუშაობა სახელმძღვანელოზე. მოსწავლეები ათვალიერებენ სურათებს, მასწავლებელი განმარტავს, რომ მერცხლის სახლს ბუდე ჰქვია, თაგვისას – სორო, ობობასას – ქსელი.

შემდეგ მასწავლებელი სვამს კითხვას, თუ მერცხალს ბუდეს დავუნგრევთ, რა საფრთხე და-ემუქრება მას?

თაგვს თუ სორო აღარ ექნება? ანდა ობობას – ქსელი?

(5 წუთი)

მასწავლებელი აკეთებს შეჯამებას, რომ ბუდე, სორო და ქსელი ამ არსებების სახლია და თუ მათ სახლი აღარ ექნებათ, შესაძლოა მტაცებლებმა ადვილად იპოვონ.

**აქტივობა მე-4.** მუშაობა მოსწავლის რვეულში.

ბავშვებმა ბუს, ჭიამაიას და ბაჭიას საკუთარი სახლები უნდა აპოვნინონ (შეაერთონ ხაზებით).

(5 წუთი)

**გაკვეთილის შეჯამება:**

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(3 წუთი)

**შეფასება:**

მასწავლებელს დისკუსიის შეფასება შეუძლია. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა ასეთ-ნაირად ჩამოყალიბდეს: ყოჩალ, აზრი გასაგებად ჩამოაყალიბე; ყოჩალ, სწორი განმარტება გაა-კეთე; ყოჩალ, კითხვას პასუხი სწორად გაეცი; შეგიძლია, კიდევ ერთხელ გაიმეორო შენი მო-საზრება? რატომ ფიქრობ ასე? თუ შეიძლება, კიდევ ერთხელ განგვიმარტე; კარგად დაფიქრდი, გაიხსენე და ისე უპასუხე კითხვას.

## მე-15 გაკვეთილი

### სახლი და სკოლა

**გაკვეთილის ამოცანები:**

მოსწავლემ დაასახელოს საკლასო ოთახში არსებული საგნები და ისაუბროს მათი დანიშნუ-ლების შესახებ, გარკვეული საგნები შეადაროს სახლში არსებულ საგნებს (აღნიშნული მოსწავ-ლებს დაეხმარება სკოლასა და სახლს შორის მსგავსების აღმოჩენაში და სკოლა მათთვის უფრო ახლობელი გახდება).

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლეები შეძლებენ საკლასო ოთახში არსებული საგნების დასახელებას და დანიშნულე-ბის ახსანას, შეადარებენ სახლში არსებულ საგნებს.

**რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

კომუნიკაციურობის, დაკვირვების, აღწერის, დასკვნების გამოტანის.

**გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო. მოსწავლის რვეული, ფერადი ფანქრები.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაათვალიერონ საკლასო ოთახის სუ-რათი (ან საკუთარი საკლასო ოთახი), დაასახელონ ოთახში არსებული საგნები და მათი დანიშნუ-ლება. მაგ.: სკამები – დასაჯდომად, მერხები – ნივთების დასალაგებლად და სამუშაოდ, დაფა – დასაწერად, წიგნების კარადა – წიგნების დასალაგებლად და ა.შ.

(9 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მოსწავლეები წიგნში ათვალიერებენ ბინის სურათს, ასახელებენ ნივთებს და მათ დანიშნულებას.

(8 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მუშაობა მოსწავლის რვეულში. მოსწავლეები შემოხაზავენ ისეთ საგნებს, რომლებიც სკოლაშიც არის და სახლშიც – წითელი ფანქრით, მხოლოდ სკოლაში – მწვანე ფანქ-რით, მხოლოდ სახლში – ლურჯი ფანქრით. გააფერადებენ იმ საგნებს, რომლებიც გვაქვს სკოლა-შიც და სახლშიც (აქტივობის შესრულებისას გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთ მოსწავლეს შესაძლოა სახლში აქვს დაფა ან მერხი, ისინი ამ საგნებს საერთო კატეგორიაში მოაქცევენ).

(15 წუთი)

**გაკვეთილის შეჯამება:**

რა ვისწავლეთ დღეს, გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(3 წუთი)

### **შეფასება:**

მასწავლებელს მოსწავლის რვეულში შესრულებული დავალებების შეფასება შეუძლია.

განმავითარებელი შეფასება	
7-8 სწორი პასუხი	ყოჩაღ, დავალებას თავი კარგად გაართვი (თუ მოსწავლეს ერთი შეცდომა აქვს დაშეგებული, შექების შემდეგ მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეს, კარგად დააკვირდეს ნახატებს, რადგანაც ერთი შეცდომა გაეპარა და შეეცადოს, აღმოაჩინოს).
4-6 სწორი პასუხი	დავალებას თავი კარგად გაართვი, მოდი, კიდევ ერთხელ შეხედე, ყველაფერი სწორად გაქვს შესრულებული? შეეცადე აღმოაჩინო შეცდომები.
1-3 სწორი პასუხი	მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება, რა შეასრულა სწორად და ეხმარება შეცდომების აღმოჩენაში (მაგ., რატომ ფიქრობ, რომ საწოლი სახლშიც გვაქვს და სკოლაშიც?). მოდი, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რა დანიშნულება აქვთ ნახატებზე გამოსახულ ნივთებს?

## **მე-2 თავი**

### **დღე და ღამე, წელიწადის დროები**

#### **თემის მიზანი:**

მოსწავლემ შეძლოს დღე-ღამის და წელიწადის დროებთან დაკავშირებული ცვლილებების აღწერა.

#### **მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლე ასახელებს ცვლილებებს დღე-ღამის განმავლობაში, ასახელებს დღე-ღამის მონაკვეთებს და უკავშირებს საკუთარ საქმიანობას, ასახელებს წელიწადის დროებს, საუბრობს განსხვავებებზე, შემოდგომისთვის დამახასიათებელ ამინდზე. საუბრობს ბუნებაში მომხდარი ცვლილებების შესახებ, ადამიანების ჩაცმულობასა და საქმიანობაზე.

ასახელებს კვირის დღეებს, განასხვავებს სასწავლო და უქმე დღეებს, უკავშირებს საკუთარ საქმიანობას.

#### **რა გზით მიიღწევა დასახული მიზნები:**

პირველ ეტაპზე მოსწავლეები სწავლობენ კვირის დღეების ჩამოთვლას, საუბრობენ კვირის სხვადასხვა დღეს საკუთარი საქმიანობის შესახებ.

შემდეგ ეცნობიან ამინდის მახასიათებლებს (წვიმა, ქარი, თოვლი, ცხელა, ცივა, მზე ანათებს).

მოსწავლეები სწავლობენ წელიწადის დროების ჩამოთვლას, საუბრობენ, როგორი ამინდია წელიწადის სხვადასხვა დროს.

ამ თავში მოსწავლეები საუბრობენ შემოდგომის შესახებ (თემის შესწავლა შემოდგომას ემთხვევა).

სწავლობენ შემოდგომის თვეების ჩამოთვლას, საუბრობენ, რა ცვლილებები ხდება ბუნებაში შემოდგომაზე.

საუბრობენ შემოდგომაზე ადამიანის საქმიანობის შესახებ, განასხვავებენ შემოდგომის ტანსაცმელს.

შემოთავაზებული აქტივობები სახალისო, საინტერესო და მრავალფეროვანია.

## კვირის დღეები

### გაკვეთილის ამოცანები:

მოსწავლე ჩამოთვლის კვირის დღეებს, დაუკავშირებს მათ საკუთარ საქმიანობას.

### მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლეები ჩამოთვლიან კვირის დღეებს თანმიმდევრულად, კვირის დღეებს უკავშირებენ საკუთარ საქმიანობას (მაგ.: ორშაბათს ვიწყებთ სწავლას, შაბათ-კვირას – ვისვენებთ, პარასკევს – ცეკვა მაქვს და ა.შ.).

### რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?

დამახსოვრების, მოვლენებს შორის კავშირის დამყარების, დასკვნების გამოტანის, კომუნიკაციურობის განვითარებას.

### გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:

სახელმძღვანელო, მოსწავლის რეზულტი, წინასწარ მომზადებული ბარათები 1-იდან 7-ის ჩათვლით (ბარათების რაოდენობა კლასში მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარეობს).

## სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს წინა გაკვეთილზე შესრულებულ აქტივობებს.

(3 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მასწავლებლის ტექსტი: ჭიამაია მაია, ცნობისმოყვარე ბაჭია და ბრძენი ბუგაკვეთილების შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს. მეგობრები ერთმანეთს უყვებოდნენ, თუ რა ისწავლეს დღეს გაკვეთილებზე. ცნობისმოყვარე ბაჭიამ თავი მოიწონა, მე კვირის დღეების ჩამოთვლა ვისწავლეო. მე ვიცი, რომ კვირაში 7 დღეაო. აბა ჩამოთვალეო, შესთავაზა ჭიამაია მაიამ. ბაჭიამ დაიწყო: ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, ექვსშაბათი... ბოლო სიტყვის გაგონებაზე ბუს და ჭიამაიას სიცილი აუტყდათ. ბავშვებო, როგორ ფიქრობთ, სწორად ასახელებდა ბაჭია კვირის დღეებს? ვის შეუძლია ბაჭიის დახმარება?

(3 წუთი)

მასწავლებელი აკეთებს შეჯამებას, რომ ერთ კვირაში 7 დღეა და მკაფიოდ გამოთქვამს კვირის დღეების სახელებს.

(2 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მოსწავლეები გადაშლიან სახელმძღვანელოს (ბაჭიას უჭირავს 7 ბუშტი), მასწავლებელი განმარტავს, რომ, რადგანაც კვირაში 7 დღეა, ციფრები კვირის დღეებს შეესაბამება და სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ კვირის დღეები. 1-ლი – ორშაბათი, მე-2 – სამშაბათი და, ა.შ.

(5 წუთი)

**აქტივობა მე-4.** ბავშვები დგებიან წრეში, მასწავლებელი ურიგებს წინასწარ მომზადებულ ბარათებს ციფრებით. ბარათები რიგდება თანმიმდევრულად ისე, რომ გვერიდგვერდ მდგომ მოსწავლეებს არ ჰქონდეთ ერთნაირი ციფრები. მოსწავლე, როგორსაც აქვს ციფრი – 1-ლი ამბობს – ორშაბათი, ციფრი – მე-2 – სამშაბათი და ასე. კვირის ჩათვლით. ბავშვები აქტივობას ორჯერ იმეორებენ.

(15 წუთი)

**აქტივობა მე-5.** მუშაობა მოსწავლის რეზულტი.

(5 წუთი)

ბავშვები მუშაობენ წყვილებში, მათ უნდა ამოიცნონ, კვირის რომელ დღეებს აღნერს სურათები (პიკნიკი – დასვენების დღეებს – შაბათ-კვირას, ხოლო მეორე სურათი – კვირის სასწავლო დღეებს).

### გაკვეთილის შეჯამება:

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

## **შეფასება:**

სასურველია, მოსწავლეებმა წყვილებში მეშაობისას ერთმანეთი შეაფასონ. მოსწავლები (წყვილებში) ერთმანეთს უსვამენ კითხვებს, სთხოვენ, განმარტონ, როგორ ამოიცნეს კვირის რო-მელ დღეებს აღწერს ნახატები.

## **მე-17 გაკვეთილი**

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი მოსწავლეებს ამეორებინებს წინა გაკვეთილზე განხილულ მა-სალას (კვირის დღეებს, სასწავლო და უქმე დღეებს).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-2.** თითოეული მოსწავლე გამოდის დაფასთან და ყვება თავისი საქმიანობის შე-სახებ კვირის დღეების მიხედვით.

(20 წუთი)

**აქტივობა მე-3.** გაკვეთილის შეჯამება. თამაში „კი-არა“.

მასწავლებელი ამბობს ფრაზებს, თუ ფრაზა სწორია, მოსწავლეები ამბობენ „კი“ და ტაშს უკრავენ, თუ არასწორია – „არა“, ასწორებენ და ფეხებს აბაკუნებენ.

(5 წუთი)

1. ორშაბათი კვირის პირველი დღეა;
2. კვირა სასწავლო დღეა (უქმეა);
3. ხუთშაბათის შემდეგ შაბათია (პარასკევია);
4. კვირის შემდეგ ორშაბათია;
5. სამშაბათის წინ – ორშაბათია;
6. ოთხშაბათი უქმე დღეა (სასწავლო დღეა).

## **მე-18 გაკვეთილი**

### **როგორი ამინდია?**

#### **გაკვეთილის ამოცანები:**

მოსწავლეებმა დაასახელონ ამინდის შემადგენელი კომპონენტები, გამოიყენონ კონკრეტული დღის დასახასიათებლად.

#### **მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლეები დაასახელებენ ამინდის კომპონენტებს, იმსჯელებენ კონკრეტული დღის ამინ-დის შესახებ.

#### **რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

დაკვირვების, აღწერის, დასკვნების გამოტანის, კომუნიკაციების.

#### **გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფერადი ფანქრები.

## **სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი**

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, გარეთ გაიხედონ და თქვან, როგორი ამინ-დია.

ზოგიერთი მოსწავლე იტყვის კარგი (ცუდი) ამინდია, მასწავლებელმა უნდა იკითხოს, რას ნიშნავს კარგი (ცუდი) ამინდია? (სავარაუდო პასუხები – მზე ანათებს, მოღრუბლულია, ქარია, ცი-ვა – გაკვეთილის ჩატარების დღეს ამინდიდან გამომდინარე).

(5 წუთი)

მასწავლებელი აკეთებს შეჯამებას, რომ კარგი დარია ვამბობთ, როდესაც მზე ანათებს, თბი-ლა, ცა მოწმენდილია, და – ავდარია, როდესაც წვიმს, ძლიერი ქარია, ცივა.

(2 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მუშაობა წყვილებში. მოსწავლეებმა სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდზე უნდა ამოიცნონ, რომელი ასახავს დარს და რომელი – ავდარს, პასუხები განმარტონ.

(10 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში სურათებს (ძლიერი და სუსტი წვიმა, ძლიერი და სუსტი ქარი), აღწერენ და მსჯელობენ, რომ წვიმაც და ქარიც სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს.

(3 წუთი)

**აქტივობა მე-4.** მასწავლებლის ტექსტი. ჩვენმა ცნობისმოყვარე ბაჭიამ დილას გაიღვიძა, გაიხედა ფანჯრიდან და დალონდა, გარეთ წვიმდა, ქროდა ძლიერი ქარი, არადა, ხვალ ბაჭია და მისი თანაკლასელები ექსკურსიაზე აპირებდნენ წასვლას. ბაჭიამ ინატრა, ნეტავ ხვალ კარგი ამინდი იყოს.

მუშაობა მოსწავლის რვეულში: ბავშვებო, დავხატოთ, როგორი ამინდი დახვდა ბაჭიას გარეთ? შემდეგ გვერდზე კი – ბაჭიას კარგი ამინდი დავუხატოთ, რათა ექსკურსიაზე შეძლოს წასვლა.

(15 წუთი)

#### გაკვეთილის შეჯამება:

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

#### შეფასება:

მასწავლებელს შეუძლია წყვილებში მუშაობა და ურთიერთშეფასება გამოიყენოს. მოსწავლები (წყვილებში) ერთმანეთს უსვამენ კითხვებს, სთხოვენ, განმარტონ, როგორ ამოიცნეს, რომელი ნახატი ასახავს დარს და რომელი – ავდარს.

## მე-19 გაკვეთილი

### წელიწადის დროები

#### გაკვეთილის ამოცანები:

მოსწავლემ დაასახელოს წელიწადის დროები, იმსჯელოს მათ განმასხვავებელ ნიშნებზე. ისაუბროს თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელ ამინდზე.

#### მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლე დაასახელებს წელიწადის დროებს, იმსჯელებს მათ განმასხვავებელ ნიშნებზე.

#### რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?

აღწერის, დაკვირვების, დასკვნების გამოტანის.

#### გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, სურათები წელიწადის სხვადასხვა სეზონის გამოსახულებებით (აღნიშნული გამოსახულებები შესაძლოა მასწავლებელმა მოსწავლეებს კომპიუტერში აჩვენოს).

## სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი მოსწავლეებს ამეორებინებს წინა გაკვეთილზე შესრულებულ აქტივობებს (რას ნიშნავს დარი და ავდარი).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ წელიწადის დროები. შემდეგ აკეთებს შეჯამებას, რომ წელიწადის ოთხი დრო არსებობს, ესენია: შემოდგომა, ზამთარი, გაზაფხული და ზაფხული. მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს, ამოიცნობენ, რომელ სურათზე წელიწადის რომელი დროა გამოსახული. პასუხებს ასაბუთებენ.

(10 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მუშაობა მოსწავლის რვეულში. მოსწავლეებმა მოცემული სურათები (შესაძლებელია სახელმძღვანელოც დაიხმარონ) შესაბამისი ფერების გამოყენებით უნდა გააფერადონ.

(18 წუთი)

**გაკვეთილის შეჯამება:**  
გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

## მე-20 გაკვეთილი

### შემოდგომა

**გაკვეთილის ამოცანები:**

მოსწავლეები აღწერს შემოდგომის ამინდს, ცვლილებებს ბუნებაში, ასახელებს შემოდგომის თვეებს.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლეები დაასახელებენ შემოდგომის თვეებს, აღწერენ, რა ცვლილებები მოხდა ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაში, იმსჯელებენ შემოდგომის ამინდის შესახებ.

**რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

დაკვირვების, აღწერის, დასკვნების გამოტანის.

**გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფერადი ფანქრები, მაკრატელი, წებო.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი მოსწავლეებს ამეორებინებს წინა გაკვეთილის მასალას, მოსწავლეები ასახელებენ წელიწადის დროებს.

(3 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათს (ხეზე 12 წრეა გამოსახული). მასწავლებელი სვამს შეკითხვას, თუ რას უნდა ნიშნავდეს 12 წრე? შემდეგ აკეთებს განმარტებას, რომ ერთ წელიწადში 12 თვეა, რომ წელიწადში არის ოთხი დრო და თითოეული დრო შეიცავს 3 თვეს (მასწავლებელს შეუძლია 12-ვე თვე ჩამოთვალოს, თუმცა ეს გაკვეთილი არ ისახავს მიზნად წელიწადის ყველა თვის დამახსოვრებას, ამას ბავშვები დროთა განმავლობაში, კონკრეტული წელიწადის დროს შესწავლისას შეძლებენ).

მასზავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის თემას, რომ დღეს შემოდგომის შესახებ ისაუბრებენ. სვამს შეკითხვას, თუ შეუძლიათ, ჩამოთვალონ შემოდგომის თვეები (სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში, ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ შემოდგომის სურათებს; მსჯელობენ, როგორი ამინდია ხშირად შემოდგომაზე.

(5 წუთი)

**აქტივობა მე-4.** მუშაობა მოსწავლის რვეულში. მოსწავლეებმა უნდა ამოჭრან ის ფიგურები, რომლებიც შემოდგომის სურათის შესაქმნელად გამოადგებათ (სავარაუდოდ, უნდა დატოვონ მერცხალი, თუ არ დატოვეს, მაინც სწორი იქნება, რადგანაც მერცხლების მეორე ჯგუფი სექტემბრის ბოლოს მიფრინავს თბილ ქვეყნებში), დააწებონ ცარიელ გვერდზე და გააფერადონ. მასწავლებელი მოსწავლეებს ინდივიდუალურად ეხმარება საჭიროების შემთხვევაში.

(20 წუთი)

**გაკვეთილის შეჯამება:**  
გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

**შეფასება:**

მასწავლებელი დამოუკიდებელ სამუშაოს აფასებს.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა ასეთნაირად ჩამოყალიბდეს: ყოჩალ, დავალებას სწორად ასრულებ; ძალიან ლამაზი სურათი გამოგივიდა; სწორია, შემოდგომაზე ხშირად წვიმს, დაფიქრდი და გაიხსენე, რა ფერის ხდება ფოთლები შემოდგომაზე? ყველაფერს სწორად აკეთებ, ოღონდ ცოტა სწორაფად იმუშავე.

## ცხოველები და მცენარეები შემოდგომაზე

### გაკვეთილის ამოცანები:

მასწავლებელი ასახელებს შემოდგომაზე მცენარეებში მომხდარ ცვლილებებს. ჩამოთვლის შემოდგომაზე ცხოველების ქცევას, განმარტავს ქცევის მიზეზებს.

### მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლე ასახელებს, თუ რა ცვლილებები მოხდა მცენარეებში (გაყვითლდა ფოთლები და დაინტერესი ფოთოლურენა, დამწიფვა ყურძენი, სხვა ხილიც), ასახელებს და მსჯელობს ცხოველების ქცევაზე, განმარტავს მიზეზებს.

### რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?

დაკვირვების, აღნერის, მეტყველების განვითარების, კომუნიკაციურობის.

### გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფერადი ფანქრები, წებო, ფერადი ფურცლები.

## სავარაუდო აქტივობები / გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი მოსწავლეებს ამეორებინებს წინა გაკვეთილზე შესრულებულ აქტივობებს (წელიწადის დროებს, შემოდგომის თვეებს).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს, განმარტავენ, რა ცვლილებები განიცადა მცენარეებმა შემოდგომაზე (ფოთლები გაყვითლდა, დაინტერესი ფოთოლურენა, ყურძენი დამწიფვა).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-3.** სახელმძღვანელოს შემდეგ გვერდზე მოცემულია ცხოველების სურათები (დათვი, ციყვი, მერცხალი, ბეღურა, ბაჭია). მასწავლებელი აკეთებს კომენტარს, რომ, რადგანაც შემოდგომის შემდეგ ზამთარი მოდის, ზოგიერთი ცხოველი ემზადება ზამთრის შესახვედრად.

შემდეგ უყვება ამბავს, რომ ცნობისმოყვარე ბაჭიას გზაზე შეხვდა ციყვი, რომელიც რკოს მიარცხნინებდა. ბაჭიამ ჰქითხა, სად მიგაქვს რკო? ციყვმა უპასუხა, ფულურობი, ზამთარი გრძელია და საკვები უნდა მოვიმარავო, რომ არ მომშივდესო.

მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, თუ იციან, როგორ ემზადებიან სურათზე გამოსახული სხვა ცხოველები ზამთრისთვის?

(დათვი ბევრს ჭამს, რომ გასუქდეს (იმიტომ, რომ ზამთარში საკვებს ვეღარ იშოვის), მერცხლები თბილ ქვეყნებში გაფრინდებიან (მხოლოდ მწერებით იკვებებიან, ხოლო ზამთარში მწერები დამალულნი არიან), ბეღურა და ბაჭია თავიანთ სახლებში დარჩებიან –ისინი ზამთარშიც იპოვიან საკვებს).

(10 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მუშაობა მოსწავლის რვეულში: მოსწავლეები იმ ცხოველებს, რომლებიც ზამთრისთვის ემზადებიან, შემოხაზავენ ლურჯი ფანქრით, ვინც არ ემზადება – მწვანით.

(5 წუთი)

**აქტივობა მე-4.** თამაში „შემოდგომა“ (გაკვეთილის შეჯამება). მასწავლებელი ამბობს ფრაზებს და უშვებს შეცდომებს. შეცდომის შემთხვევაში მოსწავლეები მერხზე აკაკუნებენ, შემდეგ შეცდომას ასწორებენ.

1. შემოდგომაზე უფრო ცხელა, ვიდრე ზაფხულში (ცივა);
2. შემოდგომაზე ფოთლები ყვითლდება და ცვივა;
3. შემოდგომაზე ხშირად წვიმს;
4. შემოდგომაზე დათვი იძინებს (ბევრ საკვებს მიირთმევს);
5. შემოდგომაზე მერცხლები ჩვენთან ბრუნდებიან (მიფრინავენ თბილ ქვეყნებში);
6. შემოდგომაზე კურდლელი საკვებს იმარაგებს (არ იმარაგებს);
7. შემოდგომაზე ბეღურები თბილ ქვეყნებში მიფრინავენ (ჩვენთან რჩებიან);
8. შემოდგომაზე ხშირად ქრის ძლიერი ქარი;

9. შემოდგომაზე უფრო ცივა, ვიდრე ზაფხულში;
10. შემოდგომის თვეებია აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი (სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი).

(15 წუთი)

გაკვეთილის დასასრულს, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, შემდეგი გაკვეთილისთვის მოიტანონ მცენარის რამდენიმე ფოთოლი.

### **შეფასება:**

მასწავლებელს შეუძლია მოსწავლის რვეულში შესრულებული დავალებების შეფასება.

	განმავითარებელი შეფასება
4-5 სწორი პასუხი	ყოჩაღ, დავალებას თავი კარგად გაართვი (თუ მოსწავლეს ერთი შეცდომა აქვს დაშვებული, შექების შემდეგ მასწავლებელი უუბნება მოსწავლეს, კარგად დააკვირდეს ნახატებს, რადგანაც ერთი შეცდომა აქვს დაშვებული და შეეცადოს, აღმოაჩინოს).
2-3 სწორი პასუხი	დავალებას თავი კარგად გაართვი, მოდი, კიდევ ერთხელ შეხედე, ყველაფერი სწორად გაქვს შესრულებული? შეეცადე აღმოაჩინო შეცდომები. დაფიქრდი და გაიხსენე...
1 სწორი პასუხი	მასწავლებელი მოსწავლეს უუბნება, რა შეასრულა სწორად და ეხმარება შეცდომების აღმოჩენაში (მაგ., რატომ ფიქრობ, რომ ბელურა ზამთრისთვის ემზადება? როგორ ემზადება ზამთრისთვის ციყვი?).

**სწორი პასუხები:** ზამთრისთვის ემზადება: დათვი და ციყვი.

## **22-ი გაკვეთილი**

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი ამეორებინებს მოსწავლეებს წინა გაკვეთილის მასალას (როგორ იცვლება მცენარეები შემოდგომაზე და როგორ ემზადებიან ზამთრისთვის ცხოველები).

(5 წუთი).

**აქტივობა მე-2.** მასწავლებელს გაჰყავს მოსწავლეები ეზოში, სადაც ბავშვები ფერად ფოთლებს მოაგროვებენ.

(10 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მუშაობა წყვილებში, მოსწავლის რვეულში. კოლაჟის შექმნა. მასწავლებლის თხოვნით, მოსწავლეებს მცენარის რამდენიმე ფოთოლი უნდა მოეტანათ ან, რადგანაც შესაძლებელია, რომ გაკვეთილის დღეს ცუდი ამინდი იყოს და ბავშვებმა ვერ შეძლონ ფოთლების მოგროვება (არის ალბათობა, რომ რომელიმე მოსწავლემ ფოთლები ვერ მოიტანოს, ამიტომ, სასურველია, ფოთლები პედაგოგმა მოაგროვოს, რომ ყველა მოსწავლემ შეძლოს მუშაობა).

მოსწავლეები მოსწავლის რვეულში ქმნიან შემოდგომის სურათს. კოლაჟის შექმნისას მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ ფერადი ფურცლები, ფანქრები.

(20 წუთი)

აქტივობის დასრულების შემდეგ მასწავლებელი აკეთებს კოლაჟების გამოფენას (ამაგრებს კედელზე, პლაკატზე).

### **ალტერნატიული აქტივობა:**

(თუ გაკვეთილზე მოსწავლეები წინასწარ მომზადებულ ფოთლებს გამოიყენებენ)

თამაში „შემოდგომის განწყობა ამინდის მიხედვით“: მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში. ჯერ ერთი მოსწავლე წარმოადგენს პანტომიმას და მეორემ უნდა ამოიცნოს, როგორი ამინდი განასახიერა მისმა მეწყვილემ, შემდეგ როლები იცვლება (მაგ.: მხიარული სახე – მზიანი ამინდი, ვითომ ქოლგა უჭირავს – წვიმს, უჭირს სიარული – ქარი ქრის და ა.შ.).

## 23-ე გაკვეთილი

### როგორ იმოსებიან და რას საქმიანობენ ადამიანები შემოდგომაზე

**გაკვეთილის ამოცანები:**

მოსწავლე ჩამოთვლის წელიწადის დროების მიხედვით ადამიანის საქმიანობას, ახარისხებს ტანსაცმელს წელიწადის დროების მიხედვით.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლე დაასახელებს ადამიანის საქმიანობას შემოდგომაზე, ამოარჩევს შემოდგომის ტანსაცმელს, დაასაბუთებს საკუთარ არჩევანს.

**რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

დაკვირვების, აღწერის, შედარების, დასკვნების გამოტანის.

**გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, წებო, მაკრატელი, ფერადი ფანქრები.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებლის ტექსტი. ჭიამაია მაია, ცნობისმოყვარე ბაჭია და ბრძენი ბუ მეგობრებმა რთველში დაპატიჟეს. არც ერთი მათგანი ადრე არ ყოფილა რთველში და არ იციან, იქ რა უნდა გააკეთონ. ბავშვებო, დავეხმაროთ და ავუხსნათ, რა არის რთველი?

(5 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მუშაობა წყვილებში. მოსწავლეები ათვალიერებენ სურათებს (რთველი, ჩურჩელის გავლება), აღწერენ მათ და განმარტავენ, ადამიანის რომელი საქმიანობაა გამოსახული თითოეულ მათგანზე.

(5 წუთი)

მასწავლებელი აკეთებს შეჯამებას, რომ შემოდგომაზე ადამიანები იღებენ და აბინავებენ მოსავალს.

**აქტივობა მე-3.** მუშაობა მოსწავლის რვეულში. რა არის ზედმეტი? მოსწავლეებმა ორივე ოთხკუთხედში უნდა აღმოაჩინონ, რომელი სხეულია ზედმეტი, დაასაბუთონ საკუთარი არჩევანი (პირველ შემთხვევაში ზედმეტია ყოჩივარდა, ხოლო მეორეში – რთველი).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-4.** მასწავლებელი სვამს კითხვას, როგორ ტანსაცმელს ვიცვამთ შემოდგომაზე? რატომ?

შემდეგ მოსწავლეები მუშაობენ მოსწავლის რვეულში, მათ გოგონას და ბიჭუნას უნდა შეურჩიონ შემოდგომისთვის შესაფერისი ტანსაცმელი და „ჩააცვან მათ“.

(20 წუთი)

**შეფასება:**

მასწავლებელს ურთიერთშეფასების გამოყენება შეუძლია: მოსწავლეები ერთმანეთს კითხვებს უსვამენ (მაგ., რას აკეთებს ბებია? რა არის რთველი?)

## 20-3 თავი

### ცოცხალი ორგანიზმები

**თემის მიზანი:**

მოსწავლემ შეძლოს ცოცხალი სხეულების აღწერა არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით.

მისაღწევი შედეგები: მოსწავლე აღწერს ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებას, ადგენს მათ შორის კავშირს, აჯგუფებს სხეულებს ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებად, ასახელებს ცოცხალი ორგანიზმებისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს.

მოსწავლე ასახელებს დაკვირვებად ცვლილებებს დღე-ღამის განმავლობაში, ასახელებს დღე-ღამის მონაცემებს და უკავშირებს საკუთარ საქმიანობას.

მსჯელობს, თუ რატომ ანათებს მთვარე.

განასხვავებს დღის და ღამის ცხოველებს, მსჯელობს მათი ქცევების თავისებურებებზე დღე-ღამის განმავლობაში.

ჩამოთვლის ზამთრისა და გაზაფხულის თვეებს, ასახელებს ცხოველების ქცევას ზამთარში და გაზაფხულზე, მოჰყავს ზამთარში და გაზაფხულზე მცენარეებისთვის დამახასიათებელი ცვლილებების მაგალითები. ჩამოთვლის ადამიანის საქმიანობას ზამთრისა და გაზაფხულის პერიოდებში, გამოარჩევს ზამთრისა და გაზაფხულის ტანსაცმელს. იცავს უსაფრთხოების წესებს თოვლში თამაშისას, ყინულზე გადაადგილებისას.

საუბრობს საქართველოში ახალი წლის ტრადიციებზე.

აღნერს საკუთარ თავს და თანაკლასელებს თვალსაჩინო გარეგნული ნიშნების მიხედვით.

აჯგუფებს ცოცხალ ორგანიზმებს მცენარეებად და ცხოველებად.

ამოიცნობს და ასახელებს ნაცნობი მცენარეების ნაწილებს; საუბრობს მცენარეთა მრავალფეროვნებაზე; აკვირდება და ადარებს სხვადასხვა მცენარეს ფოთლების, ნაყოფის, თესლის მიხედვით; მსჯელობს ადამიანისთვის მცენარეების მნიშვნელობაზე.

ახასიათებს ცხოველებს, მათ მნიშვნელობას ადამიანისთვის; მსჯელობს ბუნების მრავალფეროვნების შესახებ; მოჰყავს შინაური და გარეული ცხოველების მაგალითები.

აღნერს და ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ცხოველის სხეულის ნაწილებს; აწყობს ფრაგმენტებისგან ცხოველის სხეულის მოდელს.

### რა გზით მიიღწევა დასახული მიზნები:

თემის შესწავლისას მოსწავლეები ცოცხალსა და არაცოცხალ ბუნებას, სწავლობენ ცოცხალი ორგანიზმებისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს.

ეცნობიან ცვლილებებს დღე-ღამის განმავლობაში, გაიაზრებენ, თუ რატომ ანათებს მთვარე, ატარებენ ცდას. მოსწავლეებს დღე-ღამის მონაკვეთების განხილვისას, საკუთარი საქმიანობის მაგალითები მოჰყავთ, რაც მათ აღნიშვნული თემის შესწავლას უადვილებს.

შემდეგ მოსწავლეები განიხილავენ ზამთრის სეზონს, სწავლობენ ზამთრის თვეებს, აკვირდებიან ცვლილებებს ბუნებაში, სწავლობენ ზამთრისა და გაზაფხულის ტანსაცმლის შერჩევას. ამაში მათ მოსწავლის რვეულში მოცემული სახალისო აქტივობები ეხმარება.

მოსწავლეები ასევე განიხილავენ სხეულის ნაწილებს, ახასიათებენ ერთმანეთს, რაც გაკვეთილებს უფრო სახალისოს გახდის.

მცენარეებისა და ცხოველების განხილვისას, მოსწავლეები პევრ პრაქტიკულ სამუშაოს ასრულებენ, განიხილავენ მცენარეს, აკვირდებიან აღმონაცენს, ჭიაყელას ქცევებს. ცხოველების და მცენარეების ორგანოების შესწავლისას აწყობენ მათ მოდელებს.

## 24-ი გაკვეთილი

### ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება

#### გაკვეთილის ამოცანები:

მოსწავლემ გაიაზროს ცნებები – ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება, დაადგინოს მათ შორის კავშირი, დააჯგუფოს სხეულები ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებად. განუვითარდეს ბუნებისადმი მზრუნველი დამოკიდებულება.

#### მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლე დააჯგუფებს ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების სხეულებს, ისაუბრებს მათ შორის კავშირის შესახებ. განუვითარდება ბუნებისადმი მზრუნველი დამოკიდებულება.

#### რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?

დაკვირვების, მეტყველების, დამოუკიდებლად მუშაობის.

#### გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფერადი ფანქრები.

## სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემული ბუნების სურა-თებს, იხსენებენ, რა არის ბუნება.

(5 წუთი)

მასწავლებელი აკეთებს დასკვნას, რომ ბუნება არის ყველაფერი ჩვენ გარშემო, რაც ადამი-ანს არ შეუქმნია.

**აქტივობა მე-2.** მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოს იმ გვერდს, სადაც ცოცხალი და არაცოცხალი სხეულებია გამოსახული. მასწავლებელი სვამს შეკითხვას, – „რა საერთო აქვთ ამ სურათებზე გამოსახულ სხეულებს? (ოთხივეზე ბუნებაა აღპეჭდილი).

რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან? (მოსწავლეებმა შესაძლოა ვერ გასცენ ჩვენთვის სასურველი პასუხი). მათი მოსაზრების შემდეგ მასწავლებელი ამბობს, რომ ბუნება არსებობს ცოცხალი და არაცოცხალი.

ცოცხალია ყველა მცენარე, ცხოველი, სოკო, ადამიანი, ფრინველი, მწერი (ამ ეტაპზე მოსწავლეებმა არ იციან ცხოველთა სამეფოს ცნება, ამიტომ, შესაძლებელია, ცხოველთა სამეფოს რამდენიმე კლასის დასახელება) და მათ მეორენაირად ცოცხალ ორგანიზმებს უწოდებენ.

**არაცოცხალია:** ქვა, დედამიწა, მთა, წყალი, ლრუბლები, ქვიშა, ჰაერი.

(10 წუთი)

(მასწავლებელი ამ გაკვეთილზე არ საუბრობს ცოცხალი ორგანიზმის ნიშან-თვის შებებზე, აღ-ნიშნულ თემას შემდეგი გაკვეთილი ეთმობა, თუმცა, მოსწავლეთა კითხვებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ამის განხილვაც).

**აქტივობა მე-3.** სამუშაო მოსწავლის რვეულში. მოსწავლეებმა ცოცხალი ორგანიზმები მწვანე ფანჯრით უნდა შემოხაზონ, არაცოცხალი – ლურჯით, შემდეგ სურათები გააფერადონ. მასწავლებელი ყველა მოსწავლესთან ინდივიდუალურად მუშაობს, ეხმარება საჭიროების შემთხვევაში.

(18 წუთი)

**გაკვეთილის შეჯამება:**

გავიმოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

**შეფასება:**

მასწავლებელს მოსწავლის რვეულში შესრულებული დავალებების შეფასება შეუძლია.

განმავითარებელი შეფასება	
5-6 სწორი პასუხი	ყოჩად, დავალებას თავი კარგად გაართვი (თუ მოსწავლეს ერთი შეცდომა აქვს დაშვებული, შექების შემდეგ მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეს, კარგად დააკვირდეს ნახატებს, რადგანაც ერთი შეცდომა დაუშვა და შეეცადოს, აღმოაჩინოს).
3-4 სწორი პასუხი	დავალებას თავი კარგად გაართვი, მოდი, კიდევ ერთხელ შეხედე, ყველაფერი სწორად გაქვს შესრულებული? შეეცადე აღმოაჩინო შეცდომები. რატომ თვლი, რომ ქვა ცოცხალია?
1-2 სწორი პასუხი	მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება, რა შეასრულა სწორად და ეხმარება შეცდომების აღმოჩენაში (მაგ., რატომ ფიქრობ, რომ გვირილა არ არის ცოცხალი?), დაფიქრდი და გაიხსენე.

**სწორი პასუხები:**

ცოცხალია: სოკო, ჭიამაია, გვირილა;

არაცოცხალია: ქვა, ლრუბელი, მთა.

## 25-ი გაკვეთილი

### ცოცხალი ორგანიზმების ნიშან-თვისებები

#### გაკვეთილის ამოცანები:

მოსწავლეებმა შეძლონ განასხვაონ ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება, მოახდინონ შედარება, დაასახელონ ცოცხალი ორგანიზმებისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები.

#### მოსალოდნებლი შედეგები:

მოსწავლეები ასხვავებენ ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებრივ სხეულებს, ასახელებენ ცოცხალი ორგანიზმის ნიშან-თვისებებს.

#### რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?

დაკვირვების, ლოგიკური აზროვნების, კომუნიკაბელურობის.

#### გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მუშაობა წყვილებში. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დაათვალიერონ სახელმძღვანელოში მოცემული სურათები. ყოველი ოთხი სურათიდან, მოსწავლეებმა უნდა იპოვონ, რომელია ზედმეტი, პასუხი უნდა დაასაბუთონ (პირველ გვერდზე ზედმეტია არაცოცხალი ბუნების ამსახველი სურათი, მეორეზე – ცოცხალის).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მოსწავლეები კვლავ წყვილებში მუშაობენ, მათ უნდა შეადარონ ერთმანეთს ლოდი და ძროხა, შეეცადონ ახსნან, ცოცხალსა და არაცოცხალს შორის განსხვავებები.

(5 წუთი)

#### აქტივობა მე-3. ჰედაგოგი ამატებს ინფორმაციას და აჯამებს პავშვების მოსაზრებებს.

ცოცხალი ორგანიზმები მოძრაობენ, იზრდებიან, სუნთქავენ, იკვებებიან, მრავლდებიან.

ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული. ადამიანს, მცენარეებს და ცხოველებს არ შეუძლიათ სიცოცხლე არაცოცხალი ბუნების გარეშე, მათ სჭირდებათ წყალი, რომელიც არაცოცხალია, ჰაერი. ცოცხალ ორგანიზმებსაც სჭირდებათ ერთმანეთი, მაგ.: ჩვენ მივირთმევთ მცენარეებს (ხილს, ბოსტნეულს), ხორცს.

(5 წუთი)

**აქტივობა მე-4.** მუშაობა მოსწავლის რვეულში. მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ ცოცხალის-თვის დამახასიათებელი ნიშნები და გააფერადონ.

(12 წუთი)

#### გაკვეთილის შეჯამება:

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(3 წუთი)

## 26-ი გაკვეთილი

### დღე და ღამე

#### გაკვეთილის ამოცანები:

მოსწავლემ უნდა შეძლოს დაასახელოს დაკვირვებადი ცვლილებები დღე-ღამის განმავლობაში, გასცეს პასუხი შეკითხვას, როდის არის დღე და როდის – ღამე.

#### მოსალოდნებლი შედეგები:

მოსწავლეები დაასახელებენ დღე-ღამის განმავლობაში დაკვირვებად ცვლილებებს, დაუკავშირებენ დედამიწის მოძრაობას მზის გარშემო.

## **რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

დაკვირვების, ცდის ჩატარების, ლოგიკური აზროვნების, კომუნიკაბელურობის, დასკვნების გამოტანის.

### **გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, გლობუსი, ფერადი ფანქრები.

## **სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი**

**აქტივობა 1-ლი.** მოსწავლეები გადაშლიან სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდზე (დღისა და ღამის სურათები). ჯერ ამოიცნობენ, რომელ სურათზეა გამოსახული დღე და რომელზე – ღამე. შემდეგ მოსწავლეებმა უნდა უპასუხონ შეკითხვას, როგორ ამოიცნეს სურათი? (სავარაუდო პასუხები – ღამე ბნელა, ანათებს მთვარე, ვარსკვლავებია, ხოლო დღისით მზე ანათებს).

(5 წუთი).

**აქტივობა მე-2.** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაშალონ სახელმძღვანელო იმ გვერდზე, სადაც მზე, მთვარე და დედამიწაა გამოსახული და უხსნის, რომ ჩვენს პლანეტას (სადაც ჩვენ ვცხოვრობთ) დედამიწა ჰქვია, დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს, მზე ცეცხლოვანი ბურთია, ხოლო მთვარე დედამიწას დაჲყვება თან, ანუ ბრუნავს დედამიწის გარშემო.

(5 წუთი)

**აქტივობა მე-3.** ჯგუფური სამუშაო. მოსწავლეები იყოფიან 5-6 ბავშვიან ჯგუფებად, ყველა ჯგუფს აქვს გლობუსი და ფანქრი (თუ ამდენი გლობუსი არ არის, გამოდგება მუქი ფერის საშუალო ზომის ბურთი).

**მასწავლებელი ყვება ამბავს:** ცნობისმოყვარე ბაჭიას ძალიან უყვარს მზეზე ნებივრობა, ამიტომ აინტერესებს, სად „მიდის“ მზე ღამით? ბავშვებო, თქვენი აზრით, სად მიდის მზე? მასწავლებელი მოისმენს მოსწავლეების მოსაზრებებს.

(3 წუთი)

მოდით, ჩატაროთ ცდა და ავუხსნათ ბაჭიას, რატომ „იმალება“ მზე ღამით.

ცდას ჯერ მასწავლებელი ატარებს (სასურველია, ცდის ჩატარებისას ფარდები იყოს ჩამოფარებული).

მასწავლებელი განმარტავს, „ნარმოვიდგინოთ, რომ გლობუსი (ბურთი) დედამიწაა და ფანარი – მზე“, როგორი ფორმისაა დედამიწა? (მრგვალი).

იღებს ბურთს, ერთი მხრიდან ანათებს ფანარს და ეკითხება ბავშვებს: „ფანარმა ბურთი ყველა მხრიდან გაანათა? (არა, მხოლოდ მისი ნახევარი).

ანუ, რომელ ნახევარსაც ფანარი ანათებს, იქ დღეა, რომელსაც ვერ ანათებს – ღამე. შემდეგ მასწავლებელი გლობუსს (ბურთს ნელ-ნელა ატრიალებს), დედამიწა ხომ მზის გარშემო ბრუნავს? ამიტომ, როდესაც ბურთს შემოვატრიალებთ, ფანარი (მზე) მეორე მხარეს გაანათებს და იქ გათენდება.

შემდეგ ექსპერიმენტს ბავშვები ატარებენ.

(15 წუთი)

**დასკვნა:** მზე არსადაც არ „მიდის“, უბრალოდ დედამიწა მრგვალია და ბრუნავს, ამიტომ ხანერთ მხარეს მიუშვერს, ხან – მეორეს.

**აქტივობა მე-4.** მუშაობა მოსწავლის რვეულში. მოსწავლეებმა უნდა შემოხაზონ ის სხეულები, რომლებიც ღამით ჩანს და გააფერადონ.

(5 წუთი)

**გაკვეთლის შეჯამება:** გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

გაკვეთილის დასასრულს მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეებს, რომ მათ შეუძლიათ ექსპერიმენტი უფროსების დახმარებით სახლშიც ჩატარონ. თუ რა უნდა გააკეთონ, წიგნში წერია (აჩვენებს შესაბამის გვერდს).

## **შეფასება:**

მასწავლებელს შეუძლია ცდის შეფასება. მაგ., ყოჩაღ, ფანარი სწორად გიჭირავს; თუ შეიძლება, ფანარი ბურთს ცოტა შორიდან (ახლოდან) მიანათე; რას ხედავთ? ბურთის რომელ მხარეს არის „დღე“? („ღამე“?).

## **27-ი გაკვეთილი**

### **რატომ ანათებს მთვარე? ვარსკვლავიანი ცა?**

#### **გაკვეთილის ამოცანები:**

მოსწავლემ გაიაზროს, როგორი ციური სხეულია მთვარე, იმსჯელოს, რატომ ანათებს მთვარე.

#### **მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლე განმარტავს ტერმინს „ციური სხეული“, იმსჯელებს, თუ რატომ ანათებს მთვარე. ჩაატარებს სადემონსტრაციო ექსპერიმენტს.

#### **რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

დაკვირვების, ლოგიკური აზროვნების, მეტყველების, ცდის ჩატარების, დასკვნების გამოტანის.

#### **გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რევული, თეთრი საშუალო ზომის ბურთი ან ბუშტი, დიდი ზომის მუყაოს ყუთი, ფანარი, ფერადი ფანქრები.

## **სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი**

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გადაშალონ სახელმძღვანელო შესაბამის გვერდზე (ლამის სურათი). მოსწავლეები აღნერენ სურათს, რა სხეულები ჩანს ლამით, იხსენებენ ნინა გაკვეთილის აქტივობებს.

(5 წუთი)

**აქტივობა მე-2.** შემდეგ მასწავლებელი ეკითხება მოსწავლეებს, ვინმერ თუ შეძლო ექსპერიმენტის ჩატარება შინ. უსმენს იმ მოსწავლეებს, რომლებმაც ცდა ჩატარეს.

(3 წუთი)

**აქტივობა მე-3.** გამომდინარე იქიდან, რომ შესაძლებელია, ცდა სულ რამდენიმე მოსწავლემ ჩატარა, მასწავლებელი ექსპერიმენტს გაკვეთილზე ატარებს.

ბავშვები იყოფიან 5-6 კაციან ჯგუფებად. მასწავლებელი განმარტავს, რომ მთვარე სულაც არ არის მზესავით ცეცხლოვანი ბურთი (აჩვენებს შესაბამის სურათს სახელმძღვანელოში). სვამის კითხვას: „მაშინ, რატომ ანათებს მთვარე?“ ამის გასარკვევად ჩავატარებთ ცდას.

მასწავლებელი ამბობს, წარმოვიდგინოთ, ვითომ ბურთი მთვარეა, ხოლო ფანარი – მზე.

ყუთში მოთავსებულია ბურთი, ერთი ბავშვი მას ფანარს ანათებს, ბურთი იწყებს „განათებას“, მასწავლებელი ხსნის, რომ ბურთმა ფანარიდან წამოსული სხივები აირეკლა (აჩვენებს შესაბამის სურათს სახელმძღვანელოში). შემდეგ ფანარს ჩააქრობენ – ბურთი აღარ ანათებს.

**დასკვნა:** მთვარე იმიტომ ანათებს, რომ მზიდან წამოსულ სხივებს ირეკლავს.

(10 წუთი)

**აქტივობა მე-4.** მასწავლებლის ტექსტი: ბავშვებო, გავარკვიეთ, რომ მთვარე მზის დახმარებით ანათებს, მაშინ რატომ ვხედავთ ცაზე სხვადასხვა დროს განსხვავებული ფორმის მთვარეს? (აჩვენებს სურათს სახელმძღვანელოში). ჩავატაროთ ექსპერიმენტი.

ექსპერიმენტი წინას მსგავსია, ოლონდ, ამ შემთხვევაში, ბავშვები ფანარით ბურთის მხოლოდ პატარა ნაწილს ანათებენ.

**დასკვნა:** მთვარე არ იცვლის ფორმას, ის ყოველთვის მრგვალია, ჩვენ ვხედავთ მთვარის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელსაც მზე ანათებს.

(5 წუთი)

**აქტივობა მე-5.** მუშაობა მოსწავლის რვეულში.

(10 წუთი)

მოსწავლეები დახატავენ დღისა და ღამის სურათებს.

**გაკვეთილის შეჯამება:** გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

## 28-ე გაკვეთილი

### დილა, შუადლე, საღამო, ღამე

**გაკვეთილის ამოცანები:**

მოსწავლეებმა განასხვაონ დღის მონაკვეთები, კონკრეტული მონაკვეთი დაუკავშირონ საკუთარ საქმიანობას.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლე ასახელებს დღის მონაკვეთებს, საუბრობს გარკვეულ მონაკვეთში საკუთარი საქმიანობის შესახებ.

**რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

მეტყველების განვითარების, დაკვირვების, დასკვნების გამოტანის.

**გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფერადი ფანქრები.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** ჭიამაიას ამბავი. ჭიამაია მაიას ძალიან უყვარს, როდესაც დღეა და მზე ანათებს, ჩიტები ჭიკჭიკებენ, ყვავილები კი – თავებს წევენ და მზისკენ ტრიალდებიან. ჭიამაია დილით ადრე დგება, საუზმობს, შემდეგ, მეგობრებთან ერთად, სკოლაში მიდის, სკოლიდან დაბრუნებული სადილობს, მეცადინეობს და ეზოში თამაშობს, აი, ძილის დრო რომ მოდის – არ უნდა დაძინება.

(3 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მასწავლებელი აკეთებს განმარტებას, რომ დღე შედგება ნაწილებისგან (დილა, შუადლე, საღამო) და სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ ერთი დღე: რას აკეთებენ გაღვიძების შემდეგ.

(20 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდს და ამოიცნობენ, რომელი ქმედება ხდება დღის და რომელი – ღამის განმავლობაში.

(3 წუთი)

**აქტივობა მე-4.** მუშაობა მოსწავლის რვეულში.

(5 წუთი)

მოსწავლეებმა სურათები ხაზებით უნდა დაუკავშირონ დღისა და ღამის საქმიანობას.

**აქტივობა მე-5.** მასწავლებლის ტექსტი: „ბავშვებო, თუ გახსოვთ, გაკვეთილის დასაწყისში ჭიამაია მოგვიყვა, თუ როგორ უყვარს დღე, მაგრამ დაძინების დრო რომ მოდის ჭირვეულობს. რა რჩევას მისცემდით ჭიამაიას, რატომ არის ძილი აუცილებელი? (ჭიამაიამ უნდა დაისვენოს და ძალები აღიდგინოს).

(2 წუთი)

**გაკვეთილის შეჯამება:**

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

**შეფასება:**

მასწავლებელს შეუძლია მოსწავლის რვეულში შესრულებული დავალებების შეფასება.

განმავითარებელი შეფასება	
4-5 სწორი პასუხი	ყოჩაღ, დავალებას თავი კარგად გაართვი (თუ მოსწავლეს ერთი შეცდომა აქვს დაშვებული, შექმნის შემდეგ მასწავლებელი ეუბნება მოსწავლეს, კარგად დააკვირდეს ნახატებს, რადგანაც ერთი შეცდომა დაუშვა და შეცადოს, აღმოაჩინოს).
2-3 სწორი პასუხი	დავალებას თავი კარგად გაართვი, მოდი, კიდევ ერთხელ შეხედე, ყველაფერი სწორად გაქვს შესრულებული? შეეცადე აღმოაჩინო შეცდომები. დაფიქრდი და გაიხსენე... (მაგ., რატომ ფიქრობ, რომ ნახატზე დღის (ღამის) საქმიანობაა გამოსახული?).
1 სწორი პასუხი	მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება, რა შეასრულა სწორად და ეხმარება შეცდომების აღმოჩენაში. მოდი, კიდევ ერთხელ შეხედე, ყველაფერი სწორად გაქვს შესრულებული? შეეცადე აღმოაჩინო შეცდომები. დაფიქრდი და გაიხსენე... (მაგ., რატომ ფიქრობ, რომ ნახატზე დღის (ღამის) საქმიანობაა გამოსახული?).

**სწორი პასუხები:**

დღის საქმიანობა: ბავშვი ეზოში თამაშობს, ბავშვი მიდის სკოლაში.

ღამის საქმიანობა: ბავშვი სამხრობს, ბავშვს სძინავს.

## 29-ი გაკვეთილი

### დღისა და ღამის ცხოველები

**გაკვეთილის ამოცანები:**

მოსწავლემ განასხვაოს დღისა და ღამის ცხოველები, იმსჯელოს მათი ქცევის თავისებურებებზე დღე-ღამის განმავლობაში.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლე დაასახელებს დღისა და ღამის ცხოველებს, ისაუბრებს მათ ქცევაზე დღის სხვადასხვა მონაკვეთში.

რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?

დაკვირვების, სოციალური უნარების, დასკვნების გამოტანის.

**გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფერადი ფანქრები.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს წინა გაკვეთილის აქტივობებს (თუ რას აკეთებენ ისინი დღის სხვადასხვა მონაკვეთში).

(4 წუთი)

**აქტივობა მე-2.** თქვენი აზრით, რომელ ცხოველებს ვნახავთ დღისით და რომელს ღამით?

(3 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მუშაობა წყვილებში. მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდს და ასახელებენ დღისა და ღამის ცოცხალ ორგანიზმებს.

(3 წუთი)

**აქტივობა მე-4.** მოსწავლეები მუშაობენ კვლავ წყვილებში, სახელმძღვანელოში (შემდეგი გვერდი) მოცემული ცოცხალი ორგანიზმები კვლავ უნდა დაყონ დღისა და ღამის ორგანიზმებად, ოლონდ, ამ შემთხვევაში, უნდა აღწერონ, რას აკეთებენ სურათებზე გამოსახული ცხოველები დღისით და ღამით (სავარაუდო პასუხები: თაგვი დღისით სოროში იმაღება და სძინავს,

ლამით – გამოდის და იკვებება; ბელურას ლამით ბუდეში სძინავს, დღისით დაფრინავს და იკვებება; ცხენი დღისით ბალახს ჭამს, ლამით – სძინავს, ღამურას დღე სძინავს, ხოლო ლამით დაფრინავს; ბუსაც დღისით სძინავს და ლამით დაფრინავს; კალია დღისით ბალახებში დახტის, ლამით – სძინავს).

(15 წუთი)

(ამ აქტივობის შესრულებისას, სასურველია, მოსწავლეებმა, რომელთაც ჰყავთ შინაური ცხოველები, გაგვიზიარონ თავიანთი დაკვირვების შედეგები. ამ შემთხვევაში საჭირო იქნება აქტივობების მოდიფიცირება და 15 წუთი მოსწავლეების დაკვირვების შედეგების გაცნობას მოხმარდება).

**აქტივობა მე-5.** მუშაობა მოსწავლის რვეულში. რომელია ზედმეტი?

მოცემულია ორი კვადრატი, თითოში 4 სურათია. მოსწავლემ უნდა იპოვოს, რომელია ზედმეტი (პირველ კვადრატში ზედმეტია მერცხალი, რადგანაც ის დღის ცხოველია, მეორეში – ლამურა, რადგანაც ის ლამის ცხოველია) და მერცხალი და ლამურა გააფერადოს.

(8 წუთი)

**გაკვეთილის შეჯამება:**

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

## 30-ე გაკვეთილი

### ზამთარი

**გაკვეთილის ამოცანები:**

მოსწავლეებმა ჩამოთვალონ ზამთრის თვეები, დაასახელონ ზამთარში ცხოველების ქცევის და მცენარეებისთვის დამახასიათებელი ცვლილებების მაგალითები.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლეები ჩამოთვლიან ზამთრის თვეებს, იმსჯელებენ, თუ რა ცვლილებები განიცადეს მცენარეებმა ზამთარში, დაასახელებენ ზამთარში ცხოველების ქცევის მაგალითებს.

**რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

დაკვირვების, შედარების, აღწერის, მეტყველების, დასკვნების გამოტანის.

**გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფერადი ფანქრები.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ჩამოთვალონ წელიწადის დროები, გაიხსენონ შემოდგომის თვეები და, თუ შეუძლიათ, ჩამოთვალონ ზამთრის თვეები.

(5 წუთი)

მასწავლებელი აკეთებს შეჯამებას, ზამთრის თვეებია: დეკემბერი, იანვარი, თებერვალი.

**აქტივობა მე-2.** როგორი ამინდია ზამთარში?

(5 წუთი)

(სავარაუდო პასუხები: ზამთარში ცივა, თოვლი მოდის, ცა ხშირად არის მოღრუბლული. მზე გვიან ამოდის, დღე პატარავდება).

**აქტივობა მე-3.** მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს, მსჯელობენ, როგორ შეიცვალა მცენარეებისა და ცხოველების ცხოვრება ზამთარში?

(10 წუთი)

**სავარაუდო პასუხები:**

1. ხეებზე ფოთლები აღარ არის, ბალახიც არ ჩანს;
2. დათვმა დაიძინა;
3. აღარ არიან მერცხლები;
4. ბელურას სცივა.

მიზეზად ასახელებენ სიცივეს, თოვლს, პატარა დღეს, საკვების სიმცირეს (თუ მოსწავლეები ვერ ახერხებენ სწორი პასუხების ფორმულირებას, მასწავლებელი სვამს დამხმარე შეკითხვებს და უბიძგებს მათ სწორი პასუხისკენ). მაგ.: რატომ გაფრინდნენ მერცხლები თბილ ქვეყნებში?

#### დამხმარე შეკითხვა:

რით იკვებებიან მერცხლები?

**აქტივობა მე-4.** მუშაობა მოსწავლის რვეულში – იპოვეთ შეცდომები.

მასწავლებლის ტექსტი. მასწავლებელმა ჭიამაია მაიას ზამთრის სურათის დახატვა დაავალა. ჭიამაიამ სურათი დიდი გულმოდგინებით დახატა და, სანამ სკოლაში წაიღებდა, ბრძენ ბუსა და ცნობისმოყვარე ბაჭიას აჩვენა. მეგობრებმა უთხრეს, რომ ნახატი არ იყო სწორად დახატული და ჭიამაიას სასწრაფოდ უნდა გადაეკეთებინა. ბავშვებო, თქვენი აზრით, რა არ მოეწონათ ჭიამაიას მეგობრებს? დავეხმაროთ ჭიამაიას. შემოხაზეთ, რა აქვს მას შესასწორებელი.

(8 წუთი)

(შეცდომით არის დახატული: ყოჩივარდა, მწვანეფოთლებიანი ტოტი, ბავშვი მოკლე შარვლით, მერცხალი ბუდეში).

**აქტივობა მე-4.** მუშაობა მოსწავლის რვეულში – წყვილებში. მოსწავლეებმა უნდა იპოვონ და შემოხაზონ ის სხეულები, რომლებიც ზამთართან ასოცირდება.

(5 წუთი)

(მოსწავლეებმა უნდა შემოხაზონ: ფიფქი, თოვლის კაცი, ციგა, დათოვლილი ხე).

#### გაკვეთილის შეჯამება:

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

## 31-ე გაკვეთილი

### რა გვაცვია და რას ვსაქმიანობთ ზამთარში?

#### გაკვეთილის ამოცანები:

მოსწავლე ჩამოთვლის ადამიანის საქმიანობას ზამთრის პერიოდში; ახარისხებს ტანსაცმელს წელიწადის დროების მიხედვით; იცავს უსაფრთხოების წესებს თოვლში, ყინულზე გადაადგილებისას და თამაშისას.

#### მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლე დაასახელებს ადამიანის საქმიანობას ზამთრის პერიოდში, დაასახელებს ზამთრის ტანსაცმელს, იმსჯელებს ზამთარში თოვლსა და ყინულზე მოძრაობისას საფრთხეების თავიდან აცილების გზების შესახებ.

#### რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?

დაკვირვების, შედარების, ლოგიკური აზროვნების, დასკვნების გამოტანის, ერთმანეთის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების.

#### გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფანქრები.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი მოსწავლეებს ამეორებინებს წინა გაკვეთილზე განხილულ მასალას (ზამთრის თვეებს, ზამთრის ამინდს).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში, ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს, მსჯელობენ, რა საქმიანობით არიან დაკავებული მათი თანატოლები და რატომ არის აღნიშნული აქტივობების შესრულებაა შესაძლებელი მხოლოდ ზამთარში.

(5 წუთი)

### **აქტივობა მე-3. მუშაობა მოსწავლის რვეულში.**

მასწავლებლის ტექსტი. ცნობისმოყვარე ბაჭია ზამთრის არდადეგებზე სოფელში, მთაში მიღის დასასვენებლად, სადაც დიდი თოვლია და ბაჭია ბევრს ისრიალებს, იგუნდავებს. მას კი ვერ გადაუწყვეტია, რომელი ტანსაცმელი წაიღოს თან. დავეხმაროთ ბაჭიას ჩემოდნის ჩალაგებაში.

მოსწავლეებმა ჩემოდანს ხაზებით უნდა დაუკავშირონ ის ტანსაცმელი, რომელიც ბაჭიას ზამთარში გამოადგება და დახატონ ზამთრის პეიზაჟი.

(10 წუთი)

**აქტივობა მე-4.** მასწავლებლის ტექსტი. ჩვენ ვიცით, რომ ცნობისმოყვარე ბაჭია მიღის დასასვენებლად, სადაც ბევრს ისრიალებს და ითამაშებს თოვლში, თუმცა თოვლში თამაშს გარკვეული საფრთხეც ახლავს თან.

მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს, მსჯელობენ, როგორ აიცილონ თავიდან საფრთხე და როგორ მოიქცევიან, თუ მათი მეგობარი დაეცემა და რას ურჩევენ ბაჭიას, რათა უსაფრთხოდ გაატაროს ზამთარი.

#### **სავარაუდო პასუხები:**

1. თბილად ჩაიცვას, რათა არ გაცივდეს;
2. ჩაიცვას ისეთი ფეხსაცმელი, რომელიც არ სრიალებს;
3. უფროსების გარეშე შორს არ წავიდეს;
4. გუნდა არ ესროლოს მეგობარს სახეში (და ა.შ.).

(13 წუთი)

#### **გაკვეთილის შეჯამება:**

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

#### **შეფასება:**

მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეების წყვილებში მუშაობა შეაფასოს. მოსწავლეები ერთ-მანეთს უსვამენ შეკითხვებს (გამოიყენება ურთიერთშეფასება). მაგ., რატომ აცვიათ ბავშვებს ქურთუკი? რატომ ვაკეთებთ თოვლის კაცს ზამთარში?

## **32-ე გაკვეთილი**

### **ახალი წელი**

#### **გაკვეთილის ამოცანები:**

მოსწავლეებმა ისაუბრონ ახალი წლის ტრადიციებზე, დაუკავშირონ ახალი წლის დადგომა ზამთრის სეზონს.

#### **მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლეები საუბრობენ ახალი წლის ტრადიციების შესახებ, აღწერენ საკუთარ საქმიანობას ახალი წლის დღეებში, ჩამოთვლიან ზამთრის თვეებს, ასახელებენ, რომ ახალი წელი ზამთრის მეორე თვეს დგება.

#### **რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

მეტყველების, დაკვირვების, სოციალური უნარების.

#### **გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, მაკრატელი, ფერადი ფანქრები.

### **სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი**

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი მოსწავლეებს ამეორებინებს წინა გაკვეთილებზე განხილულ მასალას: ზამთრის თვეები, ზამთრის ამინდი.

#### **შემდეგ სვამს კითხვებს:**

1. წელინადის რა დროა ახლა?
2. რომელი თვეა? (ჩვენი გათვლებით დეკემბრის ბოლო ან იანვრის დასაწყისია);

3. ფეკულტეტის შემდეგ რომელი თვე მოდის? (იანვარი);
4. რომელ დღესასწაულს ვზიერობთ იანვარში? (ახალ წელს).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოს, საუბრობენ, რით არიან და-კავებული ახალი წლის დღეებში.

(10 წუთი)

**აქტივობა მე-3.** თამაში „კი და არა“.

თამაშის პირობა ასეთია: მასწავლებელი ამბობს ფრაზებს, მოსწავლეები, თუ ფრაზა დაკავშირებულია ახალ წელთან, უკავენ ტაშს და ამბობენ „კი“-ს, თუ არ არის დაკავშირებული – „არა“-ს და ფეხებს აბაკუნებენ.

1. ახალ წელს ვრთავთ ნაძვის ხეს – კი;
2. ახალ წელს ვიღებთ მოსავალს – არა;
3. ახალ წელს თოვლის პაპას/ბაბუას მოაქვს საჩუქრები – კი;
4. ახალი წელი გაზაფხულზეა – არა;
5. ახალი წელი დგება 1-ელ იანვარს – კი;
6. ახალ წელს ვისვენებთ – კი;
7. ნაძვის ხეზე ტანსაცმელს ვკიდებთ – არა;
8. ახალი წლისთვის სურვილებს ჩავიფიქრებთ – კი;
9. ახალ წელს ცივა – კი;
10. ახალ წელს ნაძვის ხის ქვეშ წიგნებს ვალაგებთ – არა.

(10 წუთი)

**აქტივობა მე-4.** მუშაობა მოსწავლის რვეულში: მოსწავლეებმა მოსწავლის რვეულიდან უნდა ამოქრან ერთი ფიფქი, რომელიც ყველაზე მეტად მოეწონებათ, გააფერადონ და ასეთი ფიფქებით მორთონ საკლასო ოთახი.

(10 წუთი)

## 33-34-ე გაკვეთილები

### სხეულის ნაწილები

**გაკვეთილის ამოცანები:**

მოსწავლემ აღწეროს საკუთარი თავი და თანაკლასელები თვალსაჩინო გარეგნული ნიშნების მიხედვით.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლე აღწერს საკუთარ თავს, თანაკლასელებს, ასახელებს ადამიანებში თვალსაჩინო განმასხვავებელ ნიშნებს.

**რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

დაკვირვების, აღწერის, შედარების, მეტყველების.

**გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფერადი ფანქრები.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი ბავშვებს აცნობს გაკვეთილის თემას, სთხოვს, დაათვალიერონ სურათები (სხეულის ნაწილები).

მოსწავლეები ასახელებენ სხეულის ნაწილებს.

იმავე გვერდზე მეორე სურათის განხილვისას, მოსწავლეებს გამოაქვთ დასკვნა, რომ ყველა ადამიანს აქვს ერთი და იგივე სხეულის ნაწილები.

(5 წუთი)

**აქტივობა მე-2.** რა განსხვავებაა სხვადასხვა ადამიანის სხეულის ნაწილებს შორის? (სახელმძღვანელოს შემდეგი გვერდი).

მოსწავლეები საუბრობენ, რომ ადამიანებს აქვთ განსხვავებული თვალის ფერი, თმის ფერი, სიმაღლე და ა.შ.

(3 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მუშაობა ჯგუფებში: მოსწავლეები იყოფიან 5-6 კაციან ჯგუფებად (ჯგუფებად დაყოფისას მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ფერადი ბარათები (მაგ.: თუ კლასში 25 ბავშვია, 5 ფერის ხუთ-ხუთი ბარათი), ბარათები ჩაყრილია ყუთში, ყველა მოსწავლე იღებს ბარათს, შემდეგ, ვისაც ლურჯი ბარათები შეხვდათ, ერთ ჯგუფს ქმნიან, ვისაც მწვანე – მეორეს და ა.შ.

მოსწავლეები ჯგუფებში აღწერენ სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდზე გამოსახული გოგონას და ბიჭუნას სურათებს, ადარებენ ერთმანეთს:

გოგონას ქერა თმა აქვს, ბიჭს – შავი;

გოგონას ცისფერი თვალები აქვს, ბიჭს – შავი;

გოგონას ხვეული თმა აქვს, ბიჭს – სწორი;

ბიჭი გოგონაზე მაღალია.

გოგონას ჭორფლი აქვს, ბიჭს – არა.

(20 წუთი)

**აქტივობა მე-4.** მუშაობა მოსწავლის რვეულში.

მოსწავლეებმა უნდა დახატონ საკუთარი თავი.

(5 წუთი)

**გაკვეთილის შეჯამება:**

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

**შეფასება:**

მასწავლებელს ჯგუფური სამუშაოს შეფასება შეუძლია: ყოჩალ, ერთმანეთს რომ უსმენთ; თუ შეიძლება, ერთმანეთს მოუსმინეთ; კარგია, აქტიურობ და შენს მოსაზრებას გამოთქვამ; თუ შეიძლება, გამოთქვი შენი მოსაზრება; ცოტა სწრაფად იმუშავეთ.

## 34-ე გაკვეთილი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი ახსენებს მოსწავლეებს წინა გაკვეთილზე განხილულ მასალას (ადამიანის სხეულის ნაწილების განსხვავებების შესახებ: მაღალი – დაბალი, ცისფერი თვალი, შავი თვალი, ხვეული თმა, სწორი თმა, გამხდარი – სრული, ჭორფლიანი – უჭორფლო).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მუშაობა წყვილებში. მოსწავლეები გამოდიან დაფასთან, აღწერენ ერთმანეთს გარეგნული თვალსაჩინო ნიშნების მიხედვით. ჯერ ერთი მოსწავლე ახასიათებს მეწყვილეს, შემდეგ როლები იცვლება.

(მასწავლებელი ამ აქტივობის შესრულებისას ძალიან ყურადღებით უნდა იყოს, რათა მოსწავლეებმა ერთმანეთს არ აწყენინონ, ამიტომ მკაცრად უნდა განისაზღვროს, რას ახასიათებენ მოსწავლეები: თვალის ფერს, თმის ფერს, თმის სიგრძეს და ფორმას, ჭორფლს, სიმაღლეს).

(20 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მუშაობა მოსწავლის რვეულში. მოსწავლეებმა ნახატი უნდა დაასრულონ და გააფეროდონ.

(8 წუთი)

**გაკვეთილის შეჯამება:**

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

## 35-ი გაკვეთილი

### როგორი მცენარეები არსებობს?

#### გაკვეთილის ამოცანები:

მოსწავლე ამოცნობს და ასახელებს ნაცნობი მცენარეების ნაწილებს, საუბრობს მცენარეთა მრავალფეროვნებაზე.

#### მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლეები ასახელებენ მცენარის ძირითად ნაწილებს (ფესვი, ღერო, ფოთლები), ასხვავებენ ხეს, ბუჩქსა და ბალახს გარკვეული მახასიათებლების მიხედვით.

#### რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?

დაკვირვების, აღწერის, შედარების, დასკვნების გამოყოფის, მეტყველების.

#### გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფერადი ფანქრები, წებო, მაკრატელი, ოთახის მცენარე.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებლის ტექსტი: ბრძენ ბუს ძალიან უყვარს ბუნება და ხშირად იღებს ლამაზი მცენარეებისა და ცხოველების სურათებს. ამჯერად ბრძენმა ბუმ სამი სურათი გადაიღო (მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს) და მეგობრებს – ჭიამაია მაიას და ცნობისმოყვარე ბაჭიას აჩვენა, აბა, თუ გამოიცნობთ, რომელი მცენარეების სურათები გადავიღო?

#### ბავშვები ასახელებენ მცენარეებს:

ვაშლის ხე, ვარდის ბუჩქი, გვირილა. სწორია, თქვა ბუმ, ეს მცენარეები გადავიღე, მაგრამ, თუ იცით, რა განსხვავებაა ხეს, ბალახსა და ბუჩქს შორისო? ჭიამაია და ბაჭია დაიბნენ და პასუხი ვერ გასცეს.

ბავშვებო, დავეხმაროთ მათ.

მოსწავლეების მოსაზრებების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი აკეთებს შეჯამებას: ბალახს მწვანე და წვინიანი ღერო, ბუჩქს ბევრი ღერო აქვს, ოღონდ – სქელი, ხოლო ხეს ყოველთვის ერთი მძლავრი ღერო აქვს. ხშირად ბალახები პატარა ზომისაა.

(7 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მუშაობა მოსწავლის რვეულში: მოსწავლეებმა ხე-მცენარეები უნდა შემოხაზონ წითელი ფანქრით, ბუჩქები – ლურჯით, ხოლო ბალახები – მწვანით.

(5 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მასწავლებლის ტექსტი. ბუს მოტანილი მცენარეების სურათებმა ბაჭია ძლიერ დაანიჭერესა, დიდხანს ათვალიერებდა სურათებს ბაჭია და ბოლოს, იკითხა: „საინტერესოა, რატომ არ ვარდება ძირს ხე?“

თქვენ როგორ ფიქრობთ?

(ხეებს, ბალახებს და ბუჩქებს ძლიერი ფესვები აქვთ, რომელიც მიწის ქვეშ არის დამალული).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-4.** მასწავლებელი ფრთხილად ამოიღებს ოთახის მცენარეს ქოთნიდან და აჩვენებს მოსწავლეებს. რომელია ფესვი? ფესვების გარდა კიდევ რა აქვს მცენარეს? (ღერო, ფოთლები).

მცენარის დემონსტრირების შემდეგ მასწავლებელი მას ისევ ქოთანში ათავსებს.

მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათს და ასახელებენ, ფესვის, ღეროსა და ფოთლების გარდა, კიდევ რა ნაწილები აქვს მცენარეს.

(6 წუთი)

**აქტივობა მე-5.** მუშაობა მოსწავლის რვეულში, წყვილებში. მოსწავლეებმა უნდა ამოჭრან მცენარის ნაწილები, შემდეგ ჩააწებონ თავისუფალ ადგილას (მცენარე უნდა გაამთლიანონ).

(10 წუთი)

### გაკვეთილის შეჯამება:

რა ვისწავლეთ გაკვეთილზე? გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 ნუთი)

### შეფასება:

მასწავლებელს შეუძლია შეაფასოს მოსწავლის რვეულის პირველ გვერდზე შესრულებული დავალება.

განმავითარებელი შეფასება	
5-6 სწორი პასუხი	დავალებას თავი კარგად გაართვი, მოდი, კიდევ ერთხელ შეხედე, ყველაფერი სწორად გაქვს შესრულებული? შეეცადე აღმოაჩინო შეცდომები. დაფიქრდი და გაიხსენე... (მაგ., რატომ ფიქრობ, რომ ნახატზე დღის (ღამის) საქმიანობაა გამოსახული?).
3-4 სწორი პასუხი	დავალებას თავი კარგად გაართვი, მოდი, კიდევ ერთხელ შეხედე, ყველაფერი სწორად გაქვს შესრულებული? შეეცადე აღმოაჩინო შეცდომები (მაგ., რატომ ფიქრობ, რომ ტიტა ბუჩქია?).
1-2 სწორი პასუხი	მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება, რა შეასრულა სწორად და ეხმარება შეცდომების აღმოჩენაში (მაგ.: როგორ მიხვდი, რომელია ბუჩქი?), დაფიქრდი და გაიხსენე.

## 36-ე გაკვეთილი

### რით განსხვავდება მცენარეები ერთმანეთისგან?

#### გაკვეთილის ამოცანები:

მოსწავლე აკვირდება და ადარებს სხვადასხვა მცენარეს ფოთლების, ნაყოფის, თესლის მიხედვით.

#### მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლეები ადარებენ სხვადასხვა ყვავილოვან მცენარეებს ფოთლის ზომისა და ფერის მიხედვით, ადარებენ სხვადასხვა ნაყოფს ერთმანეთს, მსჯელობენ თესლის დანიშნულების შესახებ.

#### რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?

დაკვირვების, აღწერის, შედარების, დასკვნების გამოტანის, მეტყველების, კომუნიკაციურობის.

#### გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფანქრები.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს წინა გაკვეთილზე განხილულ მასალას მცენარეების ნაწილების შესახებ.

1. რომელ მცენარეებს ვუწოდებთ ყვავილოვანს?

2. რომელი ნაწილებისგან შედგება ყვავილოვანი მცენარე?

3. როგორ ვიცნოთ ხე, ბალახი და ბუჩქი?

4. ყველა მცენარეს აქვს თუ არა ყვავილი?

5. რით განსხვავდება მცენარეები ერთმანეთისგან?

(5 ნუთი)

**აქტივობა მე-2.** მუშაობა მოსწავლის რვეულში. მოსწავლეებმა ოთხი ნახატიდან უნდა ამოირჩიონ ერთი, რომელიც ზედმეტია და შემოხაზონ (უნდა დაასახელონ ორი ნიშანი, რატომ ჩათვალეს, რომ ნაძვია ზედმეტი (ნაძვი ხეა და დანარჩენი სამი – ბალახი, ნაძვი არ ყვავილობს)).

(5 ნუთი)

**აქტივობა მე-3.** მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფებად, მათ უნდა შეადარონ სხვადასხვა მცენარის ფოთლები და დაახასიათონ თითოეული მათგანი.

(მუხის ფოთოლი პატარაა, დუმფარასი – დიდი, სიმინდის – გრძელი, კაქტუსის ფოთლები ეკლებია, ხოლო ნაძვის – წინვები).

(10 წუთი)

(თუ მოსწავლეებს გაუჭირდათ კაქტუსისა და ნაძვის მაგალითების ახსნა, მასწავლებელი აუხსნის, რომ, სინამდვილეში, ესენიც ფოთლებია).

**აქტივობა მე-4.** მასწავლებლის ტექსტი. ცნობისმოყვარე ბაჭიას ძალიან უყვარს მარწყვი, ატა-მი, პომიდორი, კიტრი; ერთხელაც დაფიქრდა, ნეტავ საიდან ჩნდება ასეთი გემრიელი ნაყოფი? და, რა თქმა უნდა, ყოვლისმცოდნე ბრძენ ბუს მიადგა. ბუმ აუხსნა, რომ ნაყოფი ყვავილის ადგილას ჩნდება. ბაჭიას ასევე აინტერესებდა, რაში სჭირდება მცენარეს ნაყოფი?

(მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდებს) ბავშვებო, თქვენ თუ იცით, რაში სჭირდება ნაყოფი მცენარეს? რა არის დამალული ნაყოფში?

მასწავლებელი მოსწავლეების მოსაზრებების შემდეგ აკეთებს შეჯამებას: ნაყოფი მცენარეს თესლის დასამალად სჭირდება, ხოლო თუ თესლს მიწაში დავთესავთ, იქიდან ახალი მცენარეები ამოვა.

(8 წუთი)

**აქტივობა მე-5.** მუშაობა მოსწავლის რვეულში: მოსწავლეებმა წითელი ფანქრით უნდა შემოხაზონ ის ნაყოფი, რომელშიც ბევრი თესლია „დამალული“, ხოლო, რომელშიც ერთი თესლია – ლურჯით.

(4 წუთი)

**გაკვეთილის შეჯამება:** გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(3 წუთი)

**შეფასება:** მასწავლებელს შეუძლია კითხვებზე პასუხების შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა ასეთნაირად ჩამოყალიბდეს:

ყოჩად, ყველა კითხვას სწორად გაეცი პასუხი.

ბევრ კითხვას გაეცი სწორად პასუხი, თუმცა ერთი შეგეშალა.

რამდენიმე კითხვას გაეცი სწორად პასუხი, მოდი, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ.

## 37-ი გაპვეთილი

### რას გვაძლევენ მცენარეები?

**გაკვეთილის ამოცანები:**

მოსწავლე მსჯელობს ადამიანისთვის მცენარეების მნიშვნელობაზე (მცენარეების სხვადასხვა ნაწილის გამოყენება საკვებად, საშენ მასალად, გარემოს გასალამაზებლად, ავეჯისა და ქაღალდის, ტანსაცმლის დასამზადებლად).

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლე ასახელებს მცენარეებს, რომლებსაც ადამიანი სხვადასხვა მიზნით იყენებს, მსჯელობს მათი გამოყენების შესახებ, განმარტავს ცნებებს: ველური და კულტურული მცენარეები.

**რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

დაკვირვების, აღწერის, მსჯელობის, მეტყველების, დასკვნების გამოტანის.

**გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფანქრები.

## **სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი**

**აქტივობა 1-ლი.** მუშაობა მოსწავლის რვეულში. გავიმეოროთ განვლილი მასალა (მცენარის ნაწილები). მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში, აკვირდებიან ორ განსხვავებულ მცენარეს (ერთი ხე-მცენარეა, მეორე – ბალახი). მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ წყვილებში, რომელი საერთო ნაწილები აქვთ ორივე მცენარეს, შემდეგ ეს ნაწილები ერთმანეთს ხაზებით დაუკავშირონ.

(5 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს. დავა-ლება ასეთია: მოსწავლეებმა უნდა იპოვონ, რით განსხვავდება ერთმანეთისგან ზედა ნახევარზე გამოსახული მცენარეები ქვედა ნახევარზე გამოსახული მცენარეებისგან. სწორი პასუხის მისაღებად მასწავლებელი სვამს დამხმარე შეკითხვებს:

1. სად იზრდება ვაზი? (ვენახში);
2. სად იზრდება ტიტა? (ბალში);
3. სჭირდება თუ არა ვაზისა და ტიტას ადამიანის მოვლა? (დიახ);
4. სად იზრდება მუხა? (ტყეში);
5. სად იზრდება ბაბუანვერა? (მინდორში);
6. სჭირდება თუ არა მუხასა და ბაბუანვერას ადამიანის მოვლა? (არა).

**მასწავლებელი შეაჯამებს:** მცენარეებს, რომელებიც ადამიანს მოჰყავს და უვლის – კულ-ტურული მცენარეები ეწოდება, ისინი იზრდება ბალში, ბოსტანში, ვენახში, ხოლო მცენარეები, რომლებიც თავისით იზრდება და ადამიანის მოვლა არ სჭირდება – ველური მცენარეებია, ისინი იზრდება ტყეში, ველზე.

(5 წუთი)

**აქტივობა მე-3.** საკლასო დისკუსია – „რაში იყენებს ადამიანი მცენარეებს?“ მოსწავლეები პარალელურად განიხილავენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს.

(10 წუთი)

(მოსწავლეებმა შესაძლოა არ იცოდნენ ბამბის დანიშნულება, შესაბამისად, განმარტებას მასწავლებელი გააკეთებს).

მოსწავლეებს გამოაქვთ დასკვნები, რომ ზოგიერთ მცენარეს ადამიანი საკვებად იყენებს, ზოგიერთს – სხვადასხვა ნივთის (ავეჯის, ტანსაცმლის) დასამზადებლად, ზოგიერთს კი – უბრალოდ გარემოს გასალამაზებლად.

**აქტივობა მე-4.** საკლასო დისკუსია: „მცენარეების რომელ ნაწილებს იყენებს ადამიანი?“

სახელმძღვანელოს გამოყენებით მოსწავლეები ასკვნიან, რომ ადამიანი იყენებს ოხრახუშის ფოთლებს, გარგარის – ნაყოფს, ლობიოს – თესლს, ხოლო ჭარხლის – ფესვებს.

(5 წუთი)

**აქტივობა მე-5.** რა რისგან მზადდება? მუშაობა მოსწავლის რვეულში. მოსწავლეებმა ხაზებით უნდა დაუკავშირონ მარცხენა სვეტში გამოსახული სურათები მარჯვენა სვეტში გამოსახულ სურათებს.

(7 წუთი)

ხე – სკამი, ძალლის სახლი, წიგნი, სკამი;

წვნიანი – კარტოფილი;

ბამბა – მაისური.

**გაკვეთილის შეჯამება:**

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(3 წუთი)

**შეფასება:** მასწავლებელს შეუძლია დისკუსიის შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა ასეთნაირად ჩამოყალიბდეს: ყოჩაღ, აზრი გასაგებად ჩამოაყალიბებ; თუ შეიძლება, ერთხელ კიდევ გაიმეორე შენი მოსაზრება; სწორია, ადამიანი საკვებად ატმის ნაყოფს იყენებს; გთხოვთ, ერთმანეთს მოვუსმინოთ; ყველას აზრი უნდა მოვისმინოთ.

## 38-39-ი გაკვეთილები

### ცხოველები

#### გაკვეთილის ამოცანები:

ახასიათებს ცხოველებს, მათ მნიშვნელობას ადამიანისთვის, მსჯელობს ბუნების მრავალფეროვნების შესახებ, მოჰყავს შინაური და გარეული ცხოველების მაგალითები.

#### მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლე განმარტავს, რომ არსებობს უამრავი განსხვავებული ცხოველი; საუბრობს ბუნების მრავალფეროვნებაზე; ასახელებს შინაურსა და გარეულ ცხოველებს; მსჯელობს ადამიანისთვის შინაური ცხოველების მნიშვნელობაზე.

#### რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?

დაკვირვების, აღწერის, დასკვნების გამოტანის, მეტყველების, კომუნიკაბელურობის.

#### გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფერადი ფანქრები.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს. მათ უნდა უპასუხონ შეკითხვას, რა საერთო აქვთ სურათებზე გამოსახულ ცოცხალ ორგანიზმებს? მოსწავლეების მოსაზრების მოსმენის შემდეგ მასწავლებელი აკეთებს შეჯამებას, რომ ყველა ცხოველია.

(3 წუთი)

**აქტივობა მე-2.** ჩამოთვალე ცხოველები: თითოეული მოსწავლე ასახელებს ერთ ცხოველს (გამეორება არ შეიძლება, ამიტომ მოსწავლეებმა ერთმანეთს ყურადღებით უნდა მოუსმინონ).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მოსწავლეები მუშაობენ 5-6 კაციან ჯგუფებში. მათ სახელმძღვანელოში მოცემული 6 ცხოველი ორ ჯგუფად უნდა დაყონ (შინაურ და გარეულ ცხოველებად). თუ მოსწავლეებს გაუჭირდათ დავალების შესრულება, მასწავლებელი სვამს დამხმარე შეკითხვებს:

1. სად ცხოვრობს დათვი?
2. სად ცხოვრობს ძალლი?
3. რომელ მათგანს უვლის ადამიანი?

(10 წუთი)

მასწავლებელი აკეთებს განმარტებას, რომ გარეული ცხოველების ნაწილს (დათვს, ირემს, ჟირაფს – მეორენაირად ნადირს უწოდებენ).

#### აქტივობა მე-3. რაში ეხმარებიან ადამიანებს შინაური ცხოველები?

მოსწავლე ასახელებს შინაურ ცხოველს და განმარტავს მის მნიშვნელობას ადამიანისთვის.

(10 წუთი)

#### აქტივობა მე-4. მუშაობა მოსწავლის რვეულში:

მოსწავლეები პოულობენ შესაბამისობას (აკავშირებენ ხაზებით) კონკრეტულ ცხოველს მისი დანიშნულების ამსახველ სურათთან.

(5 წუთი)

ძროხა – რძე;

ცხვარი – მატყლი და პულოვერი;

ქათამი – კვერცხი;

ცხენი – ტვირთი.

#### გაკვეთილის შეჯამება:

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

## 39-ი გაკვეთილი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი მოსწავლეებს ამეორებინებს წინა გაკვეთილზე განხილულ მასალას (შინაური და გარეული ცხოველები).

(2 წუთი)

**აქტივობა მე-2.** ყველა მოსწავლე გამოდის დაფასთან და ჰყვება (თუ ჰყავს) თავისი საყვარელი შინაური ცხოველის შესახებ (აღწერს გარეგნულად, ჰყვება, როგორ იქცევა, რა უყვარს). თუ მოსწავლეს არ ჰყავს შინაური ცხოველი, მან მისთვის საყვარელი შინაური ცხოველი უნდა დაახასიათოს.

(25 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მოსწავლეები მოსწავლის რვეულში მათ მიერ აღწერილი ცხოველის ნახატს ასრულებენ.

(8 წუთი)

სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი ნახატების გამოფენას აწყობს.

## 40-ი გაკვეთილი

### მწერები

**გაკვეთილის ამოცანები:**

მოსწავლე აღწერს და ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ცხოველის სხეულის ნაწილებს, აწყობს ფრაგმენტებისგან ცხოველის სხეულის მოდელს. მოსწავლეები გაეცნობიან მწერებს, მათ მრავალფეროვნებას, სილამაზეს.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლეს მოჰყავს მწერების მაგალითები, საუბრობს მწერების შესახებ: ასახელებს მათთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს (ჯავშანი, ფრთები, 6 ფეხი, ულვაშები), მსჯელობს ადამიანისთვის მწერების მნიშვნელობის შესახებ. ააწყობს ფრაგმენტებისგან მწერის მოდელს.

**რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

დაკვირვების, აღწერის, შედარების, მსჯელობის, ლოგიკური აზროვნების, დასკვნების გამოტანის.

**გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, წებო, მაკრატელი, ფერადი ფანქრები. წინასწარ მომზადებული სლაიდები (ბარათები) მწერების გამოსახულებით.

### სავარაუდო აქტივობები/ გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაათვალიერონ სახელმძღვანელოში მოცემული სურათები და ერთი სიტყვით თქვან რა საერთო აქვს ყველა მათგანს (ყველა მწერია).

მასწავლებელი მოსწავლეებს გაკვეთილის თემას აცნობს და განმარტავს, რომ დღეს ისინი მწერების შესახებ ისაუბრებენ.

(2 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მოსწავლეები პარალელურად ათვალიერებენ სახელმძღვანელოში გამოსახულ პეპლის სურათს და მასწავლებლის დახმარებით ასახელებენ პეპლის სხეულის ნაწილებს (2 ულვაში, 6 ფეხი, ფრთები, თავი, მკერდი, მუცელი, თვალები).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მასწავლებლის ტექსტი. ერთხელ ჭიამაია მაიამ, ბრძენმა ბუმ და ცნობისმოყვარე ბაჭიამ ტყეში სოკოს მოსაკრეფად გადაწყვიტეს წასვლა. გზად ულამაზესი პეპლა შეხვდათ, ჰკითხეს, შენ ვინ ხარო? მე მწერი ვარ, პეპლა პეპლო. განაგრძეს გზა და ახლა ბალახებში დიდი

მწვანე კალია დაინახეს, ჰქითხეს, შენ ვინ ხარო? მწერი ვარ, კალია კალი მქვიაო. ცნობისმოყვარე ბაჭია გაჩერდა და ჭიამაია მაიას შეხედა, შემდეგ შემოურა და უთხრა, ჭიამაია, მე მგონი, შენც მწერი ხარო. ჭიამაიამ გაიკვირვა, რატომ ფიქრობ ასე? რატომ ვარ მწერიო?

ბუმაც დაკვირვებით შეხედა ჭიამაიას და უთხრა, კი, ნამდვილად მწერი ხარ და ახლავე გეტყვი რატომ:

როგორ ფიქრობთ, ბავშვებო, რა უთხრა ბუმ ჭიამაიას?

(ბავშვები აანალიზებენ, რომ, თუ ჭიამაია პეპლის მსგავსად მწერია, მასაც უნდა ჰქონდეს 6 ფეხი, 2 ულვაში, ფრთები, ჯავშანი).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-4.** რა სარგებლობა მოაქვთ ადამიანისთვის მწერებს? მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ, აღწერენ სახელმძღვანელოში მოცემულ ფუტკრის და თუთის აბრეშუმხვევიას სურათებს, ასახელებენ მათ მნიშვნელობას ადამიანისთვის.

(5 წუთი)

**აქტივობა მე-5.** „ავანწყოთ პეპელა“ . მუშაობა მოსწავლის რვეულში. მოსწავლეებმა უნდა გამოჭრან პეპლის ნაწილები და „ააწყონ“ პეპელა, დააწებონ სწორი თანმიმდევრობით ცარიელ ადგილას და გააფერადონ (დავალების შესრულებისას მოსწავლეებს შეუძლიათ სახელმძღვანელო დაიხმარონ).

(13 წუთი)

გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი მოსწავლეებს უჩვენებს მწერების ამსახველ სლაიდებს ან სურათებს, განმარტავს, რომ პუნქტაში უამრავი მწერია (მწერების მრავალფეროვნება).

(3 წუთი)

**გაკვეთილის შეჯამება:**

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

## 41-ი გაკვეთილი

### ფრინველები

**გაკვეთილის ამოცანები:**

მოსწავლე აღწერს და ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ცხოველის სხეულის ნაწილებს. მოსწავლეები გაეცნობიან ფრინველებს, მათ მრავალფეროვნებას, სილამაზეს.

**მოსალოდნელი შედეგები:** მოსწავლეს მოჰყავს მაგალითები ფრინველებზე, საუბრობს ფრინველების შესახებ, ასახელებს მათთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს (ფრთები, ბუმბული, ნისკარტი, ორი ფეხი, კვერცხისმდებლობა); მსჯელობს ადამიანისთვის ფრინველების მნიშვნელობაზე.

**რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

დაკვირვების, აღწერის, შედარების, მსჯელობის, ლოგიკური აზროვნების, დასკვნების გამოტანის.

**გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფერადი ფანქრები.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მუშაობა მოსწავლის რვეულში (წინა გაკვეთილის მასალის გამეორება).

მოსწავლეებმა უნდა განიხილონ მოსწავლის რვეულში მოცემული დავალება „რომელია ზედმეტი?“ საკუთარი არჩევანი უნდა დაასაბუთონ.

(ობობა არ არის მწერი იმიტომ, რომ მას 8 ფეხი აქვს და არ აქვს ულვაშები).

თუ მოსწავლეებს გაუჭირდათ დავალების შესრულება, მასწავლებელი სვამს დამხმარე კითხვას: „რამდენი ფეხი აქვთ სურათებზე გამოსახულ ცოცხალ ორგანიზმებს?“

(5 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაათვალიერონ სახელმძღვანელოში მოცემული სურათები (ფრინველების სურათები) და თქვან, რა საერთო სახელწოდება აერთიანებს ყველა მათგანს (მოსწავლეებს შეიძლება გაუჭირდეთ პინგვინის, როგორც ფრინველის, აღქმა, ამ შემთხვევაში მასწავლებელი გააკეთებს კომენტარს).

შემდეგ აგრძელებს წინა გაკვეთილის ისტორიას.

ბავშვებო, თუ გახსოვთ, წინა გაკვეთილზე ვისაუბრეთ, როგორ გაარკვია ჭიამაია მაიამ, რომ ის მწერია.

დღეს ვაგრძელებთ მეგობრების ამბავს. კარგი, უთხრა ბრძენ ბუს ჭიამაიამ, გავიგე, თურმე მწერი ვყოფილვარ, მაგრამ შენ ვინ ხარო? ფრინველიო, უპასუხა ბუმ. რატომ ხარ ფრინველიო?

ბავშვებო, თქვენც ასე ფიქრობთ? ბუ მართლა ფრინველია? რატომ ფიქრობთ ასე?

**სავარაუდო პასუხები:**

აქვს 2 ფრთა, 2 ფეხი, ბუმბული, ნისკარტი, დაფრინავს.

(10 წუთი)

მასწავლებელი აკეთებს განმარტებას (თუ მოსწავლეებმა ფრინველების ეს თვისებები არ დაასახელეს), რომ ფრინველები დებენ კვერცხებს, რომლებსაც შემდეგ ათბობენ, კრუხად ჯდებიან და კვერცხებიდან ნაშიერები იჩევებიან.

მასწავლებელს შეუძლია იყითხოს, რა ჰქვია მერცხლის ნაშიერს, ბატის, იხვის, ქათმის ნაშიერებს.

**აქტივობა მე-3.** მუშაობა მოსწავლის რვეულში წყვილებში. მოსწავლეები ადარებენ ერთმანეთს არწივს და ბელურას, ხაზებით აკავშირებენ ერთმანეთთან სხეულის რომელი საერთო ნაწილები აქვთ ორივეს.

(10 წუთი)

(ფრთები, ნისკარტი, ბუმბული, თვალები, ფეხები).

**აქტივობა მე-4.** მოსწავლეები მსჯელობენ, რატომ აქვს არწივს მოკაუჭებული ნისკარტი, ხოლო კოდალას – გრძელი და სწორი.

(3 წუთი)

**აქტივობა მე-5.** შინაური ფრინველები. მოსწავლეები ახასიათებენ სახელმძღვანელოში მოცემულ შინაურ ფრინველებს, განმარტავენ, რა დანიშნულება აქვთ მათ ადამიანისთვის.

(5 წუთი)

**გაკვეთილის შეჯამება:**

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

## 42-ი გაკვეთილი

### ძუძუმწოვრები

**გაკვეთილის ამოცანები:**

მოსწავლე აღწერს და ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ცხოველის სხეულის ნაწილებს, აწყობს ფრაგმენტებისგან ცხოველის სხეულის მოდელს. მოსწავლეები გაეცნობიან ძუძუმწოვრებს, მათ მრავალფეროვნებას, დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს.

**მოსალოდნელი შედეგები:** მოსწავლეებს მოჰყავს ძუძუმწოვრების მაგალითები, საუბრობს ძუძუმწოვრების შესახებ: ასახელებს მათთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს (ბალანი, ყურები, კბილები, კუდი, ნაშიერების რძით კვება), მსჯელობს ადამიანისთვის ძუძუმწოვრების მნიშვნელობის შესახებ. ააწყობს ფრაგმენტებისგან ცხოველის მოდელს.

## **რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

დაკვირვების, აღნერის, შედარების, მსჯელობის, ლოგიკური აზროვნების, დასკვნების გამოტანის.

### **გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, წებო, მაკრატელი, ფერადი ფანქრები. წინასწარ მომზადებული სლაიდები (ბარათები) ცხოველთა სხვადასხვა კლასის წარმომადგენლების გამოსახულებებით.

## **სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი**

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი ამეორებინებს წინა გაკვეთილზე განხილულ მასალას. მოსწავლეები ჩამოთვლიან ფრინველებისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს.

(3 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს, მასწავლებელი აკეთებს კომენტარს, რომ სურათზე აღბეჭდილ ყველა ცხოველს აქვს საერთო სახელწოდება – ძუძუმწოვრები. ყველა მათგანი ახალშობილ ნაშიერს რძით კვებავს. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ მათთვის ცნობილი ძუძუმწოვრები.

(3 წუთი)

**აქტივობა მე-3.** აღვწეროთ კატა. მოსწავლეები სახელმძღვანელოს გამოყენებით ასახელებენ კატის სხეულის ნაწილებს (თავი, კუდი, კიდურები, ყურები, თვალები). მასწავლებელი სვამს შეკითხვას, რით არის მათი სხეული დაფარული? (ბალნით).

(10 წუთი)

**აქტივობა მე-4.** საკლასო დისკუსია: მასწავლებლის ტექსტი: ერთხელ ცნობისმოყვარე ბაჭია, ბრძენი ბუ და ჭიამაია მაია ცხოველების სურათებს ათვალიერებდნენ და ასახელებდნენ, რომელი იყო ფრინველი, მწერი ან – ძუძუმწოვარი. ერთ სურათზე ღამურა და ციყვი ეხატა. ბაჭიამ თქვა, ღამურა ფრინველია, იმიტომ, რომ დაფრინავს, ხოლო ციყვი ძუძუმწოვარიო. ბუ არ დაეთანხმა. ბავშვებო, თქვენ როგორ ფიქრობთ?

(მოსწავლეები ასახელებენ ღამურას ნიშან-თვისებებს: ბალანი, ყურები, კბილები, პატარა კუდი და მიდიან დასკვნამდე, რომ ღამურაც, ფრენის უნარის მიუხედავად, ძუძუმწოვარია).

(4 წუთი)

**აქტივობა მე-5.** მუშაობა მოსწავლის რვეულში – „ავანწყოთ კატა“. მოსწავლეებმა უნდა ამოჭრან ცხოველის ფრაგმენტები და ააწყონ კატის მოდელი.

(13 წუთი)

### **გაკვეთილის შეჯამება:**

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

### **შეფასება:**

მასწავლებელს დისკუსიის შეფასება შეუძლია.

მასწავლებელი აფასებს ჩართულობას, რამდენად მკაფიოდ აყალიბებს აზრს მოსწავლე, არგუმენტირებულ მსჯელობას, დასკვნების გაკეთების უნარს, რამდენად ისმენენ და კორექტულად პასუხობენ მოსწავლეები განსხვავებულ მოსაზრებებს (მაგ., ყოჩალ, საკუთარ მოსაზრებებს გასაგებად აყალიბებ; კიდევ ერთხელ გაგვიმეორე, რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ; თუ შეიძლება, ერთმანეთს მოვუსმინოთ; რატომ ფიქრობთ, რომ ...).

## 43-ი გაკვეთილი

### სად ცხოვრობენ ბუნებაში მცენარეები და ცხოველები?

**გაკვეთილის ამოცანები:**

მოსწავლე მსჯელობს სხვადასხვა გარემოში მობინადრე მცენარეებისა და ცხოველების შესახებ, ადარებს მათ ერთმანეთს.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლე მსჯელობს სხვადასხვა გარემოში მობინადრე მცენარეებისა და ცხოველების შესახებ, ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა საცხოვრებელ გარემოს, საუბრობს ბუნების მრავალფეროვნებაზე.

**რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

დაკვირვების, მსჯელობის, დასკვნების გამოტანის, შედარების, მეტყველების.

**გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, წინასწარ მომზადებული ბარათები (ან სლაიდები) განხილულ საცხოვრებელ გარემოში მცენარეებისა და ცხოველების გამოსახულებებით.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

მასწავლებლის ტექსტი: ჩვენმა მეგობრებმა – ჭიამაია მაიამ, ბრძენმა ბუმ და ცნობისმოყვარე ბაჭიამ მოგზაურობა გადაწყვიტეს. ისინი ესტუმრნენ უდაბნოს, ჯუნგლებს, თვითმფრინავით ჩაფრინდნენ თოვლისა და ყინულის სამყაროში – არქტიკაში, ჩაყვინთეს ზღვაში. მოგზაურობის დროს მათ უამრავი საინტერესო ადგილი მოინახულეს და უამრავი ცხოველი გაიცნეს. მათ გადაიღეს სურათები (აჩვენებს სახელმძღვანელოში მოცემულ ილუსტრაციებს) და მოუყვნენ მეგობრებს ამ ადგილების შესახებ. მოდით, ვნახოთ მათ მიერ გადაღებული სურათები და ჩვენც გავიგოთ, რომელი მცენარეები ნახეს მოგზაურობისას და რომელ ცხოველებს შეხვდნენ.

(3 წუთი)

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი ყოფს მოსწავლეებს 5-6 კაციან ჯგუფებად, თითო ჯგუფს აძლევს დასახასიათებლად თითო გარემოს (სახელმძღვანელოში მოცემულია რამდენიმე საცხოვრებელი გარემოს ამსახველი სურათი). მოსწავლეებმა უნდა აღწერონ კონკრეტული გარემო მარტივი მახასიათებლების მიხედვით: ცივა, ცხელა, ბევრი ხეა, ცოტა მცენარეა, დაასახელოს მათთვის ნაცნობი ცხოველები. დახატონ მოსწავლის რვეულში ერთ-ერთი საარსებო გარემო.

(25 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მასწავლებელი მორიგეობით აჩვენებს მოსწავლეებს სლაიდებს (ან ბარათებს). მოსწავლეები ასახელებენ, თუ სად შეხვდათ მოგზაურებს ესა თუ ის ცხოველი ან მცენარე.

(7 წუთი)

**შეფასება:**

მასწავლებელს შეუძლია ჯგუფური სამუშაოს შეფასება.

მასწავლებელი აფასებს ჯგუფის ყველა წევრის ჩართულობას, რამდენად უსმენენ და ითვალისწინებენ ერთმანეთის მოსაზრებას, იცავენ დროის ლიმიტს, აკეთებენ დასკვნებს, მკაფიოდ აყალიბებენ აზრს (მაგ., ყოჩალ, ჯგუფს ეხმარები, მაგრამ, თუ შეიძლება, უფრო აქტიურად დაეხმარე; მოუსმინეთ ერთმანეთს; ცოტა სწრაფად იმუშავეთ; ყოჩალ, უდაბნოში ნამდვილად ცხელა).

## 44-45-ე გაკვეთილები

### დადგა გაზაფხული

#### გაკვეთილის ამოცანები:

მოსწავლე აღწერს გაზაფხულის ამინდს, ცვლილებებს ბუნებაში, ასახელებს გაზაფხულის თვეებს.

#### მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლეები დაასახელებენ გაზაფხულის თვეებს, აღწერენ, რა ცვლილებები მოხდა ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაში, იმსჯელებენ გაზაფხულის ამინდის შესახებ.

#### რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?

დაკვირვების, აღწერის, სოციალური უნარების, დასკვნების გამოტანის.

#### გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:

სახელმძღვანელო, მოსწავლის რევული, ფანქრები, წინასწარ მომზადებული აუდიოჩანაწერი: ჩიტების ჭიკჭიკი, ჭექა-ქუხილის ხმა, წვიმის ხმა.

<https://www.youtube.com/watch?v=XRxpke-7iDM>,

<http://www.myvideo.ge/v/1363675>,

<http://ecosounds.net/dozhd/zvuk-i-shum-dozhdya/>

მომზადებული სლაიდები და ბარათები ზამთრისა და გაზაფხულის პეიზაჟებით.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი მოსწავლეებს ასმენინებს აუდიოჩანაწერს და სვამს შეკითხვას: „წელიწადის რომელ დროს გესმით ასეთი ხმები? (გაზაფხულზე).

(3 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მასწავლებლის ტექსტი: ბავშვებო, წელიწადის რომელი დროა ახლა? (გაზაფხული), ჩამოვთვალოთ გაზაფხულის თვეები (მოსწავლეები სახელმძღვანელოს დახმარებით ასახელებენ გაზაფხულის თვეებს).

(2 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მასწავლებლის ტექსტი: ჩვენი ჭიამაია მაია, ბრძენი ბუ და ცნობისმოყვარე ბაჭია მოუთმენლად ელოდნენ გაზაფხულს. მათ ძალიან მოენატრათ მეგობრები, რომლებიც მთელი ზამთრის განმავლობაში არ უნახავთ. თქვენი აზრით, რომელი მეგობრების დაბრუნებას ელოდებიან? (მერცხლების).

(2 წუთი)

**აქტივობა მე-4.** ჯგუფური სამუშაო: მასწავლებელი კლასს ყოფს 5-6 კაციან ჯგუფებად, თოთოეულ ჯგუფს ურიგებს სურათებს ზამთრისა და გაზაფხულის გამოსახულებებით. მოსწავლეებმა უნდა ახსნან, რა ცვლილებები მოხდა ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაში გაზაფხულზე.

(18 წუთი)

დავალების შესასრულებლად მოსწავლეები იყენებენ სახელმძღვანელოსაც (სადაც გამოსახულია მერცხალი, დათვი, ბარტყი და ყოჩივარდა).

მოსწავლეებმა უნდა დაასახელონ გაზაფხულზე მომხდარი შემდეგი ცვლილებები:

1. თოვლი დნება;
2. დათბა;
3. დღე გაიზარდა;
4. მოდის შხაპუნა წვიმა;
5. მოფრინდნენ მერცხლები;

6. დათვმა გაიღვიძა;
7. მწერები გამოვიდნენ სამალავებიდან;
8. ამოვიდა პირველი ყვავილები;
9. ხეებზე გაჩნდა ფოთლები.

სასურველი შედეგის მისაღწევად მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეების მუშაობას და დამსმარე კითხვების საშუალებით მიჰყავს სწორი პასუხებისკენ.

**აქტივობა მე-4.** მუშაობა მოსწავლის რევულში. მოსწავლეებმა უნდა იპოვონ, რომელი ნახატია ზედმეტი, პასუხი უნდა დაასაბუთონ (პირველ შემთხვევაში მძინარე დათვია ზედმეტი, რადგანაც ეს ზამთრის მოვლენაა, დანარჩენი სამი კი გაზაფხულს ასახავს; მეორე შემთხვევაში ზედმეტია მერცხალი, რადგანაც მერცხალი ზამთარში ჩვენთან არ რჩება).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-5.** თამაში „სიმართლე თუ ტყუილი?“ (გაკვეთილის შეჯამება).

მასწავლებელი სვამი შეკითხვებს, თუ ფრაზა გაზაფხულს ასახავს, მოსწავლეები ამბობენ: „სიმართლე“, თუ არ ასახავს – „ტყუილი“.

(10 წუთი)

1. თოვლი დნება – (სიმართლე);
2. აცივდა – (ტყუილი – დათბა);
3. დღე დაპატარავდა – (ტყუილი – გაიზარდა);
4. მოდის შხაპუნა წვიმა – (სიმართლე);
5. მერცხლები გაფრინდნენ – (ტყუილი – მოფრინდნენ);
6. დათვმა გაიღვიძა – (სიმართლე);
7. მწერები გამოვიდნენ სამალავებიდან – (სიმართლე);
8. ამოვიდა პირველი ყვავილები – (სიმართლე);
9. ხეებს ფოთლები გასცვივდა – (ტყუილი – ამოუვიდა);
10. ხშირია ჭექა-ქუხილი – (სიმართლე).

#### შეფასება:

მასწავლებელს შეუძლია ჯგუფური სამუშაოს შეფასება.

მასწავლებელი აფასებს ჯგუფის ყველა წევრის ჩართულობას, რამდენად უსმენენ და ითვალისწინებენ ერთმანეთის მოსაზრებას, იცავენ დროის ლიმიტს, აკეთებენ დასკვნებს, მკაფიოდ აყალიბებენ აზრს (მაგ., ყოჩად, ჯგუფს ეხმარები, მაგრამ, თუ შეიძლება, უფრო აქტიურად დაეხმარე; მოუსმინეთ ერთმანეთს; ცოტა სწრაფად იმუშავეთ; სწორია, გაზაფხულზე მწერები გამოდიან სამალავებიდან, რადგანაც თბილა).

## 45-ე გაკვეთილი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი მოსწავლეებს ამეორებინებს წინა გაკვეთილზე განხილულ მასალას (გაზაფხულის თვეებს, ცვლილებებს ბუნებაში).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მასწავლებელს მოსწავლეები გაჲყავს სკოლის ეზოში ან მიმდებარე ტერიტორიაზე. ისინი აკვირდებიან მცენარეებს, ფრინველებს, ყურადღებას ამახვილებენ მომხდარ ცვლილებებზე.

(20 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მუშაობა მოსწავლის რვეულში. მოსწავლეები ასრულებენ ნახატს, სადაც თავიანთი დაკვირვების შედეგებს ასახავენ.

(10 წუთი)

## 46-ი გაკვეთილი

### გაზაფხული ჩვენ ეზოში

#### გაკვეთილის ამოცანები:

მოსწავლე ჩამოთვლის ადამიანის საქმიანობას გაზაფხულის პერიოდში, ახარისხებს ტანსაც-მელს წელიწადის დროების მიხედვით.

#### მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლე დაასახელებს ადამიანის საქმიანობას გაზაფხულის პერიოდში, დაასახელებს გა-ზაფხულის ტანსაცმელს, იმსჯელებს საკუთარი არჩევანის შესახებ.

#### რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?

დაკვირვების, შედარების, ლოგიკური აზროვნების, დასკვნების გამოტანის, პუნქტის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების.

#### გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, წებო, მაკრატელი.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი მოსწავლეებს ამეორებინებს წინა გაკვეთილზე განხილულ მა-სალას (გაზაფხულის თვეებს, როგორ იცვლება ცოცხალი და არაცოცხალი ბუნება გაზაფხულზე).  
(7 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მასწავლებლის ტექსტი. ცნობისმოყვარე ბაჭიამ ბელელში შენახული ხორბა-ლი აღმოაჩინა. უცბად ერთი აზრი დაეტადა, მოდი, ამ ხორბალს დავთესავ, მოსავალს ავიღებ და ზამთარში ჩემ მეგობარ ბელურებს ვაჭმევო. აიღო ხორბალი და მინდორში წავიდა, თუმცა ვერ მიხვდა, რა უნდა გაეკეთებინა. ბავშვებო, დავეხმაროთ ბაჭიას.

1. სანამ ხორბალს დათესავს, რა უნდა გააკეთოს? (მოხნას, მიწა გააფხვიეროს);
2. ამისთვის რა დასჭირდება? (ტრაქტორი);
3. შემდეგ რა უნდა გააკეთოს? (კვალი გაავლოს);
4. დათესოს ხორბალი;
5. ხორბალი რომ ამოვა, როგორ უნდა მოუაროს? (მორწყას).

(კითხვებზე პასუხის გასაცემად მოსწავლეები იყენებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურა-თებს).

თქვენ თუ გინახავთ ადამიანების საქმიანობა გაზაფხულზე?

**მასწავლებელი აკეთებს შეჯამებას:** იმისათვის რომ ადამიანებმა მოიყვანონ მოსავალი, მცენა-რის თესლი გაზაფხულზე უნდა დაითესოს (მცენარეს დრო სჭირდება, სანამ ამოვა, გაიზრდება და მოსავალს მოგვცემს), ამისათვის ჯერ მიწის მოხვნა-გაფხვიერებაა საჭირო, შემდეგ კვალს ავლე-ბენ და თესლს თესავენ. როცა მცენარეები ამოვა, მათ სჭირდება მოვლა – მორწყა, დროდადრო მიწის გაფხვიერება.

(10 წუთი)

**აქტივობა მე-3.** როგორი ტანსაცმელი გვჭირდება გაზაფხულზე? მუშაობა ჯგუფებში. მოს-წავლეებმა არჩევანი უნდა დაასაბუთონ (გაიხსენონ გაზაფხულის ამინდი. ბაჭიას ხაზებით უნდა დაუკავშირონ საგაზაფხულო ტანსაცმელი).

(15 წუთი)

#### გაკვეთილის შეჯამება:

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(3 წუთი)

## 80-4 თავი

### შეგრძნების ორგანოები

#### თემის მიზანი:

მოსწავლემ შეძლოს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება.

#### მისალწევი შედეგები:

მოსწავლე ასახელებს ადამიანის შეგრძნების ორგანოებს და მათ ფუნქციებს; აღწერს სხეულის თვისებებს, უკავშირებს მათ აღქმას სხვადასხვა შეგრძნების ორგანოს; მსჯელობს შეგრძნების ორგანოების პიგიენის შესახებ; მსჯელობს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობაზე ადამიანისა და ცხოველებისთვის; იყენებს მარტივ ხელსაანყოებს მხედველობის და სმენის გაძლიერების მიზნით; ჩამოთვლის პირადი პიგიენის ნივთებს; მსჯელობს პიგიენის წესების დაცვის მნიშვნელობაზე.

#### რა გზით მიიღწევა დასახული მიზნები:

მოსწავლეებისთვის რომ თემის შესწავლა საინტერესო და სახალისო იყოს, შემოთავაზებულია პრაქტიკული სამუშაოები, თამაშები, დავალებები მოსწავლის რვეულში.

## 47-48-ე გაკვეთილები

### შეგრძნების ორგანოები – მხედველობა

#### გაკვეთილის ამოცანები:

მოსწავლეები დაასახელებენ შეგრძნების ორგანოებს, დაასახელებენ მათ ფუნქციებს; იმსჯელებენ მხედველობის ორგანოს მნიშვნელობის შესახებ; დაასახელებენ სხეულის იმ მახასიათებლებს, რომლის აღქმაც მხედველობის ორგანოს საშუალებით არის შესაძლებელი; მსჯელობს მხედველობის ორგანოს პიგიენაზე.

#### მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლე ჩამოთვლის შეგრძნების ორგანოებს; მსჯელობს მხედველობის ორგანოს მნიშვნელობის შესახებ; ასახელებს სხეულის იმ მახასიათებლებს, რომლის აღქმაც მხედველობის ორგანოს საშუალებით არის შესაძლებელი; მსჯელობს მხედველობის ორგანოს პიგიენაზე.

#### რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?

დაკვირვების, აღწერის, დასკვნების გამოტანის.

#### გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფერადი ფანქრები.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებლის ტექსტი: ჩვენი მეგობარი ჭიამაია მაია მოგვითხრობს ერთ ამბავს: იყო და არა იყო რა, იყო ხუთი მეგობარი, რომლებიც ცნობისმოყვარე ბაჭიას ეხმარებოდნენ, ესენი იყვნენ: თვალი, ყური, ენა, ცხვირი და კანი.

თვალი ხედავდა;

ყური ისმენდა;

ცხვირი სუნს გრძნობდა;

ენა – გემოს;

კანი – შეხებას.

ყველა მეგობარი ერთად მუშაობდა და ბაჭიას ეხმარებოდა.

ერთხელაც ბაჭიამ გადაწყვიტა გაერკვია, რაში ეხმარებოდნენ თვალები, ყურები, ენა, ცხვირი და კანი და რომელი მათგანი იყო ყველაზე მნიშვნელოვანი. იგი მიადგა ბრძენ ბუს და ჰქითხა, „ბრძენ ბუ, შეგიძლია, მითხრა, რა საჭიროა თვალები?“

### **შეკითხვა:**

თქვენი აზრით, რა უპასუხა ბუმ ბაჭიას?

(5 წუთი)

თვალი, ყური ენა, ცხვირი და კანი არა მარტო ცნობისმოყვარე ბაჭიასი, არამედ ჩვენი ერთ-გული მეგობრებიც არიან.

**აქტივობა მე-2.** მსჯელობა – რა მოხდება, თუ თვალები აღარ დაეხმარება ბაჭიას?

(5 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მუშაობა მოსწავლის რვეულში. რას გვატყობინებს თვალები? ბავშვებმა ინ-დივიდუალურად უნდა დაუკავშირონ თვალს ხაზებით სხეულის ის თვისებები, რომელთა შეგრძნებაშიც თვალი გვეხმარება.

(8 წუთი)

**აქტივობა მე-4.** მასწავლებელი აუხვევს თითოეულ ბავშვს თვალებს და სთხოვს დახატონ მწვანე ბურთი, გაავლონ წითელი ხაზი და ა.შ. შემდეგ იმავე აქტივობის შესრულებას სთხოვს ასაკრავის გარეშე.

ბავშვები პასუხობენ შეკითხვას, თუ რატომ ვერ შეძლეს დავალების შესრულება, როდესაც თვალები ჰქონდათ აკრული.

(15 წუთი)

### **გაკვეთილის შეჯამება:**

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

### **შეფასება:**

მასწავლებელს შეუძლია შეაფასოს მოსწავლის რვეულში შესრულებული დავალება.

განმავითარებელი შეფასება	
4 სწორი პასუხი	ყოჩაღ, დავალებას თავი კარგად გაართვი.
2-3 სწორი პასუხი	დავალებას თავი კარგად გაართვი, მოდი, კიდევ ერთხელ შეხედე, ყველაფერი სწორად გაქვს შესრულებული? შეეცადე აღმოაჩინო შეცდომები (მაგ., რატომ დაუკავშირე ცხელი ჩაი თვალს? დაახ, ფინჯანს თვალით ვხედავთ, თუმცა ჩაი ცხელია თუ ცივი ამის გაგებაში თვალები ვერ დაგვეხმარება).
1 სწორი პასუხი	მასწავლებელი მოსწავლეს უუბნება, რა შეასრულა სწორად და ეხმარება შეცდომების აღმოჩენაში (მაგ., რატომ დაუკავშირე ცხელი ჩაი თვალს? დაახ, ფინჯანს თვალით ვხედავთ, თუმცა ჩაი ცხელია თუ ცივი ამის გაგებაში თვალები ვერ დაგვეხმარება), დაფიქრდი და გაიხსენე.

**სწორი პასუხები:** მოსწავლეებმა უნდა გამორიცხონ ცხელი ჩაი, მუავე ლიმონი და სუნამო.

## **48-ი გაკვეთილი**

**აქტივობა 1-ლი.** საუბარი წინა გაკვეთილზე შესრულებული აქტივობების შესახებ.

(5 წუთი)

მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ და დაასახელონ შეგრძნების ორგანოები. გაიხსენონ წინა გაკვეთილზე შესრულებული მე-2 აქტივობა.

**აქტივობა მე-2.** თამაში – ფორმა (ზომა) – ფერი.

(5 წუთი)

მასწავლებელს აქვს მომზადებული სხვადასხვა ფერისა და ფორმის ფიგურა (აღნიშნული აქტივობის შესრულება შესაძლებელია კომპიუტერის დახმარებითაც).

მასწავლებელი თითოეულ მოსწავლეს სთხოვს, დაასახელოს სხეულის ფორმა და ფერი.

(შესაძლებელია მასწავლებელს ჰქონდეს დიდი და პატარა ზომის წითელი ან სხვადასხვა ფერის წრე და სთხოვოს მოსწავლეებს ამოიცნონ, რომელია დიდი და რომელი – პატარა).

**აქტივობა მე-3.** თვალები გვატყობინებს საფრთხის შესახებ – მსჯელობა სურათების მიხედვით. (10 წუთი)

**აქტივობა მე-4.** გავუფრთხილდეთ თვალებს – მსჯელობა სურათების მიხედვით.

(5 წუთი)

**აქტივობა მე-5.** მუშაობა წყვილებში (გაკვეთილის შეჯამება).

(10 წუთი)

მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში. ჯერ ერთი მოსწავლე ირჩევს რომელიმე საგანს და სთხოვს მეორეს, დაახასიათოს, თუ რას ხედავს (ფერი, ზომა, დიდი, პატარა), მოძრაობს თუ არა. შემდეგ როლები იცვლება.

## 49-ე გაკვეთილი

### შეგრძნების ორგანოები – სმენა

#### გაკვეთილის ამოცანები:

მოსწავლეები იმსჯელებენ სმენის ორგანოს მნიშვნელობის შესახებ, დაასახელებენ სხეულის იმ მახასიათებელს, რომლის აღქმაშიც სმენის ორგანო მონაწილეობს, გაიაზრებენ სმენის ორგანოს ჰიგიენის მნიშვნელობას.

#### მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლე მსჯელობს სმენის ორგანოს მნიშვნელობის შესახებ, ასახელებს სხეულის იმ მახასიათებელს, რომლის აღქმაც სმენის ორგანოს საშუალებით არის შესაძლებელი. მსჯელობს სმენის ორგანოს ჰიგიენის შესახებ.

#### რომელი უნარების განვითარებსა შეუწყობს ხელს გაკვეთილი?

დაკვირვების, აღწერის, დასკვნების გამოტანის, მეტყველების.

#### გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფერადი ფანქრები, სტერილური ბამბის ბურთულები. აუდიოჩანაწერი: ჩიტის ჭიკჭიკი, წყლის ჩხრიალი, მანქანის სიგნალი, თხის კიკინი, მამლის ყივილი, ბაყაყის ყიყინი, ხმამაღალი მუსიკის ფრაგმენტი, ხმადაბალი მუსიკის ფრაგმენტი (სასურველია, მოსწავლეებს ერთი და იგივე მუსიკა მოვასმენინოთ), მანქანის დამუხრუჭების ხმა.

<https://www.youtube.com/watch?v=XRxpke-7iDM>

<https://www.youtube.com/watch?v=0oh10ltinAk>

<https://www.youtube.com/watch?v=97KyXLTTeNxM>

<https://www.youtube.com/watch?v=RThdvvWgrhQ>

<https://www.youtube.com/watch?v=PVvi2SDOjVc>

<https://www.youtube.com/watch?v=0PM1-sDLjcc>

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის თემას, ამბობს, რომ აგრძელებენ საუბარს შეგრძნების ორგანოების შესახებ. შემდეგ მოსწავლეებს ურიგებს ორ-ორ ბურთულას და სთხოვს, ყურები დაიცონ. იწყებს ლაპარაკს დაბალი ხმით. შემდეგ ანიშნებს, რომ ბამბები მოიცილონ და ეკითხება მათ: „ვინ მეტყვის, რა ვთქვი?“ (მოსწავლეებს, სავარაუდოდ, გაეცინებათ, იტყვიან, ვერ გავიგეთ, რადგანაც ყურები ბამბით გვქონდა დახშულიო).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-2.** საკლასო დისკუსია თემაზე: რა მოხდებოდა, რომ არ გვესმოდეს?

(7 წუთი)

(აქტივობის შესრულებისას მოსწავლეები იყენებენ სახელმძღვანელოს).

**აქტივობა მე-3.** გამოიცანი: მასწავლებელი რთავს აუდიოჩანაწერს, მოსწავლეებმა ხმები უნდა ამოიცნონ.

(10 წუთი)

**შემდეგ მოსწავლეებმა შეკითხვებს უნდა უპასუხონ:**

- 1 რომელი ხმები მოგეწონათ? (ანუ ეს ხმები სასიამოვნოა?);
2. ჩვენ ორჯერ მოვისმინეთ ერთი და იგივე მუსიკა, რა განსხვავება იყო მათ შორის?
3. როგორ ფიქრობთ, ხმაური სახიფათოა?
4. ხმამაღალი მუსიკის მოსმენა?

**გაკვეთილის შეჯამება:**

**აქტივობა მე-4.** მოსწავლეები მოსწავლის რვეულში მუშაობენ (წყვილებში), მათ სიტყვებს „მხედველობა“ და „სმენა“, შესაბამისად, ხაზებით უნდა დაუკავშირონ ის მახასიათებლები, რომლების ამოცნობაშიც კონკრეტული შეგრძნების ორგანოები იღებენ მონაწილეობას.

აქტივობის დასასრულს მოსწავლეები იმეორებენ ახალ სიტყვებს.

(10 წუთი)

**სახალისო აქტივობა.**

„ვინ როგორ ხმებს გამოსცემს?“ მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს და შესაბამისი ცხოველის ხმის იმიტაციას აკეთებენ.

(3 წუთი)

**შეფასება:**

მასწავლებელს შეუძლია დისკუსიის შეფასება. მასწავლებელი აფასებს ჩართულობას, რამდენად მკაფიოდ აყალიბებს აზრს მოსწავლე, არგუმენტირებულ მსჯელობას, დასკვნების გაკეთების უნარს, რამდენად ისმენენ და კორექტულად პასუხობენ მოსწავლეები განსხვავებულ მოსაზრებებს (მაგ., ყოჩად, საკუთარ მოსაზრებებს გასაგებად აყალიბებ; კიდევ ერთხელ გაგვიმეორე, რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ; თუ შეიძლება, ერთმანეთს მოვუსმინოთ; რატომ ფიქრობთ, რომ...).

## 50-ი გაკვეთილი

### გემო

**გაკვეთილის ამოცანები:**

მოსწავლეები იმსჯელებენ გემოვნების ორგანოს მნიშვნელობის შესახებ, დაასახელებენ სხეულის იმ მახასიათებლებს, რომლის აღქმაშიც გემოვნების ორგანო მონაწილეობს, გაიაზრებენ გემოვნების ორგანოს ჰიგიენის მნიშვნელობას.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლე მსჯელობს გემოვნების ორგანოს მნიშვნელობის შესახებ, ასახელებს სხეულის იმ მახასიათებლებს, რომლის აღქმაც გემოვნების ორგანოს საშუალებით არის შესაძლებელი. მსჯელობს გემოვნების ორგანოს ჰიგიენის შესახებ.

**რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

დაკვირვების, აღნერის, დასკვნების გამოტანის, კომუნიკაციელურობის, მეტყველების, ექსპერიმენტის ჩატარების.

**გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:** სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, შაქარი, მარილი, ერთჯერადი ჭიქები და კოვზები (რამდენი მოსწავლეც არის კლასში).

## სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი მოსწავლეებს ამეორებინებს წინა გაკვეთილზე განხილულ მასალას.

(4 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში. ყველა მოსწავლეს აქვს ერთჯერადი ჭიქა წყლით, მარილი და შაქარი, ერთჯერადი კოვზები. ერთი მოსწავლე თავის ჭიქაში შაქარს ყრის, მეორე – მარილს, მოურევენ კოვზით. შემდეგ მასწავლებელი სთხოვს ბავშვებს, დახუჭონ თვალები, ზოგიერთ მაგიდაზე ჭიქებს ადგილს უცვლის. მოსწავლეები ახელენ თვალებს. დავალება ასეთია, გამოიცანით, რომელია თქვენი ჭიქა ისე, რომ არ შეეხოთ (მოსწავლეები ვერ შეძლებენ). მასწავლებელი აკეთებს კომენტარს, ანუ ამ შემთხვევაში თვალები ვერ დაგვეხმარა.

აბა, როგორ გავარკვიოთ, რომელია ჩვენი ჭიქა? (გემო გავუსინჯოთ).

(10 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათს, მასწავლებელი აკეთებს კომენტარს, რომ გემოს შესახებ ენა გვატყობინებს, თუმცა ტკბილს, ძირითადად, ენის წვერით ვგრძნობთ, მწარეს – ენის უკანა ნაწილით, ხოლო მჟავეს და მლაშეს – ენის გვერდებით.

(4 წუთი)

**აქტივობა მე-4.** საკლასო დისკუსია თემაზე: „რაში გვეხმარება გემოს აღქმა?“

(8 წუთი)

თუ მოსწავლეებს დავალების შესრულება გაუჭირდათ, მასწავლებელი დამხმარე კითხვებს დასვამს:

1. როგორი გემო აქვს შაქარს?
2. როგორი გემო აქვს მარილს?
3. როგორი გემო აქვს წინაკას?
4. როგორი გემო აქვს ლიმონს?
5. როგორია ნაყინი? (ცივი, ტკბილი, გემრიელი)
6. რას ნიშნავს უგემური?

დისკუსიის დასრულების შემდეგ მასწავლებელი აკეთებს განმარტებას, რომ ენა მხოლოდ საკვების გემოს დადგენაში კი არ გვეხმარება, არამედ გვატყობინებს, როდესაც საჭმელი გაფუჭებულია და მისი ჭამა არ შეიძლება.

**აქტივობა მე-5.** მუშაობა მოსწავლის რვეულში. მოსწავლეებმა შესაბამისი ფრაზები იმ ორგანოს უნდა დაუკავშირონ (შეაერთონ ხაზებით), რომელიც ფრაზის შინაარსის დადგენაში გვეხმარება.

(5 წუთი)

მასწავლებელი აკეთებს შეჯამებას, რომ გემოვნება ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ უნდა გავუფრთხილდეთ, არ ჩავიდოთ პირში ჭუჭყიანი ხელები ან ნივთები.

(2 წუთი)

**გაკვეთილის შეჯამება:**

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

**შეფასება:**

მასწავლებელს შეუძლია დისკუსია და/ან მოსწავლის რვეულში შესრულებული სამუშაო შეაფასოს.

დისკუსიის შეფასება:

მასწავლებელი აფასებს ჩართულობას, რამდენად მეტიოდ აყალიბებს აზრს მოსწავლე, არგუმენტირებულ მსჯელობას, დასკვნების გაკეთების უნარს, რამდენად ისმენენ და კორექტულად პასუხობენ მოსწავლეები განსხვავებულ მოსაზრებებს (მაგ., ყოჩალ, საკუთარ მოსაზრებებს გასაგებად აყალიბებ; კიდევ ერთხელ გაგვიმეორე, რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ; თუ შეიძლება, ერთმანეთს მოვუსმინოთ; რატომ ფიქრობთ, რომ...).

მოსწავლის რეულში შესრულებული სამუშაოს შეფასება:

	განმავითარებელი შეფასება
5-6 სწორი პასუხი	დავალებას თავი კარგად გაართვი, მოდი, კიდევ ერთხელ შეხედე, ყველაფერი სწორად გაქვს შესრულებული? შეეცადე აღმოაჩინო შეცდომები. დაფიქრდი და გაიხსენე... (მაგ., რატომ დაუკავშირე „ტკბილი ნამცხვარი“ თვალს? ნამცხვარი ტკბილია. რომელი შეგრძნების ორგანო გვეხმარება ამის გაგებაში?).
3-4 სწორი პასუხი	დავალებას თავი კარგად გაართვი, მოდი, კიდევ ერთხელ შეხედე, ყველაფერი სწორად გაქვს შესრულებული? შეეცადე აღმოაჩინო შეცდომები (მაგ., რატომ დაუკავშირე „ტკბილი ნამცხვარი“ თვალს? ნამცხვარი ტკბილია. რომელი შეგრძნების ორგანო გვეხმარება ამის გაგებაში?).
1 სწორი პასუხი	მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება, რა შეასრულა სწორად და ეხმარება შეცდომების აღმოჩენაში (მაგ., რატომ დაუკავშირე „ტკბილი ნამცხვარი“ თვალს? ნამცხვარი ტკბილია. რომელი შეგრძნების ორგანო გვეხმარება ამის გაგებაში?), დაფიქრდი და გაიხსენე.

**სწორი პასუხები:** თვალი – ლურჯი ფანქარი, პატარა სკამი;

ყური – ძალლის ყეფა, მამლის ყივილი;

ენა – მწარე წიწაკა, ტკბილი ნამცხვარი.

## 51-ე გაკვეთილი

### ყნოსვა

**გაკვეთილის ამოცანები:**

მოსწავლეები იმსჯელებენ ყნოსვის მნიშვნელობის შესახებ, დაასახელებენ სხეულის იმ მახასიათებლებს, რომლის აღქმაშიც ყნოსვა მონაწილეობს, გაიაზრებენ ყნოსვის ორგანოს ჰიგიენის მნიშვნელობას.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლე მსჯელობს ყნოსვის მნიშვნელობის შესახებ, ასახელებს სხეულის იმ მახასიათებლებს, რომლის აღქმაც ყნოსვის საშუალებით არის შესაძლებელი. მსჯელობს ყნოსვის ორგანოს ჰიგიენის შესახებ.

**რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

დაკვირვების, აღწერის, დასკვნების გამოტანის, მეტყველების.

**გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რეული, ხახვი, ნიორი, სუნამო, ლიმონი, სამედიცინო სპირტი, ძმარი.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი მოსწავლეებს ამეორებინებს წინა გაკვეთილზე განხილულ მასალას (ენის რა ნაწილით შევიგრძნობთ გემოს?).

(3 წუთი)

**მასწავლებლის ტექსტი:** ცნობისმოყვარე ბაჭია სკოლიდან სახლში დაბრუნდა, როგორც კი კარი გააღო, შესძახა, რა კარგია, დედა ჩემ საყვარელ საჭმელს ამზადებსო! ბავშვებო, როგორ მიხვდა ბაჭია, რას ამზადებდა დედა, მას ხომ არ დაუნახავს? (სუნი იგრძნო). რომელი ორგანო დაეხმარა მას ამაში? (ცხვირი). მასწავლებელი ამბობს, რომ დღეს ყნოსვაზე ისაუბრებენ.

(2 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს, აღნერენ თითოეულს. სასიამოვნო (კარგი) სუნი, ცუდი სუნი. მასწავლებელი აკეთებს განმარტებას, რომ სუნი შესაძლოა იყოს მძაფრი (ხშირად ამ დროს ცხვირიც გვეწვის ხოლმე – მაგ.: სპირტის სუნი, ძმრის სუნი).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-3.** თამაში – „ამოვიცნოთ ყნოსვით“. დაფასთან გამოდის ორი მოსწავლე, მასწავლებელი მათ აუზვეს თვალებს, ჯერ ერთ მოსწავლეს მიაქვს მეწყვილეს ცხვირთან ერთ-ერთი წინასწარ მომზადებული სხეული ან ნივთიერება და სთხოვს, ამოიცნოს, რა არის, შემდეგ – როლები იცვლება.

(15 წუთი)

**აქტივობა მე-4.** მსჯელობა: როგორ გავუფრთხილდეთ ყნოსვის ორგანოს?

(3 წუთი)

**აქტივობა მე-5.** მუშაობა მოსწავლის რვეულში. მოსწავლეებმა „ლიმილებით“ უნდა გამოხატონ ემოცია სხვადასხვა სუნის მიმართ (მიუხატონ „ლიმილები“).

(5 წუთი)

**გაკვეთილის შეჯამება:**

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

## 52-ე გაკვეთილი

### შეხება

**გაკვეთილის ამოცანები:** მოსწავლეები იმსჯელებენ შეხების მნიშვნელობაზე, დაასახელებენ სხეულის იმ მახასიათებლებს, რომლის აღქმაშიც შეხება მონაწილეობს, გაიაზრებენ კანის ჰიგიენის მნიშვნელობას.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლე მსჯელობს შეხების მნიშვნელობაზე, ასახელებს სხეულის იმ მახასიათებლებს, რომლის აღქმაც შეხების საშუალებით არის შესაძლებელი. მსჯელობს კანის ჰიგიენის შესახებ.

**რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

დაკვირვების, აღწერის, დასკვნების გამოტანის, მეტყველების.

**გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, სხვადასხვა პატარა ზომის ნივთი: რბილი, მაგარი, ხორკლიანი და გლუვი ზედაპირით (შესაძლებელია პატარა სათამაშოების გამოყენება).

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი მოსწავლეებს წინა გაკვეთილზე განხილულ მასალას ამეორებინებს.

(5 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს გაკვეთილის თემას, მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს და მასწავლებლის დახმარებით აკეთებენ კომენტარებს (რისი შეგრძნება შეუძლიათ შეხების, კანის საშუალებით).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-3.** თამაში „გამოიცანი, რა მოგეცი“. დაფასთან გამოდის ორი მოსწავლე. მასწავლებელი ერთ მათგანს თვალებს აუზვევს, მეორე მოსწავლე ყუთიდან (რომელშიც სხვადასხვა ნივთია ჩაყრილი) იღებს ერთს, რომელიც უნდა დაახასიათოს. მაგ.: მრგვალია, ხორკლიანი – ალბათ ბურთია. შემდეგ – როლები იცვლება.

(15 წუთი)

(ყუთში შესაძლოა თვითონ მოსწავლეებმა მოათავსონ საგნები: საშლელი, ფანქარი, ცარცი – რა ნივთებიც აქვთ თან).

**აქტივობა მე-4.** მოსწავლეები აკვირდებიან სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს და მსჯელობენ, რა იწვევს კანის დაზიანებას და როგორ გავუფრთხილდეთ კანს.

1. ყოველ დილას დავიბანოთ ხელ-პირი;
2. ხშირად დავიბანოთ ხელები;
3. ხშირად ვიბანაოთ;
4. ფრთხილად ვიყოთ მჭრელსა და წვეტიან საგნებთან.

მასზავლებელი განმარტავს, რომ კანი ოფლს გამოჰყოფს, ოფლიან კანს ადვილად ეწებება მტვერი, რომელიც კანს აზიანებს.

(8 წუთი)

#### **გაკვეთილის შეჯამება:**

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

## **53-ე გაკვეთილი**

### **შეგრძნების ორგანოები**

#### **გაკვეთილის ამოცანები:**

მსჯელობა შეგრძნებებისა და შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობაზე (მაგ.: ქუჩაში უსაფრთხოდ მოძრაობა), შეგრძნების ორგანოების მუშაობის დაკავშირება ტვინთან და მეხსიერებასთან.

#### **მოსალოდნები შედეგები:**

მოსწავლე განმარტავს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობას სხვადასხვა სიტუაციაში, მაგ.: ქუჩაში უსაფრთხოდ მოძრაობისას, მსჯელობს შეგრძნების ორგანოებისა და თავის ტვინის (მეხსიერების) ერთმანეთთან კავშირზე.

#### **რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

დაკვირვების, აღწერის, დასკვნების გამოტანის, კომუნიკაციურობის.

#### **გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, წინასწარ მომზადებული ვიდეომასალა ქუჩის სიტუაციით.

### **სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი**

**აქტივობა 1-ლი.** თამაში – „გამოიცანი“. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში. მათ უნდა მოიფიქრონ ერთი რომელიმე სხეული (რომელიც არ არის საკლასო ოთახში), აღწერონ და სთხოვონ მეწყვილეს, გამოიცნოს. მაგ.: ოთხი ფეხი აქვს, ბალნით არის დაფარული, ზოგი – დიდია, ზოგი – პატარა, შეუძლია ყეფა. რა არის? (ძალლი).

(15 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მასზავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათს და ახსნან, როგორ მოახერხეს ისეთი სხეულის გამოცნობა, რომელიც ამ მომენტში არ იყო საკლასო ოთახში?

(3 წუთი)

მასზავლებელი აკეთებს კომენტარს, რომ ეს სხეული ადრეც გვინახავს, მოგვისმენია მისი ხმა, თუ საჭმელია, ვიცით, როგორი გემო აქვს, ხოლო ეს ყველაფერი ჩვენმა ტვინმა დაიმახსოვრა.

#### **აქტივობა მე-3.** საკლასო დისკუსია – „რას ვხედავთ, რა გვესმის“?

(10 წუთი)

დავალების შესრულებისას მოსწავლეებს შეუძლიათ სახელმძღვანელოს გამოყენება.

#### **სავარაუდო პასუხები:**

1. შუქრიშანს ვხედავთ და მხოლოდ მწვანე შუქრი გადავდივართ;
2. ზეპრას ვხედავთ და მხოლოდ ამ ადგილას გადავდივართ;

3. მანქანის სიგნალი გვესმის და ვჩერდებით.

**აქტივობა მე-4.** მუშაობა მოსწავლის რვეულში. მოსწავლეებმა სხეულები შესაბამის ფრაზებთან უნდა დააკავშირონ.

(5 წუთი)

**გაკვეთილის შეჯამება:**

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

## 54-ე გაპვეთილი

### პირადი ნივთები

**გაკვეთილის ამოცანები:**

ასახელებს პირადი ჰელის ნივთებს, მსჯელობს ჰელის ნესების დაცვის მნიშვნელობაზე.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლე ასახელებს პირად ნივთებს, მსჯელობს მათ დანიშნულებაზე, განმარტავს, რატომ არის ეს ნივთები „პირადი“. მსჯელობს ჰელის ნესების დაცვის მნიშვნელობაზე ჯანმრთელობისთვის.

**რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

დაკვირვების, აღწერის, მსჯელობის, დასკვნების გამოტანის, მეტყველების, კომუნიკაციელურობის.

**გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფანქრები.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** ერთხელ ჩვენმა მეგობრებმა – ჭიამაია მაიამ, ბრძენმა ბუმ და ცნობისმოყვარე ბაჭიამ გადაწყვიტეს დასასვენებლად, რამდენიმე დღით, მაიმუნებთან წასულიყვნენ (ზომ გახსოვთ, მათ მაიმუნები მოგზაურობის დროს გაიცნეს). დაიწყეს ჩემოდნების ჩალაგება. ბაჭიამ გადმოალაგა თავისი ნივთები: ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სავარცხელი, კბილის ჯაგრისი და პირსახოცი. ჩანთა უცბად გაივსო და ბაჭიამ გადაწყვიტა, თან არ წაედო კბილის ჯაგრისი, სავარცხელი და პირსახოცი, ესენი მაიმუნს ექნება და ის მათხოვებსო. ბრძენმა ბუმ შეიცხადა, რას ამბობ, სხვა რამე დატოვე და ეს ნივთები აუცილებლად წამოიღეო. რატომ, თავისას არ იშლიდა ბაჭიამ, მაიმუნი მათხოვებსო. ბავშვებო, ავუხსნათ ბაჭიას, რატომ უნდა წაიღოს აუცილებლად მაინცდა-მაინც ეს ნივთები? (მასწავლებლის საუბრის შემდეგ მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს, მასწავლებლის დახმარებით განმარტავენ, რას ნიშნავს „პირადი ნივთები“ და რა მოხდება, თუ ამ ნივთებს სხვა გამოიყენებს).

(13 წუთი)

**აქტივობა მე-3.** ჯგუფური სამუშაო. „ვიცავთ პირად ჰელის“ (აქტივობის დაწყებამდე მასწავლებელი განმარტავს, რას ნიშნავს ჰელის). კლასი იყოფა 5-6 კაციან ჯგუფებად. დავალება ასეთია, თითოეულმა ჯგუფმა უნდა მოიფიქროს ჰელის დაცვის 3 წესი, განმარტოს, რატომ არის ამ წესების დაცვა აუცილებელი.

(15 წუთი)

**აქტივობა მე-4.** (გაკვეთილის შეჯამება) მუშაობა მოსწავლის რვეულში. მოსწავლეებმა უნდა იპოვონ პირადი ნივთები და ფრაზას დაუკავშირონ ხაზებით.

(5 წუთი)

**პირადი ნივთებია:**

კბილის ჯაგრისი, სავარცხელი, აბაზანის პირსახოცი, ტრუსი.

აქტივობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები იმეორებენ ახალ სიტყვებს.

(2 წუთი)

## 55-56-ი გაპვეთილები

### ყველაფერს ვხედავთ და გვესმის?

#### გაკვეთილის ამოცანები:

მოსწავლე იყენებს სხვადასხვა მარტივ ხელსაწყოს (ლუპა, ფონენდოსკოპი) შეგრძნების გაძლიერების მიზნით და აღწერს სხეულის თვისებებს, რომლებიც ამ ხელსაწყოების გამოყენებისას გახდა თვალსაჩინო.

#### მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლე იყენებს მიკროსკოპს, ლუპას გამოსახულების გასადიდებლად, აკვირდება პატარა ზომის სხეულებს და აღწერს მათ, იყენებს მიკროფონს, ფონენდოსკოპს – ხმის გასაძლიერებლად.

#### რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?

დაკვირვების, აღწერის, შედარების, დასკვნების გამოტანის.

#### გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:

სახელმძღვანელო, მოსწავლის რეკული, ლუპა, მიკროსკოპი, მზა პრეპარეტები (მაგ., მწერის), მიკროფონი, ფონენდოსკოპი, ფურცლები ძალიან წვრილი ნაწერით – 3 მოკლე სიტყვა (ან ქვიშა, თმა, რომელიმე ძალიან პატარა ზომის სხეული), სამედიცინო სპირტი, ბამბა.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივიბა 1-ლი.** მასწავლებელი სვამს შეკითხვას, როგორ ფიქრობთ, ყველაფერი გვესმის და ყველაფერს ვხედავთ? (არა), როგორ მოვიწყეთ, რომ რასაც ჩვეულებრივად ვერ ვხედავთ დავინახოთ და რაც არ გვესმის გავიგონოთ?

(2 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, დაათვალიერონ სახელმძღვანელოში მოცემული სურათები და იმსჯელონ, რა საჭიროა ლუპა, მიკროსკოპი, ფონენდოსკოპი და მიკროფონი.

(5 წუთი)

**აქტივობა მე-3.** ჯგუფური სამუშაო. მასწავლებელი მოსწავლეებს 5-6 კაციან ჯგუფებად ყოფს, თითოეულ ჯგუფს აქვს ლუპა და მიკროსკოპი. მასწავლებელი აძლევს ჯგუფებს ფურცლებს წინასწარ მომზადებული წვრილად ნაწერი ტექსტით და სთხოვს, წაიკითხონ. მოსწავლეები ვერ შეძლებენ, შემდეგ მოსწავლეებმა უნდა აირჩიონ ის ხელსაწყო, რომლითაც შეძლებენ სიტყვების ამოკითხვას. მოსწავლეები განმარტავენ, რომ ლუპამ ასოები „გაადიდა“ და ამიტომ შეძლეს წაკითხვა.

შემდეგ მასწავლებელი მაგიდაზე დებს პრეპარატს (აფრთხილებს მოსწავლეებს, რომ ხელი არ მოკიდონ) და სთხოვს, რომ პრეპარატი ლუპით დაათვალიერონ. ხედავთ რამეს? (ვერა), ანუ, არსებობს ისეთი პატარა სხეულები, რომლებსაც ლუპითაც ვერ დავინახავთ, მაგალითად, ბაქტერიები. რომელი ხელსაწყო დაგვეხმარება ამაში? (მიკროსკოპი). მასწავლებელი დებს პრეპარატს მიკროსკოპზე და აჩვენებს ბავშვებს გამოსახულებას.

(25 წუთი)

#### გაკვეთილის შეჯამება:

გავიმეოროთ ახალი სიტყვები (ლუპა, მიკროსკოპი, გამოსახულების გადიდება, ბაქტერია).

(3 წუთი)

## 56-ი გაკვეთილი

### ყველაფერი გვესმის?

მასწავლებელი შეახსენებს მოსწავლეებს წინა გაკვეთილზე განხილულ მასალას (ადამიანმა მოიფიქრა ისეთი ხელსაწყოები, რომლებიც ჩვეულებრივად უხილავი სხეულების დანახვაში გვეხმარება – ლუპა, მიკროსკოპი) და სვამს შეკითხვას, შესაძლებელია თუ არა ისეთი ხმების (ბგერების) გაგება, რომლებიც ჩვეულებრივად არ გვესმის? (დიახ, თუ ბგერას გავაძლიერებთ, ამაში ფონენდოსკოპი დაგვეხმარება).

(3 წუთი)

**აქტივობა 1-ლი.** მუშაობა წყვილებში. მასწავლებელი სვამს შეკითხვას, შეუძლიათ თუ არა გვერდიგვერდ მჯდომ მოსწავლეებს ერთმანეთის გულისცემის მოსმენა? (არა). როგორ შევძლებთ ამას? (მივადოთ გულთან ყური). ჯერ ერთი მოსწავლე მიადებს ყურს გულთან მეწყვილეს, მერე – მეორე. როგორ ცემს გული? (ბავშვები გულისცემას ბგერებით გადმოსცემენ).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს ფონენდოსკოპს, მემბრანას, რომელიც ბგერებს აძლიერებს. შემდეგ წყვილები დაფასთან გამოდიან და ერთმანეთის გულისცემას უსმენებ, ადარებენ, როდის უკეთ გაიგეს გულისცემა – როდესაც ყური მიადეს მეწყვილეს, თუ – ფონენდოსკოპით? (სანამ შემდეგი მოსწავლე გაიკეთებს ფონენდოსკოპს, მასწავლებელმა ის სპირტიანი ბამბით უნდა გაწმინდოს).

(17 წუთი)

შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს მოსწავლეებს მიკროფონს და სთავაზობს შემდეგ აქტივობას:

**აქტივობა მე-3.** მოსწავლეები (რამდენიმე მოსწავლე გამოდის დაფასთან) ამბობენ ფრაზებს მიკროფონში. განმარტავენ, რა მოხდა.

(6 წუთი)

**აქტივობა მე-4.** გაკვეთილის შეჯამება. მუშაობა მოსწავლის რვეულში. მოსწავლეებმა თითოეული ხელსაწყო შესაბამის ფრაზასთან ხაზებით უნდა დააკავშირონ.

(4 წუთი)

**შეფასება:** მასწავლებელს შეუძლია მოსწავლის რვეულში შესრულებული დავალება შეაფასოს.

განმავითარებელი შეფასება	
4 სწორი პასუხი	ყოჩალ, დავალებას თავი კარგად გაართვი.
2-3 სწორი პასუხი	დავალებას თავი კარგად გაართვი, მოდი, კიდევ ერთხელ შეხედე, ყველაფერი სწორად გაქვს შესრულებული? შეეცადე აღმოაჩინო შეცდომები (მაგ., რატომ ფიქრობ, რომ მიკროფონით გულისცემას მოისმენ? გაიხსენე, რაში იყენებენ მიკროფონს?).
1 სწორი პასუხი	მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება, რა შეასრულა სწორად და ეხმარება შეცდომების აღმოჩენაში (მაგ., რატომ ფიქრობ, რომ მიკროფონით გულისცემას მოისმენ? გაიხსენე, რაში იყენებენ მიკროფონს?), დაფიქრდი და გაიხსენე.

**სწორი პასუხები:**

მიკროსკოპი – ბაქტერია;

ლუპა – ჭიანჭველა;

ფონენდოსკოპი – გულისცემა;

მიკროფონი – სიმღერა.

## 57-ი გაკვეთილი

### ცხოველები და შეგრძნების ორგანოები

#### გაკვეთილის ამოცანები:

მსჯელობს შეგრძნებებისა და შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობაზე ცხოველებისათვის (მაგ., საფრთხის დროულად აღმოჩენა, საკვების მოპოვება, თავშესაფრის მოძებნა).

#### მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლე საუბრობს, რა მნიშნელობა აქვს ცხოველებისთვის შეგრძნების ორგანოებს, მოჰყავს შესაბამისი მაგალითები.

#### რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?

დაკვირვების, აღნერის, დასკენების გამოტანის, მეტყველების.

#### გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფანქრები.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**მასწავლებლის ტექსტი:** ჩვენი მეგობრები ჭიამაია მაია, ბრძენი ბუ და ცნობისმოყვარე ბაჭია შეგრძნების ორგანოების შესახებ საუბრობდნენ. ჭიამაიამ თქვა: რა თქმა უნდა, ყველა შეგრძნების ორგანო მნიშვნელოვანია, მაგრამ, მაინტერესებს, ცნობისმოყვარე ბაჭიას ასეთი გრძელი ყურები რაში სჭირდება? ბაჭიამ უპასუხა: ჩემი შეჭმა ბევრს უნდა – მგელს, მელას, ტურას და სულ მცირე ხმაც უნდა გავიგო, რომ გავიქცეო. ბრძენი ბუ, შენ ძალიან დიდი თვალები გაქვს, ჩემზე უკეთესად ხედავო? დიახ, მე ღამით, მთვარისა და ვარსკვლავების შუქზეც ვხედავ ჩემს საჭმელსო.

(3 წუთი)

**აქტივობა 1-ლი.** მუშაობა ჯგუფებში: მასწავლებელი კლასს ყოფს 5-6 კაციან ჯგუფებად და სთხოვს, დააკვირდნენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს, იმსჯელონ, ყველაზე მეტად რომელი შეგრძნების ორგანო ეხმარება სურათზე გამოსახულ ცხოველებს. მოსწავლეები ასევე მსჯელობენ, რაში ეხმარება ცხოველებს შეგრძნების ორგანოები (საკვების მოპოვებაში, თავდაცვაში, თავშესაფრის მოძებნაში).

(15 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მუშაობა მოსწავლის რვეულში (კვლავ ჯგუფებში). მოსწავლეებმა კონკრეტულ ცხოველს უნდა დაუკავშირონ (ხაზებით) ყველაზე მეტად რომელი შეგრძნების ორგანო აქვთ განვითარებული. შესაძლოა ერთ ცხოველს ორი შეგრძნების ორგანო დაუკავშირდეს, მაგ.: მელას – ყნოსვა და სმენა.

მოსწავლეები ასაბუთებენ თავიანთ არჩევანს, უკავშირებენ ცხოველის ცხოვრების ნირს. (მაგ., თხუნელა მინაში ცხოვრობს, იქ ბნელა, ამიტომ, საკვებს ყონსვითა და შეხებით აგნებს).

თუ მოსწავლეებს დავალების შესრულება გაუჭირდათ, მასწავლებელი სვამს დამხმარე კითხვებს: (სად ცხოვრობენ ეს ცხოველები, რით იკვებებიან, დღის ცხოველები არიან თუ – ღამის).

(15 წუთი)

#### გაკვეთილის შეჯამება:

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 წუთი)

#### შეფასება:

მასწავლებლს ჯგუფური მუშაობის შეფასება შეუძლია. მასწავლებელი აფასებს ჯგუფის ყველა წევრის ჩართულობას, რამდენად უსმენენ და ითვალისწინებენ ერთმანეთის მოსაზრებას, იცავენ დროის ლიმიტს, აკეთებენ დასკვნებს, მკაფიოდ აყალიბებენ აზრს (მაგ., ყოჩად, ჯგუფს ეხმარები, მაგრამ, თუ შეიძლება, უფრო აქტიურად დაეხმარე; მოუსმინეთ ერთმანეთს; ცოტა სწრაფად იმუშავეთ; სწორია, კურდღელს გრძელი ყურები მგლის (მელას, დათვის) მოახლოებას ატყობინებს).

## 80-5 თავი

### სხეულები და ნივთიერები

#### თემის მიზანი:

მოსწავლემ შეძლოს სხეულების შედარება შემადგენელი ნივთიერების/მასალის გამოყენებით.

#### მისაღწევი შედეგები:

მოსწავლე აღწერს სხეულებს, საუბრობს მათ შემადგენელ ნივთიერებაზე/ მასალაზე. ამოიცნობს და ასახელებს ყოველდღიურობაში გავრცელებულ ნივთიერებებს/მასალებს. ასახელებს ნივთიერების/მასალის ზოგიერთ თვისებას, ატარებს ექსპერიმენტებს. აჯგუფებს ერთნაირი ნივთიერებისგან/მასალისგან დამზადებულ სხეულებს, მსჯელობს, რომ ზოგიერთი სხეულის დასამზადებლად რამდენიმე მასალა გამოიყენება.

#### რა გზით მიიღწევა დასახული მიზნები:

იმისათვის რომ, მოსწავლეებისთვის თემის შესწავლა საინტერესო და სახალისო იყოს, შემოთავაზებულია პრაქტიკული სამუშაოები, თამაშები, დავალებები მოსწავლის რვეულში.

მოსწავლეები ატარებენ ექსპერიმენტებს – შეისწავლიან მასალის თვისებებს.

მრავალფეროვანი აქტივობები მასალის უფრო ღრმად გააზრებას უწყობს ხელს, ასევე, მოსწავლე აცნობიერებს, თუ როგორ არის შესაძლებელი ამა თუ იმ მასალის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში გამოყენება.

## 58-ე გაკვეთილი

### რისგან არის დამზადებული?

#### გაკვეთილის ამოცანები:

მოსწავლე აღწერს მის ირგვლივ არსებულ სხეულებს და საუბრობს მათ შემადგენელ ნივთიერებაზე/მასალაზე. ამოიცნობს და ასახელებს ყოველდღიურობაში გავრცელებულ ნივთიერებებს/მასალებს.

#### მოსალოდნელი შედეგები:

მოსწავლე აღწერს მის ირგვლივ არსებულ სხეულებს, ასახელებს, რომელი მასალისგან ან ნივთიერებისგან არის ისინი დამზადებული, ამოიცნობს და ასახელებს ყოველდღიურობაში გავრცელებულ მასალებს.

#### რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?

დაკვირვების, აღწერის, დასკვნების გამოტანის, მსჯელობის, კომუნიკაციებულობის.

#### გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფანქრები.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი მოსწავლეებს გაკვეთილის თემას აცნობს, შემდეგ სთხოვს, მიმოიხედონ და დაასახელონ ადამიანის მიერ დამზადებული ნივთები.

(5 წუთი)

მასწავლებელი აკეთებს კომენტარს, რომ ადამიანებმა ისწავლეს ბუნებრივი მასალისგან სხვადასხვა საჭირო სხეულის დამზადება და მათ ხელოვნური სხეულები ეწოდება (ხელით გაკეთებული). ყველა სხეული შედგება ნივთიერებისგან ან – მასალისგან. მაგ.: ხე და თიხა – მასალაა, რკინა, ოქრო, ვერცხლი – ნივთიერები.

**აქტივობა მე-2.** მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს, ასახელებენ სხეულებს, რომლებიც დამზადებულია ხისგან, მინისგან, რკინისგან (რაც სახელმძღვანელოშია). შემდეგ პედაგოგი სვამს შეკითხვას: „კიდევ რისი დამზადება შეიძლება ხისგან? მინისგან? რკინისგან?“

(10 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მუშაობა მოსწავლის რეეულში: მოსწავლეებმა ნახატებზე გამოსახულ სხეულებს უნდა მიუწერონ შესაბამისი მასალა/ნივთიერება, რომლისგანაც სხეულებია დამზადებული. (8 წუთი)

**აქტივობა მე-4.** ხელოვნური – ბუნებრივი. მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში. ჯერ აკვირდებიან სახელმძღვანელოში გამოსახულ სურათებს, მსჯელობენ ბუნებრივ და ხელოვნურ სხეულებს შორის განსხვავებაზე (ხელოვნური სხეული ადამიანმა დაამზადა, ხოლო ბუნებრივი – არა), შემდეგ მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ ორ-ორი სხეული, ხოლო მეწყვილემ უნდა დაასახელოს, სხეული ბუნებრივია თუ ხელოვნური. შემდეგ როლები იცვლება. (10 წუთი)

**აქტივობა მე-5.** თამაში „კი – არა“. მასწავლებელი ამბობს ფრაზას, თუ ფრაზა სწორია, მოსწავლეები ამბობენ „კი“ და ტაშს უკრავენ, თუ არასწორია – „არა“, ფეხებს აბაკუნებენ და სწორპასუხს ამბობენ. (7 წუთი)

1. ხე-მასალა – (კი);
2. ოქროს ბეჭედი ხისგან მზადდება – (არა);
3. ბრძენი ბუ ადამიანის მიერაა დამზადებული – (არა);
4. ფურცელი ხისგან მზადდება – (კი);
5. სათვალე მინისგან მზადდება – (კი);
6. წიგნი რეინისგან არის დამზადებული – (არა);
7. მაგიდა პლასტილინისგან არის დამზადებული – (არა);
8. ვერცხლი ნივთიერებაა – (კი).

**გაკვეთილის შეჯამება:**

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(3 წუთი)

**შეფასება:**

სასურველია, წყვილებში მუშაობისას მოსწავლეებმა ურთიერთშეფასება გამოიყენონ. მოსწავლეები ერთმანეთს უსვამენ შეკითხვებს.

## 59-ი გაკვეთილი

### მასალები და სხეულები

**გაკვეთილის ამოცანები:**

მოსწავლე მსჯელობს ერთი მასალისგან სხვადასხვა სხეულის და სხვადასხვა მასალისგან ერთი სხეულის დამზადების შესაძლებლობის შესახებ, მოჰყავს მაგალითები.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლე მსჯელობს, რომ ერთი და იმავე მასალისგან სხვადასხვა სხეულის დამზადებაა შესაძლებელი, ხოლო ზოგიერთი სხეულის დამზადება სხვადასხვა მასალისგან შეიძლება. მოჰყავს შესაბამისი მაგალითები.

**რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

დაკვირვების, აღწერის, დასკვნების გამოტანის, კომუნიკაციებულობის.

**გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, მაკრატელი, ფერადი ფანქრები.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი მოსწავლეებს წინა გაკვეთილზე განხილულ მასალას ამეორებინებს (ნივთიერებები, მასალა, ხელოვნური სხეული, ბუნებრივი სხეული). (5 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, დაათვალიერონ სახელმძღვანელოს შესაბამისი გვერდის ზედა ნახევარში გამოსახული სურათები და დაადგინონ, რა აქვთ მათ საერთო. (ყველა ვერცხლისგანაა დამზადებული). (შესაძლოა, მოსწავლეებმა ნახატებით ვერ აღიქვან ვერცხლი და თქვან, რომ ყველა საგანი რკინისაა).

მასწავლებელი აკეთებს შეჯამებას, რომ ერთი და იმავე მასალისგან/ნივთიერებისგან შესაძლებელია სხვადასხვა ნივთის დამზადება.

(5 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მუშაობა წყვილებში. მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოს იმავე გვერდის ქვედა ნახევარში გამოსახულ სურათებს, მსჯელობენ, რით განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან.

(5 წუთი)

(სხვადასხვა მასალისგან არის დამზადებული).

**აქტივობა მე-4.** ჯგუფური მუშაობა. მასწავლებელი კლასს ყოფს 5-6 კაციან ჯგუფებად, თოთოულმა ჯგუფმა რვეულში ერთი ფიგურა უნდა ამოჭრას და გააფერადოს. შემდეგ უნდა მოიფიქრონ ორი მასალა, რომლითაც აღნიშნული სხეულების დამზადება იქნება შესაძლებელი.

(10 წუთი)

**აქტივობა-5.** მუშაობა მოსწავლის რვეულში. მოცემულია კოვზის კონტური, მოსწავლეებმა უნდა მოიფიქრონ 4 მასალა, რითაც კოვზის დამზადებაა შესაძლებელი, ჩაწერონ ხაზებში.

(7 წუთი)

(ალუმინი, პლასტმასა, ვერცხლი, ხე)

**გაკვეთილის შეჯამება:**

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(3 წუთი)

## მე-60 გაკვეთილი

### როგორ ვირჩევთ მასალებს?

**გაკვეთილის ამოცანები:**

ახასიათებს ნივთიერებებს/მასალებს ადვილად დაკვირვებადი თვისებების (მაგ., გამჭვირვალობა, დრეკადობა, წყალგაუმტარობა) მიხედვით.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლე ახასიათებს მასალების/ნივთიერებების თვისებებს, აკავშირებს მასალის/ნივთიერების თვისებებს მის გამოყენებასთან. მოჰყავს მაგალითები.

**რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

დაკვირვების, აღნერის, შედარების, დასკვნების გამოტანის, მეტყველების, კომუნიკაციურობის.

**გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, თეთრი თიხა, პლასტილინი, ფანქრები, პლასტმასის, ხისა და ალუმინის კოვზები (თითო), ჭიქა ცხელი წყლით, ერთჯერადი ჭიქები წყლით (რამდენი ბავშვიც არის კლასში).

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი მოსწავლეებს წინა გაკვეთილზე განხილულ მასალას ამეორებინებს(ერთი და იმავე მასალისგან სხვადასხვა სხეული მზადდება, ხოლო ერთი სხეულის დამზადება სხვადასხვა მასალისგან არის შესაძლებელი).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, პლასტილინისა და თიხისგან დაამზადონ კოვზები.

(8 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მასწავლებელი სვამს შეკითხვას: „რაში გვჭირდება კოვზი?“, შემდეგ იღებს ხის, პლასტმასისა და ალუმინის კოვზებს, აჩვენებს ბავშვებს, ამ დროს ბავშვებს თავიანთი დამზადებული კოვზები უჭირავთ ხელში. მასწავლებელი ამბობს, ჩვენ გვაქვს ხუთი სხვადასხვა მასალისგან დამზადებული კოვზი, შეძლებთ თუ არა პლასტილინისგან და თიხისგან დამზადებული კოვზებით საჭმლის ჭამას? (ვერა). რატომ? (სავარაუდო პასუხები: პლასტილინი რბილია და მოილუნება, თიხის კოვზი დაიმსხვრევა). ამ ხუთი კოვზიდან, ყველაზე მეტად რომელი გამოგვადგება? რატომ ფიქრობთ ასე?

გამოგვადგება ალუმინისა და ხის კოვზი (მოსწავლეები, დიდი ალბათობით, იტყვიან რკინის კოვზიო).

ალუმინის კოვზი მაგარია, არ გატყდება.

პლასტმასის კოვზს თუ გამოვიყენებთ? (პასუხი დადებითი იქნება).

მასწავლებელი სამივე კოვზს ათავსებს ადულებულ წყალში (პლასტმასის კოვზი დეფორმირდება). მასწავლებელი აკეთებს კომენტარს, რომ პლასტმასის კოვზით ცხელ საჭმელს ვერ შევჭამთ. ამის შემდეგ მოსწავლეებს სთავაზობს, თიხის კოვზები მოათავსონ წყლიან ჭიქაში და მოურიონ (კოვზები დაიშლება), ანუ თიხის კოვზები არ გამოგვადგება წვნიანის ან ჩაის მირთმევისას.

(10 წუთი)

მასწავლებელი აკეთებს კომენტარს, რომ ადამიანები საგნებს გარკვეული მიზნით ამზადებენ (მაგ.: კოვზით საჭმელი უნდა მივირთვათ), ამისათვის მასალის შერჩევაა საჭირო. ყველა მასალას აქვს თვისებები. ადამიანებმა იციან მასალის თვისებები და ამის მიხედვით არჩევენ მათ ამა თუ იმ ნივთის დასამზადებლად. ამაში ჩვენც დავრწმუნდით, მაგ., კოვზს ყველა მასალისგან ვერ დავამზადებთ.

**აქტივობა მე-4.** მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოს შესაბამის გვერდს, მსჯელობენ მასალების თვისებების შესახებ, მოჰყავთ მაგალითები, რატომ მზადდება ესა თუ ის სხეული კონკრეტული მასალისგან.

1. თიხა ჯერ რბილია და მისგან ადვილად კეთდება საგნები (შემდეგ თიხას გამოწვავენ და ის მაგარი ხდება), თიხა წყალს არ ატარებს და ამიტომ მისგან ქოთნებსა და ჭურჭელს ამზადებენ.

2. რკინა მაგარია, ადვილად არ იღუნება და მისგან შეიძლება დამზადდეს მილები, სკამის ფეხები, თუმცა მალე იუანგება.

3. მინა გამჭვირვალეა და ფანჯრების, ჭურჭლის დასამზადებლად გამოიყენება (ასე რომ არ იყოს, ფანჯრიდან ვერაფერს დავინახავდით).

4. პლასტმასა დრეკადი და მსუბუქია და მისგან ამზადებენ ჭურჭელს, თასებს, ბოთლებს.

(7 წუთი)

**აქტივობა მე-5.** გაკვეთილის შეჯამება. მუშაობა მოსწავლის რვეულში. მოსწავლეებმა შესაბამის მასალებს მათი თვისებები უნდა მიუწერონ.

(5 წუთი)

### შეფასება:

მასწავლებელს მოსწავლის რვეულში შესრულებული დავალებების შეფასება შეუძლია.

	განმავითარებელი შეფასება
4 სწორი პასუხი	ყოჩალ, დავალებას თავი კარგად გაართვი.
2-3 სწორი პასუხი	დავალებას თავი კარგად გაართვი, მოდი, კიდევ ერთხელ შეხედე, ყველაფერი სწორად გაქვს შესრულებულ? შეეცადე აღმოაჩინო შეცდომები (მაგ., რატომ ფიქრობ, რომ რკინა გამჭვირვალეა? ფანჯრები რკინისგან რომ იყოს დამზადებული, შეძლებდი გარეთ გახედვას?).
1 სწორი პასუხი	მასწავლებელი მოსწავლეს ეუბნება, რა შეასრულა სწორად და ეხმარება შეცდომების აღმოჩენაში (მაგ., რომ რკინა გამჭვირვალეა? ფანჯრები რკინისგან რომ იყოს დამზადებული, შეძლებდი გარეთ გახედვას?), დაფიქრდი და გაიხსენე.

## **სწორი პასუხები:**

- თიხა – რბილია და წყალგაუმტარი;  
 რკინა – მაგარია, თუმცა მალე იუანგება;  
 პლასტმასა – დრეკადი და მსუბუქია;  
 მინა – გამჭვირვალე და მყიფეა.

## **61-ე გაკვეთილი**

### **რა გამოიყენება სხეულების დასამზადებლად?**

#### **გაკვეთილის ამოცანები:**

მოსწავლე ახასიათებს ნივთიერებებს/მასალებს ადვილად დაკვირვებადი თვისებების (მაგ., გამჭვირვალობა, დრეკადობა, წყალგაუმტარობა) მიხედვით.

**მოსალოდნელი შედეგები:** მოსწავლე ახასიათებს მასალების/ნივთიერებების თვისებებს, აკავშირებს მასალის/ნივთიერების თვისებებს მის გამოყენებასთან. მოჰყავს მაგალითები. მსჯელობს, თუ რატომ იყენებენ რამდენიმე მასალას ერთი სხეულის დასამზადებალად.

#### **რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

დაკვირვების, აღწერის, შედარების, დასკვნების გამოტანის, მეტყველების.

#### **გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რეენული.

## **სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი**

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი მოსწავლეებს წინა გაკვეთილზე განხილულ მასალას ამეორებინებს (მასალის თვისებები და მათი გამოყენება).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-2.** ერთხელ ტყეში ძლიერი ქარი ამოვარდა და ბეღურას ბუდე დაანგრია. საწყალი ბეღურა ძლიერ დაღონდა, რა მეშველება, ლამე სად უნდა გავათიოო. მეგობრებმა: ჭიამაია მაიამ, ბრძენმა ბუმ და ცნობისმოყვარე ბაჭიამ გადაწყვიტეს, დახმარებოდნენ ბეღურას და მისთვის ბუდე აეშენებინათ. ბრძენმა ბუმ თქვა, მოდით, ჯერ რა მასალაც დაგვჭირდება, მოვიმარაგოთ და მშენებლობა მერე დავიწყოთო. რა მასალა გვჭირდება? იკითხა ცნობისმოყვარე ბაჭიამ. ბავშვებო, დავეხმაროთ მეგობრებს, რა მასალა დასჭირდებათ სახლის ასაშენებლად?

(7 წუთი)

**აქტივობა მე-3.** ჯგუფური სამუშაო. მასწავლებელი კლასს 5-6 კაციან ჯგუფებად ყოფს. მოსწავლეებმა სახელმძღვანელოში მოცემული სურათებიდან (სურათებს მასწავლებელი ანაზილებს) ერთ-ერთი უნდა დაახასიათონ, დაასახელონ, რომელი მასალაა ამ სხეულის დასამზადებლად გამოყენებული, პასუხი უნდა დაასაბუთონ და განმარტონ, რომელი თვისების გამო მოხდა ამ მასალის გამოყენება.

(15 წუთი)

**აქტივობა მე-4.** მუშაობა მოსწავლის რვეულში. მოსწავლეებმა მოცემულ ხაზებში უნდა ჩაწერონ მასალა, რომელიც სახლის მშენებლობაში იყო გამოყენებული.

(5 წუთი)

#### **გაკვეთილის შეჯამება:**

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(3 წუთი)

**შეფასება:** მასწავლებელს შეუძლია დისკუსიის და/ან მოსწავლის რვეულში შესრულებული დავალებების შეფასება.

დისკუსიის შეფასება:

მასწავლებელი აფასებს ჩართულობას, რამდენად მკაფიოდ აყალიბებს აზრს მოსწავლე, არგუმენტირებულ მსჯელობას, დასკვნების გაკეთების უნარს, რამდენად ისმენენ და კორექტულად პასუხობენ მოსწავლეები განსხვავებულ მოსაზრებებს (მაგ., ყოჩალ, საკუთარ მოსაზრებებს გასაგებად აყალიბებ; კიდევ ერთხელ გაგვიმორჩე, რა დასკვნა შეიძლება გამოვიტანოთ; თუ შეიძლება, ერთმანეთს მოვუსმინოთ; რატომ ფიქრობთ, რომ...).

მოსწავლის რვეულში შესრულებული დავალებების შეფასება:

	განმავითარებელი შეფასება
5-6 სწორი პასუხი	დავალებას თავი კარგად გაართვი, მოდი, კიდევ ერთხელ შეხედე, ყველაფერი სწორად გაქვს შესრულებული? შეეცადე აღმოაჩინო შეცდომები. დაფიქრდი და გაიხსენე... (მაგ., რატომ ფიქრობ, რომ კოვზი პლასტილინისგან მზადდება?).
3-4 სწორი პასუხი	დავალებას თავი კარგად გაართვი, მოდი, კიდევ ერთხელ შეხედე, ყველაფერი სწორად გაქვს შესრულებული? შეეცადე აღმოაჩინო შეცდომები (მაგ., რატომ ფიქრობ, რომ კოვზი პლასტილინისგან მზადდება?).
1 სწორი პასუხი	მასწავლებელი მოსწავლეს უუბნება, რა შეასრულა სწორად და ეხმარება შეცდომების აღმოჩენაში (მაგ., რატომ ფიქრობ, რომ კოვზი პლასტილინისგან მზადდება?), დაფიქრდი და გაიხსენე.

**სწორი პასუხები:**

ხე, რკინა, თიხა (აგური), მინა.

## 62-ი გაკვეთილი

### მალე ზაფხული დადგება

**გაკვეთილის ამოცანები:**

მოსწავლე აღწერს ზაფხულის ამინდს, ცვლილებებს ბუნებაში, ასახელებს ზაფხულის თვეებს.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლეები დაასახელებენ ზაფხულის თვეებს, აღწერენ, რა ცვლილებები მოხდა ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაში, იმსჯელებენ ზაფხულის ამინდის შესახებ.

**რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

დაკვირვების, აღწერის, სოციალური უნარების, დასკვნების გამოტანის.

**გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფანქრები, წებო, მაკრატელი, ბარათები ან სლაიდები წელიწადის დროების გამოსახულებით (8 ცალი – ორ-ორი თითო დროსთვის).

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი სვამს კითხვას: წელიწადის რა დროა ახლა? (გაზაფხული).

რომელი თვეა? (მაისი) ანუ გაზაფხულის ბოლო თვე. წელიწადის რომელი დრო მოდის გაზაფხულის შემდეგ? (ზაფხული). სწორედ ზაფხულის შესახებ ვისაუბრებთ დღევანდელ გაკვეთილზე.

(2 წუთი)

**აქტივობა მე-2.** ზაფხულის ამინდი.მუშაობა მოსწავლის რვეულში. ჯგუფური სამუშაო. მასწავლებელი კლასს 5-6 კაციან ჯგუფებად ყოფს, ჯგუფში მოსწავლეები მსჯელობენ ზაფხულის ამინდის შესახებ თვეების მიხედვით, ამოჭრიან შესაბამის აღნიშვნებს და კონკრეტული თვის გასწვრივ აწებებენ.

(15 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს, მსჯელობენ, რა ცვლილებები მოხდა ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაში ზაფხულში.

(10 ნუთი)

1. ყვავილობს უამრავი ბალახი (მცენარე);
2. ფუტკრები გამალებით აგროვებენ თაფლს;
3. ბევრი მწერია გარშემო;
4. ფრინველებმა ბარტყები წამოზარდეს და დააფრინეს;
5. სხვა ცხოველის ნაშიერებიც წამოიზარდნენ;
6. ზოგიერთმა მცენარემ ნაყოფი გაიკეთა;
7. დაცხა;
8. იშვიათად წვიმს;
9. ძირითადად შხაპუნა წვიმა მოდის ელჭექით;
10. დღე ღამეზე დიდია.

**აქტივობა მე-4.** მასწავლებელი მოსწავლეებს აჩვენებს წინასწარ მომზადებულ ბარათებს (ან სლაიდებს) და სთხოვს უპასუხონ, წელიწადის რომელი დროა გამოსახული. მოსწავლეებმა უნდა განმარტონ, რატომ ფიქრობენ ასე.

(6 ნუთი)

#### **გაკვეთილის შეჯამება:**

გავიმეოროთ ახალი სიტყვები.

(2 ნუთი)

#### **შეფასება:**

მასწავლებელს ჯგუფური მუშაობის შეფასება შეუძლია.

მასწავლებელი აფასებს ჯგუფის ყველა წევრის ჩართულობას, რამდენად უსმენენ და ითვალისწინებენ ერთმანეთის მოსაზრებას, იცავენ დროის ლიმიტს, აკეთებენ დასკვნებს, მკაფიოდ აყალიბებენ აზრს (მაგ., ყოჩად, ჯგუფს ეხმარები, მაგრამ, თუ შეიძლება, უფრო აქტიურად დაეხმარე; მოუსმინეთ ერთმანეთს; ცოტა სწრაფად იმუშავეთ; სწორია, ზაფხულში ხშირად მზიანი ამინდია.

## **63-ე გაკვეთილი**

### **ადამიანების საქმიანობა ზაფხულში**

#### **გაკვეთილის ამოცანები:**

მოსწავლე ჩამოთვლის ადამიანის საქმიანობას ზაფხულის პერიოდში, ახარისხებს ტანსაცმელს წელიწადის დროების მიხედვით.

#### **მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლე დაასახელებს ადამიანის საქმიანობას ზაფხულის პერიოდში, დაასახელებს ზაფხულის ტანსაცმელს, იმსჯელებს საკუთარი არჩევანის შესახებ.

#### **რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

დაკვირვების, შედარების, ლოგიკური აზროვნების, დასკვნების გამოტანის, მეტყველების.

#### **გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, წებო, მაკრატელი, ფერადი ფანქრები.

### **სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი**

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი მოსწავლეებს ამეორებინებს წინა გაკვეთილზე განხილულ მასალას(ზაფხულის თვეები, ამინდი, ცვლილებები ცოცხალ ბუნებაში).

(5 ნუთი)

**აქტივობა მე-2.** მასწავლებლის ტექსტი: ბავშვებო, იცით თუ არა, რომ ძველად თვეებს სულ სხვა სახელები ერქვათ. ხშირად თვეებს სახელს იმის მიხედვით არქმევდნენ, რა საქმიანობასაც ამ თვეში ეწოდნენ. მაგალითად, ძველად ივნისს თიბათვე ერქვა, ხოლო ივლისს – მკათათვე. ადამიანის რა საქმიანობასთან უნდა იყოს ეს სახელები დაკავშირებული? (მკა და თიბვა).

(3 წუთი)

**აქტივობა მე-2.** მოსწავლეები წყვილებში მუშაობენ, ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს, განმარტავენ, რას ნიშნავს მკა და თიბვა, საუბრობენ, რომ ხორბლის მოსავალს ადამიანები ივნისში იღებენ – მკიან, ხოლო დარჩენილი ლეროები ხმება, რომელსაც სპეციალური მანქანა მოჭრის. ეს არის ნამჯა. ნამჯას ზამთრისთვის უმარაგებენ ცხოველებს.

თუ მოსწავლეებს დავალების შესრულება გაუჭირდათ, მასწავლებელი სვამს დამხმარე შეკითხვებს:

1. ხორბალი როგორი მცენარეა? (ბალახი – ბალახოვანი)
2. ხორბლის რომელ ნაწილს იღებს კომბაინი? (თესლს)
3. რა ეწოდება ხორბლის გამხმარ ლეროებს? (ნამჯა)
4. რაში სჭირდება ადამიანს ნამჯა? (ზამთარში ცხოველების გამოსაკვებად)

(7 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მუშაობა მოსწავლის რვეულში. მოსწავლეებმა სურათი უნდა დაასარულონ და შემოსონ საზაფხულო ტანსაცმლით, საკუთარი არჩევანი უნდა დაასაბუთონ.

(15 წუთი)

**აქტივობა მე-4.** მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ პლაჟის, სოფლისა და მთის სურათებს, მსჯელობენ, სად ურჩევნიათ დასვენება და რატომ.

(5 წუთი)

## 64-ი გაკვეთილი

### რატომ გვიყვარს ზაფხული?

#### დავისვენოთ უსაფრთხოდ

**გაკვეთილის ამოცანები:**

მოსწავლე აცნობიერებს უსაფრთხო დასვენების მნიშვნელობას.

**მოსალოდნელი შედეგები:**

მოსწავლეები მსჯელობენ, რა საფრთხეს შეიძლება შეიცავდეს მათი ქმედებები ზღვაზე, ტყეში – მათი დასვენების ადგილებში, საუბრობენ, როგორ არის შესაძლებელი საფრთხის თავიდან აცილება.

**რომელი უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს გაკვეთილი?**

დაკვირვების, აღწერის, მსჯელობის, დასკვნების გამოტანის, კომუნიკაბელურობის.

**გაკვეთილისთვის საჭირო რესურსები:**

სახელმძღვანელო, მოსწავლის რვეული, ფერადი ფანქრები.

### სავარაუდო აქტივობები/გაკვეთილის სცენარი

**აქტივობა 1-ლი.** მასწავლებელი მოსწავლეებს წინა გაკვეთილზე განხილულ მასალას ამეორებინებს (ადამიანების საქმიანობა ზაფხულში).

(5 წუთი)

**აქტივობა მე-2.** საკლასო დისკუსია თემაზე „უსაფრთხო დასვენება“. მოსწავლეები ათვალიერებენ სახელმძღვანელოში მოცემულ სურათებს, ყვებიან, როგორ და სად აპირებენ ზაფხულის

გატარებას, საუბრობენ, რა საფრთხეს შეიცავს ესა თუ ის გარემო, მსჯელობენ, როგორ უნდა აიცილონ საფრთხე თავიდან.

(15 წუთი)

**აქტივობა მე-3.** მოსწავლეები მოსწავლის რვეულში ასრულებენ ნახატს თემაზე: „რატომ მიყვარს ზაფხული?“

(13 წუთი).

**გავეთილის შეჯამება:** მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, ზაფხულის განმავლობაში და-აკვირდნენ ბუნებას (მცენარეებს, ცხოველების ქცევას), გადაიღონ სურათები, შექმნან ნახატები.

(2 წუთი)

## მოსწავლის რვეულში მოცემული დავალებების პასუხები

### შეაჯამე თემა

#### შეგრძნების ორგანოები:

- |   |
|---|
| 1. შეგრძნების ორგანოები: ცხვირი, ენა, თვალი, ყური, კანი; 5 ქულა |
| 2. სუნამოს სუნს ცხვირით შევიგრძნობთ; 1 ქულა                     |
| 3. ჭიანჭველას დათვალიერებაში ლუპა დაგვეხმარება; 1 ქულა          |
| 4. ტკბილს ენის წვერით შევიგრძნობთ; 1 ქულა                       |
| 5. ტვინი; 1 ქულა  |
| 6. ქოლგა. 1 ქულა  |

#### შეფასება:

8, 9, 10 სწორი პასუხი – ყოჩალ, დავალებას თავი კარგად გაართვი;

5, 6, 7 სწორი პასუხი – კარგია დავალება რომ შეასრულე, თუმცა რამდენიმე შეცდომა გაქვს დაშვებული. კიდევ ერთხელ გაარჩიე თემა

1, 2, 3, 4 სწორი პასუხი – კიდევ ერთხელ გაარჩიე თემა და კვლავ სცადე დავალების გაკეთება, უფრო მეტი სწორი პასუხი გექნება.

#### სხეულები და მასალები:

- |   |
|---|
| 1. პლასტმასა; 1 ქულა  |
| 2. მაგ.: მაგიდა, სკამი; 2 ქულა  |
| 3. მყიფე; 1 ქულა  |
| 4. მინა; 1 ქულა   |
| 5. რკინა და პლასტმასა; 2 ქულა   |
| 6, 7 სწორი პასუხი – ყოჩალ, დავალებას თავი კარგად გაართვი;   |
| 3, 4, 5 სწორი პასუხი – კარგია დავალება რომ შეასრულე, თუმცა რამდენიმე შეცდომა გაქვს დაშვებული. კიდევ ერთხელ გაარჩიე თემა |
| 1, 2 სწორი პასუხი – კიდევ ერთხელ გაარჩიე თემა და კვლავ სცადე დავალების გაკეთება, უფრო მეტი სწორი პასუხი გექნება.        |

#### შეაფასე შენი მიღწევები:

სახელმძღვანელოს ბოლოს მოცემულია დავალება თვითშეფასებისთვის (გვ 117). დავალება მიზნად ისახავს, მოსწავლეებმა გავლილი მასალა გაიხსენონ.

მოსწავლეები მოსწავლის რვეულში, სახლში, ან გაკვეთილზე ასრულებენ დავალებას, ამოწმებენ სწორ პასუხებს (სახელმძღვანელო, გვ. 119). შემდეგ მასწავლებელი ინდივიდუალურად განიხილავს მოსწავლის მიერ დაშვებულ შეცდომებს, აკეთებს განმარტებებს.

# ეროვნული სასწავლო გეგმა 2018-2024

**მუხლი 88.** საბუნებისმეტყველო მეცნიერებების წლიური პროგრამები.

## I კლასი

**მიმართულება:** მეცნიერული კვლევა-ძიება.

**ბუნ. I.1.** მოსწავლემ უნდა შეძლოს პრაქტიკულ აქტივობებში მონაწილეობა და ელემენტარული კვლევითი უნარ-ჩვევების დემონსტრირება.

**შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**

- სვამს მარტივ კითხვებს შესასწავლი სხეულის/მოვლენის შესახებ;
- აკვირდება შესწავლის ობიექტს საკუთარი შეგრძნების ორგანოების ან მარტივი ხელ-საწყოების გამოყენებით;
- უსაფრთხოების წესების დაცვით მონაწილეობს მარტივ პრაქტიკულ აქტივობებში;
- ამოიცნობს, აღწერს და ახარისხებს სხეულებს ან/და მოვლენებს ილუსტრაციაზე ან რე-ალობაში;
- აგროვებს და ჩაინიშნავს კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო მონაცემებს (ნახატების, პირობითი ნიშნების საშუალებით);
- ეფუძნება პირად მოსაზრებებს ან/და დაკვირვების შედეგებს დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად;
- იყენებს კომუნიკაციულურობის სხვადასხვა ფორმას (მაგ., ნახატი, ზეპირმეტყველება, ისტ.) საკუთარი მოსაზრებების ან/და კვლევის შედეგების წარდგენისას.

**მიმართულება:** ცოცხალი სამყარო

**ბუნ. I.2.** მოსწავლემ უნდა შეძლოს შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობის გაცნობიერება.

**შინაარსი**

გარემოს მრავალფეროვნების აღქმა შესაძლებელია შეგრძნების ორგანოების – თვალის, ყურის, ცხვირის, ენისა და კანის საშუალებით. ყოველდღიურ ცხოვრებაში შეგრძნების ორგანოები ეხმარება ადამიანს, აღიქვას და ამოიცნოს სხეულები მათი მახასიათებლების (მაგ., ფერი, სუნი, ფაქტურა, ფორმა, ხმა) მიხედვით. შეგრძნებები იცავს ადამიანს საფრთხისგან (მაგ., ქუჩაში მოძრაობისას), საშუალებას აძლევს, აღიქვას გარემოში მომხდარი ცვლილებები (მაგ., ამინდის ცვლილება). აუცილებელია, ადამიანი გაუფრთხილდეს შეგრძნების ორგანოებს, დაიცვას ჰიგიენის ელემენტარული ნორმები. ცხოველებისათვის შეგრძნების ორგანოები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მტრისაგან თავის დაღწევისა და საკვების მოპოვებისათვის.

**სარეკომენდაციო აქტივობები**

**მასწავლებელი:**

- უჩვენებს მოსწავლეებს კონკრეტულ საგანს და სთხოვს, დაასახელონ მისი თვისებები, დაუკავშირონ დასახელებული თვისებები შესაბამის შეგრძნების ორგანოებს;
- სთხოვს მოსწავლეების ერთ ჯგუფს, ჩაიფიქროს რომელიმე სხეული და აღწეროს მისი თვისებები, ხოლო მეორე ჯგუფს – გამოიცნოს ჩაფიქრებული სხეული;
- აძლევს მოსწავლეებს დავალებას, ამოიცნონ ნაცნობი საგანი თვალდახუჭულებმა, აღწერონ საგნის თვისებები და ახსნან, როგორ მოახერხეს ამოცნობა;
- სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ საგანი ხმის მიხედვით, რომელსაც ის გამოსცემს (მაგ., მასზე დაკავუნების შედეგად);
- ასმენინებს მოსწავლეებს აუდიომასალას (მაგ., ცხოველების ხმები, სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენის: წვიმის, ჭექა-ქუხილის, ზღვის ღელვის თანმხლები ხმები) და სთხოვს, ამოიცნონ, რა გამოსცემს ამ ხმებს;
- რეალურ გარემოში, ვიდეომასალაზე ან კომპიუტერული სიმულაციების გამოყენებით აჩვენებს მოსწავლეებს ქუჩის სიტუაციას. სთხოვს, იმსჯელონ შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობაზე გამაფრთხილებელი ნიშნების აღქმისა და მათზე რეაგირებისათვის;

- სთავაზობს მოსწავლეებს, შეგრძნების სხვადასხვა ორგანოს გამოყენებით გამოიკვლიონ ლოკალური გარემო (მაგ., საკლასო ოთახი, სკოლის ეზო) და აღწერონ კონკრეტული სხეულები;
- აძლევს დავალებას: დახუჭე თვალები და მითხარი, რა ფერია კალამი? არ შეეხო ჭიქას და მითხარი, მასში ცივი წყალი ასხია თუ თბილი? რატომ ვერ მეუბნები? ეხმარება მოსწავლეებს, გამოიტანონ დასკვნა, რომ სხეულის რომელიმე თვისების აღქმა შეგრძნების მხოლოდ განსაზღვრულ ორგანოს შეუძლია;
- აძლევს მოსწავლეებს ისეთი ტიპის დავალებებს, რომელთა ანალიზის საფუძველზე ისინი შეძლებენ გამოიტანონ დასკვნა პირადი ჰიგიენის დაცვის (მაგ., ხელების ხშირად დაბანა, ტანის დაბანა, კბილების გამოხეხვა, კომპიუტერით სარგებლობის ჰიგიენური ნორმების დაცვა) აუცილებლობაზე.

### **შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**

- ასახელებს ადამიანის შეგრძნების ორგანოებს და მათ ფუნქციებს (მაგ., თვალი – „ვხედავ“, ყური – „ვისმენ“, ენა – „შევიგრძნობ გემოს“, ცხვირი – „შევიგრძნობ სუნს“, კანი – „შევიგრძნობ სითბოსა და სიცივეს, გლუვ ან ხორციან ზედაპირს“);
- აღწერს ნაცნობი სხეულის თვისებებს (მაგ., ფერი, სუნი, ფორმა, გემო, ფაქტურა) და უკავშირებს მათ აღქმას სხვადასხვა შეგრძნების ორგანოს (მაგ., „ბურთი წითელია – თვალი“, „შოკოლადი ტკბილია – ენა“, ან „თოვლი თეთრი და ცივია – თვალი და კანი“, „ლიმონი ყვითელი და მუვეა – თვალი და ენა“);
- მსჯელობს შეგრძნებებისა და შეგრძნების ორგანოების მნიშვნელობაზე ადამიანისათვის (მაგ., საკვების ვარგისიანობის დადგენა, ქუჩაში უსაფრთხოდ მოძრაობა) და ცხოველებისათვის (მაგ., საფრთხის დროულად აღმოჩენა, საკვების მოპოვება, თავშესაფრის მოძებნა);
- იყენებს სხვადასხვა მარტივ ხელსაწყოს (ლუპა, ფონენდოსკოპი) შეგრძნების გაძლიერების მიზნით და აღწერს სხეულის თვისებებს, რომლებიც ამ ხელსაწყოების გამოყენებისას გახდა თვალსაჩინო;
- ასახელებს პირადი ჰიგიენის ნივთებს (მაგ., სავარცხელი, კბილის ჯაგრისი, პირსახოცი), მსჯელობს ჰიგიენის წესების დაცვის მნიშვნელობაზე.

**პუნ.1.3.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ცოცხალი სხეულების აღწერა არსებითი ნიშან-თვისებების მიხედვით.

### **შინაარსი**

ცოცხალი სხეულები სხვადასხვა ნაწილისაგან შედგება. მცენარეებს აქვთ ფესვი, ღერო, ფოთოლი, ყვავილი, ნაყოფი და თესლი. ცხოველების დიდ ნაწილს აქვს თავი, ტანი და კიდურები. ზოგიერთ მათგანს აქვს კუდი, ნისკარტი, რქა, ულვაში და სხვ. მცენარეები და ცხოველები ერთ-მანეთისაგან განსხვავდებიან სხვადასხვა ნიშნით, მაგალითად, სხეულის ნაწილებით, სივრცეში გადაადგილების უნარით. მცენარეები, ისევე როგორც ცხოველები, ერთმანეთისგან განსხვავდება სხეულის ნაწილების ფორმით, ზომით, შეფერილობით და ა.შ. ადამიანი იყენებს მცენარეებსა და ცხოველებს თავის სასარგებლოდ: საკვებად, საშენ მასალად, გარემოს გასალამაზებლად და სხვა.

### **სარეკომენდაციო აქტივობები**

#### **მასწავლებელი:**

- სთხოვს მოსწავლეებს, ამოიცნონ და დაასახელონ ადამიანის, ცხოველის, მცენარის სხეულის ნაწილები, იმსჯელონ მათ დანიშნულებაზე;
- აჩვენებს მოსწავლეებს ნაცნობი ან უცნობი მცენარეების/ცხოველების ილუსტრაციებს/ვიდეომასალას. სთხოვს, შეადარონ ისინი ერთმანეთს გარეგნული ნიშნების ან/და სხეულის ნაწილების მიხედვით;
- აწყობს საკლასო გამოფენას მცენარეების/ცხოველების მრავალფეროვნების თემაზე (მაგ., სთხოვს მოსწავლეებს, წარმოადგინონ ნახატები, ჰერბარიუმები, აპლიკაციები, ფოტოები ცხოველებისა, რომლებიც დაზიან/დაფრინავენ/დაცურავენ; მცენარეებისა, რომლებსაც აქვთ ერთმანეთისგან განსხვავებული ყვავილები). სთხოვს, გამოიტანონ დასკვნა ცოცხალი სხეულების მრავალფეროვნების შესახებ;
- სთხოვს მოსწავლეებს, აირჩიონ რომელიმე მცენარე ან ცხოველი (მაგ., საკუთარი შინაური ცხოველი), მოყვნენ მასზე ისტორიას და გაუზიარონ კლასელებს გამოცდილება მასთან ურთიერ-

თობის შესახებ, გამოიტანონ დასკვნა ადამიანებისათვის ცხოველებისა და მცენარეების მნიშვნელობის შესახებ;

- ურიგებს მოსწავლეებს სხვადასხვა მცენარეს/მათ ნაწილებს, სთხოვს, გამოიკვლიონ ისინი და შეადარონ ერთმანეთს მითითებული კრიტერიუმის მიხედვით (ფოთლები – ფორმის მიხედვით, ღეროები – სისქის, სიმაღლისა და სიმაგრის მიხედვით, ყვავილი და ნაყოფი – ფერის, ფორმის, ზომის მიხედვით და ა.შ.);

- იწვევს სტუმარს (ვეტერინარს, კინოლოგს, ცხოველების მწვრთნელს) ცხოველებთან უსაფრთხოდ ურთიერთობის წესებზე სასაუბროდ.

### **შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:**

- აღწერს საკუთარ თავს, თანაკლასელებს, სხვა ადამიანებს თვალსაჩინო გარეგნული ნიშნების მიხედვით (მაგ., სიმაღლე, თმის ფერი, თვალის ფერი, ჭორფლიანობა);

- აღწერს და ადარებს ერთმანეთს სხვადასხვა ცხოველს სხეულის ნაწილების (მაგ., თავი, კიდურები, კუდი, ყურები, ნისკარტი, ფრთები, ხორთუმი) მიხედვით;

- ამოიცნობს და ასახელებს ნაცნობი მცენარეების ძირითად ნაწილებს (მაგ., ღერო, ფოთოლი, ფესვი, ყვავილი, ნაყოფი);

- აწყობს ფრაგმენტებისგან მცენარეების, ცხოველებისა და ადამიანის მთლიანი სხეულის მოდელს;

- აჯგუფებს ცოცხალ სხეულებს მცენარეებად და ცხოველებად, ასაბუთებს საკუთარ გადაწყვეტილებას;

- მსჯელობს ადამიანისთვის ცხოველებისა და მცენარეების მნიშვნელობაზე (მაგ., მცენარეების სხვადასხვა ნაწილის გამოყენება საკვებად, საშენ მასალად, გარემოს გასაღამაზებლად; ცხოველებისა და ადამიანების მეგობრობა; საკვები პროდუქტები, რომლებსაც გვაძლევენ ცხოველები);

- აყალიბებს კითხვას სხვადასხვა გარემოში მობინადრე მცენარეების/ცხოველების შესადარებლად.

- ეძებს პასუხებს: აკვირდება და ადარებს საკლასო ოთახში, სკოლის ეზოში, ლოკალურ გარემოში მზარდ სხვადასხვა მცენარეს (მაგ., ფოთლების ფორმის ან ზომის მიხედვით, ღეროების ფორმის, სისქის ან სიგრძის მიხედვით, ყვავილების ფერის ან ზომის მიხედვით) ან/და ცხოველს (მაგ., ჭიაყელა, ლოკოკინა, პეპელა, ჭიამაია); გადმოსცემს დაკვირვების შედეგებს სხვადასხვა ფორმით (ზეპირი მეტყველებით, ნახატით, კოლაჟით, ფოტოების საშუალებით).

### **მიმართულება:**

სხეულები და მოვლენები

**პუნქტი 1.4.** მოსწავლემ უნდა შეიძლოს სხეულების შედარება შემადგენელი ნივთიერების/მასალის თვისებების მიხედვით.

### **შინაარსი**

ჩვენ ირგვლივ არსებული სხეულები სხვადასხვა ნივთიერებისგან/მასალისაგან (მაგ., ქალალდი, მეტალი, ხე, რეზინი, პლასტმასა, მინა) შედგება. სხვადასხვა სხეული შეიძლება ერთი და იმავე ნივთიერებისგან/მასალისაგან იყოს დამზადებული, ხოლო ერთი და იმავე დანიშნულების სხეული (მაგ., კოვზი) – სხვადასხვა ნივთიერებისგან/მასალისაგან. ნივთიერებები/მასალები ერთმანეთისაგან განსხვავდება გარკვეული თვისებებით: გამჭვირვალობა, დრეკადობა, სიმყიფე და ა.შ. სხეულის თვისებები დამოკიდებულია არა მხოლოდ მის ფორმასა და ზომაზე, არამედ მისი შემადგენელი ნივთიერების/მასალის თვისებებზეც.

### **სარკომენდაციო აქტივობები**

#### **მასწავლებელი:**

- აჩვენებს მოსწავლეებს ორ განსხვავებულ სხეულს და სთხოვს, შეადარონ ერთმანეთს;
- ეხმარება მოსწავლეებს, გამოიყენონ სხეულის თვისებებთან დაკავშირებული სიტყვები (მაგ., დიდი, წითელი, მძიმე, პრიალა);

- ურიგებს მოსწავლეებს სხვადასხვა ნივთიერებისგან/მასალისაგან (მაგ., ქალალდი, რეზინა, მინა, ხე, პლასტმილინი) დამზადებულ სხეულებს და სთხოვს, გამოიკვლიონ მათი თვისებები (მაგ., სიგლუვე, გამჭვირვალობა, დრეკადობა, იძირება თუ არა წყალში, ატარებს თუ არა წყალს);

- ურიგებს მოსწავლეებს სხვადასხვა ნივთიერებისგან/მასალისაგან დამზადებული სხე-

ულების ნაკრებს და სთხოვს, დააჯგუფონ ერთნაირი ნივთიერებისგან/მასალისაგან დამზადებული სხეულები;

• ურიგებს მოსწავლეების ჯგუფებს ერთნაირ სხეულებს (მაგ., კოვზებს, ბურთულებს) და სთხოვს მათ, დაამზადონ პლასტილინსაგან ამავე სხეულების მოდელი. აქტივობის ბოლოს მოსწავლეები ადარებენ ერთმანეთს მათ მიერ დამზადებულ მოდელს და ორიგინალს, მასწავლებლის დახმარებით უკავშირებენ გამოვლენილ განსხვავებებს შესაბამისი მასალის თვისებებს.

#### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აღწერს მის ირგვლივ არსებულ სხეულებს და საუბრობს მათ შემადგენელ ნივთიერებაზე/მასალაზე (მაგ., მაკრატელი – რკინა, რვეული – ქალალდი, საშლელი-რეზინი);
- ამოიცნობს და ასახელებს ყოველდღიურობაში გავრცელებულ ნივთიერებებს/მასალებს;
- ახასიათებს ნივთიერებებს/მასალებს ადვილად დაკვირვებადი თვისებების (მაგ., გამჭვირვალობა, დრეკალობა, ტივტივის უნარი, წყალგაუმტარობა) მიხედვით;
- აჯგუფებს ერთნაირი ნივთიერებისგან/მასალისაგან დამზადებულ სხეულებს.

#### მიმართულება:

დედამინა და გარესამყარო

**ბუნ.1.5.** მოსწავლემ უნდა შეძლოს ლოკალური გარემოს აღწერა და მასში ორიენტირება.

#### შინაარსი

სკოლაში არსებულ თითოეულ ობიექტს (მაგ., საკლასო ოთახს, სპორტულ დარბაზს, ტუალეტს, ბუფეტს, ბიბლიოთეკას, უსაფრთხოების კიბეს ან/და გასასვლელს) განსხვავებული დანიშნულება და ადგილმდებარეობა აქვს. ორიენტირებისთვის საჭიროა მიმართებითი ტერმინების (მაგ., შორს-ახლოს, მარჯვნივ-მარცხნივ, ზემოთ-ქვემოთ) ცოდნა და სწორად გამოყენება. სასკოლო გარემოში საჭიროა გარკვეული წესების დაცვა (მაგ., სისუფთავის დაცვა, ხმაურისგან თავის შეკავება). ქუჩაში ფეხით მოსიარულეთა და მანქანების უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფისათვის შექმნილია პირობითი ნიშნები.

#### სარეკომენდაციო აქტივობები

##### მასწავლებელი:

- სწავლის დაწყების პირველსავე დღეებში, სკოლის გაცნობის მიზნით, მოსწავლეები გაჰყავს სკოლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დასათვალიერებლად;
- სთხოვს მოსწავლეებს, დაასახელონ საგნები, რომლებსაც საკლასო ოთახში ხედავენ და ისაუბრონ ამ საგნების დანიშნულების შესახებ. შეადარონ სახლში არსებულ საგნებს, აღმოაჩინონ მსგავსება სახლსა და სკოლას შორის. მასწავლებელი უნდა შეეცადოს, რომ სკოლის გარემო მოსწავლეთათვის საინტერესო და ახლობელი გახდეს;
- სთავაზობს მოსწავლეებს თამაშებს, რომლებიც მოითხოვს სივრცეში გადაადგილებას მიმართებითი ტერმინების მიხედვით (მაგ., დამალული საგნის მისაგნებად გადადგი ორი ნაბიჯი წინ, სამი ნაბიჯი მარცხნივ);
- აძლევს მოსწავლეებს კონკრეტულ ინსტრუქციებს, რომლებიც შეიცავს მიმართებით ტერმინებს (მაგ., წიგნის მარჯვნივ დადე ფანჯარი);
- სთხოვს მოსწავლეებს, შეასრულონ სივრცითი მიმართების შემცველი დავალებები ფურცელზე ან კომპიუტერში (მაგ., მაგიდის ქვეშ დახატე ბურთი);
- სთავაზობს დავალებებს, რომელთა შესრულებისას მოსწავლემ თავად უნდა გასცეს მიმართებითი ტერმინების შემცველი მარტივი ინსტრუქცია (მაგ., აუხსენი გიორგის, როგორ მოძებნოს ექიმის ოთახი; აღწერე, როგორ მოვხვდეთ პოლიდან საკლასო ოთახში);
- სთავაზობს საგზაო მოძრაობის წესების თემაზე სიმულაციურ თამაშებს საკლასო ოთახში ან სკოლის ეზოში. სასურველია, საგზაო სიმულაციური თამაშებისათვის მანიშნებლები თავად მოსწავლეებმა დაამზადონ.

#### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ამოიცნობს და ჩამოთვლის სასწავლო გარემოში (მაგ., საკლასო ოთახი, სკოლის დერფანი, სკოლის ეზო, სპორტული დარბაზი, ტუალეტი, ბუფეტი, ექიმის კაბინეტი, ადგილი, სადაც უნდა დაელოდოს უფროსს) არსებულ ობიექტებს და საუბრობს მათ დანიშნულებაზე;
- იყენებს შესაბამის მიმართებით ტერმინებს (მაგ., შორს, ახლოს, ჩემგან მარჯვნივ, ჩემ

ზემოთ, ქვემოთ) და განსაზღვრავს სკოლის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების მდებარეობას საკუთარი თავის მიმართ;

- ასრულებს და თავადაც გასცემს მარტივ ინსტრუქციებს, არა უმეტეს 1-2 მიმართულებისა (მაგ., წინ და მარჯვნივ) სკოლის ტერიტორიაზე ორიენტირებისთვის;
- დაკვირვების საფუძველზე ქმნის სკოლის ნახატს, საუბრობს იმ დეტალებზე, რომლებმაც მისი განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია;
- მასწავლებლის დახმარებით, თანაკლასელებთან ერთად აყალიბებს და იცავს ლოკალურ გარემოში (მაგ., კლასში, სკოლაში, ეზოში, ქუჩაში, სახლში) ქცევის წესებს (მაგ., იცავს სკოლის სისუფთავეს);
- ამოიცნობს და განმარტავს ქუჩაში მოძრაობის წესების ამსახველ პირობით ნიშნებს, ხსნის მათი დაცვის აუცილებლობას, საუბრობს უსაფრთხო მოძრაობის წესების დაცვის აუცილებლობაზე.

**ბუნ.1.6.** მოსწავლემ უნდა შეძლოს დღე-ლამესა და წელიწადის დროებთან დაკავშირებული ცვლილებების აღწერა.

#### შინაარსი

დღე-ლამისა და წელიწადის დროების მონაცვლეობა რიტმული მოვლენებია. დღე-ლამისა და წელიწადის დროების მიხედვით განსხვავებულია ამინდი, მცენარეებისა და ცხოველების ცხოვრების ნირი და ადამიანის საქმიანობა.

#### სარეკომენდაციო აქტივობები

##### მასწავლებელი:

- სთხოვს მოსწავლეებს, აღწერონ დღე და ღამე განმასხვავებელი ნიშნების მიხედვით და დახატონ ღამისა და დღის სურათი;
- სთხოვს მოსწავლეებს, საკუთარი დაკვირვების საფუძველზე დაახასიათონ ცხოველების ქცევა დღე-ლამის განმავლობაში (შინაური ცხოველის, მაგ., თუთიყუშის, ძაღლის, კატის ქცევაზე დაკვირვების შედეგების ან ვიდეოფილმის საფუძველზე) და გამოთქვან მოსაზრება, რატომ იქცევა მათი დაკვირვების ობიექტი ასე თუ ისე;
- აჩვენებს მოსწავლეებს წელიწადის დროების ამსახველ სურათებს. სთხოვს, ამოიცნონ და იმსჯელონ მათ განმასხვავებელ ნიშნებზე, დაასახელონ მათთვის საყვარელი წელიწადის დრო;

#### შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- ასახელებს დაკვირვებად ცვლილებებს დღე-ლამის განმავლობაში;
- განასხვავებს დღე-ლამის მონაცვეთებს – დილა, შუადღე, საღამო, ღამე და უკავშირებს საკუთარ აქტივობას/საქმიანობას;
- ასახელებს და ადარებს ერთმანეთს წელიწადის დროებს, მსჯელობს მათ განმასხვავებელ ნიშნებზე, საუბრობს თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელ ამინდზე;
- ჩამოთვლის კვირის დღეებს, განასხვავებს კვირის დღეებს მათთვის მნიშვნელოვანი მახასიათებლების მიხედვით (მაგ., სასწავლო დღე – უქმედებელ/დასვენებების დღე);
- ჩამოთვლის წელიწადის დროების მიხედვით ადამიანის საქმიანობის (მაგ., მცენარეების დარგვა, რთველი, მოსავლის აღება), ცხოველების ქცევის (მაგ., ფრინველების გადაფრენა, ზამთრის ძილი) და მცენარეებისათვის დამახასიათებელი ცვლილებების (მაგ., ყვავილობა, ფოთოლ-ცვენა) მაგალითებს.
- ახარისხებს ტანსაცმელს წელიწადის დროების მიხედვით.
- სთავაზობს მოსწავლეს, ყუთში ჩაყრილი ფერადი ფურცლებიდან ამოიღოს რომელიმე ერთი ფურცელი და დაუკავშიროს წელიწადის დროს. ახსნას, რატომ დაუკავშირა ეს ფერი დასახელებულ დროს;
- სთავაზობს მოსწავლეებს თამაშს: მოსწავლე ბარათზე დაწერილ წელიწადის დროს უხმოდ, მიმიკით და უესტებით განასახიერებს, თანაკლასელებმა კი უნდა გამოიცნონ, წელიწადის რომელი დრო წერია ბარათზე;
- სთხოვს რამდენიმე მოსწავლეს, მოუთხრონ თანაკლასელებს საკუთარი დაბადების დღის შესახებ. მასწავლებელი კითხვებით მიმართულებას აძლევს საუბარს: უფრო ხშირად როგორი ამინდია შენს დაბადების დღეზე? რა გაცვიათ შენ და შენს მეგობრებს? ყოფილა თუ არა თოვლი/წვიმა? ხეები აყვავებულია თუ არა და ა.შ. ამ შეკითხვებზე პასუხების მიღების შემდეგ კლასმა უნდა გამოიცნოს, წელიწადის რომელ დროს არის მისი დაბადების დღე.